

საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალურ არქივში (შემდეგში სუიცსა), საქართველოს კინო, ფოტო, ფონო დოკუმენტების არქივსა (შემდეგში სკფფდცა) და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივში (შემდეგში სშსსა) დაცულია აჭარის „ფაშისტურ - კონტრრევოლუციური ორგანიზაციული ჯგუფის“ გასამართლების, მათი რეაბილიტაციის, გასამართლებამდე ამ ორგანიზაციის წევრთა ცხოვრების ამსახველი დოკუმენტები.

ისტორიული სასამართლო პროცესი 1937 წლის 24 სექტემბერს საღამოს 7 საათზე დაიწყო. აჭარის ასსრ უზენაესი სასამართლოს სპეციალური საკრებულოს ღია სხდომაზე განიხილავდნენ აჭარის ასსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის მიერ აღმოჩენილ და ლიკვიდირებულ „კონტრრევოლუციურ-სააჯანყებო, ჯაშუშურ-ტერორისტული, დივერსიულ - მავნებლური ორგანიზაციის“ მონაწილეთა საქმეს. საბჭოთა მართლმსაჯულების წინაშე წარსდგა 11 „სამშობლოს მოღალატე“: ზექერია დურსუნის ძე ლორთქიფანიძე, - დაკავების დროს აჭარის ასსრ-ს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე; ჯემალ მახმუდის ძე ქიქავა - დაკავების დროს აჭარვაჭრობის სამმართველოს უფროსი; გიორგი ერასტის ძე რამიშვილი - დაკავების დროს საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარი; გრიგოლ ერმილეს ძე ლალიძე - დაკავების დროს აჭარის ასსრ-ს ადვოკატთა კოლეგიის წევრი; ილიას ოსმანის ძე მეგრელიძე - დაკავების დროს აჭარის მინადმოქმედების სახალხო კომისარი; ქაზიმ ხასანის ძე ბასილაძე - დაკავების დროს აჭარის ასსრ-ს სასოფლო სამეურნეო ბანკის მმართველი; ჰასან უსუფის ძე ძნელაძე - დაკავების დროს პარტიის ქობულეთის რაიონული კომიტეტის მდივნის მოადგილე; ხასან ხალიფის ძე ჩალ-ოღლი - დაკავების დროს ბათუმის რაიონის სოფელ ტოპალოგელების კოლმეურნეობის თავმჯდომარე; ოსმან რეჯების ძე რომანიძე - დაკავების დროს ქობულეთის რაიონის სოფელ წყავროვკის კოლმეურნეობის თავმჯდომარე; ოსმან თერჯანის ძე ვანიძე - დაკავების დროს ხულოს რაიონის ვანაძეების კოლმეურნეობის თავმჯდომარე და სულეიმან იუსუფის ძე ბეჟანიძე - დაკავების დროს ხულოს რაიონის აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე (სუიცა, ფ. 498, ან.4, საქ. 4973, გვ.25, 26)




ზექერია ლორთქიფანიძე ( www.netgazet.ge)

ბრალდებულთა საქმეს იხილავდა აჭარის ასსრ უზენაესი სასამართლოს სპეციალური საკრებულო შემდეგი შემადგენლობით: თავმჯდომარე: რეჯებ ჯინჭარაძე, საკრებულოს წევრები: იუსუფ კორძაია და ვლადიმერ ჩიტაია; სახელმწიფო ბრალმძებლები: ხასან დუმბაძე და თოფუზ ცეცხლაძე. ბრალდებულებს იცავდნენ კოლეგიის წევრები: კაშია - ლალიძეს და ჩალოღლის; მამალაძე - რომანიძეს; ტურძელაძე - ძნელაძეს და ბეჟანიძეს; ბუბაშვილი - ვანაძეს. ზ. ლორთქიფანიძემ, ჯ. ქიქავამ, ი. მეგრელიძემ, ქ. ბასილაძემ და გ. რამიშვილმა უარი განაცხადეს დაცვაზე.

1937 წლის 24-28 სექტემბრს საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს ორგანო - გაზეთი „კომუნისტი“ ყოველდღიურად ამუქებდა (ბათუმში წითელი არმიისა და ფლოტის სახლში) აჭარის ასსრ უზენაესი სასამართლოს სპეციალური საკრებულოს ღია სხდომას. მისი დაწყებისთანავე ცენტრალური გაზეთების ფურცლებზე გაჩნდა „ხალხის მტრებზე“ განწყობილი უამრავი ადამიანის საპროტესტო მოთხოვნა. ყველა რაიონში, ყველა ქალაქში ტარდებოდა საპროტესტო მიტინგები, სადაც ჩვეულებრივი მშრომელი ადამიანები „მოითხოვდნენ“ მათ მიმართ გამოეყენებინათ უმკაცრესი სასჯელი.

რაში ედებოდათ ბრალი ადამიანებს, რომლებიც წლების განმავლობაში საკუთარ სამშობლოსა და პარტიას ერთგულად ემსახურებოდნენ?



გიორგი ერასტის ძე რამიშვილი საქართველოს სსრ პროკურატურის ს.კ.ფ.ფ.დ.ც.ა. საქმე 4973

გამოძიებამ „გაარკვია“, რომ „კონტრრევოლუციური, ჯაშუშურ-ტერორისტული, დივერსიულ-მავნებლური ორგანიზაცია“ 1933 წელს დაარსდა. 1935 წლიდან კონტრრევოლუციური ორგანიზაცია დაუკავშირდა მემარჯვენე ოპოზიციურ ჯგუფს, რომელსაც ხელმძღვანელობდა გერმანე მაგალობლიშვილი და თენგიზ ჟღენტი. 1935 წელსვე მოხდა მემარჯვენე ოპოზიციური და კონტრრევოლუციური ორგანიზაციის გაერთიანება, რომელსაც ეწოდა „აჭარის განთავისუფლება“ (სუიცა, ფ. 516, ან 10, ასქ. 4, გვ.116.). ორგანიზაციის მიზანი იყო: საქართველოს ყველა რაიონში საბჭოთა ხელისუფლების ერთიანი ძალით დამხობა; აჭარაში არსებული ყველა კონტრრევოლუციური ჯგუფების გაერთიანება; სახალხო მეურნეობაში ძირგამომთხრელი მუშაობის ჩატარება (სუიცსა, ფ. 516, ან 10, საქ, 42, 119.)

მიღებული „დასკვნის“ მიხედვით, ზექერია ლორთქიფანიძე, რომელიც „ხელმძღვანელობდა“ აჭარის კონტრრევოლუციურ ორგანიზაციას, „ანარმოებდა ანტისაბჭოთა, ძირგამომთხრელ, ჯაშუშურ, მავნებლურ მუშაობას, კონტრრევოლიციონერ ტროცკისტებთან, მენშევიკებთან და ფაშისტებთან“. მის ორგანიზაციას კავშირი ჰქონდა ბუდუ მდივანთან, შალვა მათიკაშვილთან, თენგიზ ჟღენტთან, მალაქია ტოროშელიძესთან,

ოსიკო ბარათაშვილთან, ასევე, ნაციონალურ-ფაშისტური ორგანიზაციის „წარმომადგენლებთან“: მიხეილ ჯავახიშვილთან, სანდრო შანშიაშვილთან, გიორგი ლეონიძესა და ნიკოლოზ ლორთქიფანიძესთან. ისინი უკავშირდებოდნენ აჭარიდან გაძევებულ და ემიგრაციაში მყოფ ბეგებს, ალალარებს, მოლებს და კულაკებს. ორგანიზაცია მიზნად ისახავდა საბჭოთა ხელისუფლების დამხობას, სსრკ-ს შემადგენლობიდან აჭარის ჩამოშორებას და კაპიტალისტური წესწყობილების აღდგენას, საბჭოთა კავშირზე კაპიტალისტური ქვეყნების თავდასხმის შემთხვევაში პარტიისა და ხელისუფლების მიმართ ტერორის გამოყენებით ხელისუფლების დამხობას (გაზ. „კომუნისტი“, 25.09.1937, 220, გვ, 2).

ორგანიზაციას ბრალად ედებოდა საკოლმეურნეო მშენებლობაში პარტიის პოლიტიკის დამახინჯება, სოფლის მეურნეობის სხვადასხვა კულტურისა და მეცხოველეობის განვითარების შეფერხება და განადგურება.

1937 წლის ზაფხულში მოხდა ყველა ექვმიტანილი პირის დაკავება, რამდენიმე თვის ტანჯვა-წამების შემდეგ, იძულების წესით, ყველა მათგანმა „ალიარა“ გამოგონილი „დანაშაული“. „მე ვანარმოებდი მავნებლობას აჭარის სოფლის მეურნეობაში.... ციტრუსოვანი კულტურებისა და ჩაის დარგში, ხოლო თამბაქოს და მეცხოველეობის დარგში ჩემს მიერ კონტრევოლუციურ ორგანიზაციაში ჩაბმული სხვა წევრები...“ (გაზ. „კომუნისტი“, 25. 09. 1937 წელი, 220, გვ, 2). ასეთ „ალიარებით ჩვენებებს“ იძლეოდნენ ბრალდებულები.

თამბაქოს კულტურის დარგში მავნებლობა მიმართული იყო აჭარის სოფლის მეურნეობიდან თამბაქოს კულტურის განდევნისაკენ, ხდებოდა დაგვიანებული შეტეხვა, ამ კულტურისთვის უვარგისი მიწების გამოყოფა, რაც მოსავალს ხარისხს უკარგავდა.

მეცხოველეობის დარგში მავნებლობა მიმართული იყო პირუტყვის სულადობის შემცირებისაკენ, კოლმეურნეობიდან გაჰყავდათ მუშა საქონელი, სარძევე ფერმებს სპეციალურად აზიანებდნენ და ანგრევდნენ, საჯიმო პირუტყვის სულადობის ზრდას ხელს უშლიდნენ.

ძირგამომთხრელი მუშაობა მიმდინარეობდა სოფლად კოლექტიური მეურნეობების და არტელების დაშლისათვის. „დარ-

ღვევები იყო“ საერთო შრომით დამუშავებული ამხანაგობების („ტოზების“) სასოფლო სამეურნეო არტელის წესზე გადაყვანაში.

კონტრრევოლუციური ორგანიზაციის მიზანი იყო მშრომელ გლეხობაში გამოეწვიათ უკმაყოფილება, აბუჩად იგდებდნენ გლეხებს, ფეხქვეშ თელავდნენ მათ კანონიერ უფლებებს, გადაჭარბებულად ბეგრავდნენ გადასახადებით, შრომით ბეგარით ართმევდნენ სარწყავი წყლებით და ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეებით სარგებლობის საშუალებას. ასევე იდევნებოდნენ საუკეთესო კოლმეურნეები, დამკვრელები. ორგანიზაციის წევრების საშუალებით ვრცელდებოდა პროვოკაციული ხმები ომის მოახლოებისა და ინტერვენტების მოსალოდნელი შემოსევის შესახებ. ზემოთ ჩამოთვლილი ბრალეულობის გარდა, ზ. ლორთქიფანიძეს, ჯ. ქიქავას, გ. რამიშვილს, მეგრელიძეს ბრალად ედებოდათ 1934 -1937 წლებში საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე ტერორისტულ აქტებში მონაწილეობა, კერძოდ 1934 წელს სერგეი კიროვის ვერაგულ მკვლელობაში. საბრალდებო დასკვნის წაკითხვამდე დაიკითხა 17 ადამიანი.

1937 წლის 28 სექტემბერს ღამის 12 საათზე განახლდა აჭარის უზენაესი სასამართლოს სპეციალური საკრებულოს სხდომა. აჭარის ასსრ პროკურორმა ი. კაპანაძემ მოითხოვა თერთმეტივე ბრალდებულის დახვრეტა: „ვცნობ რა დამტკიცებულად საბრალდებო დასკვნით ამ ცოფიანი ხროვის მიმართ წარდგენილ ბრალდებას - სამშობლოს ღალატისა, შეიარაღებული აჯანყების მომზადების, ჯაშუშობის, მავნებლობისა და დივერსიულ და ტერორისტულ აქტების მომზადებაში - მოვითხოვ თერთმეტსავე ბრალდებულს შეეფარდოს სასჯელის უმაღლესი ზომა - დახვრეტა (გაზეთი „კომუნისტი“ 30.09.1937 წ.)

სასამართლოს თავმჯდომარემ რეჯებ ჯინჭარაძემ წაიკითხა განაჩენი, რომელიც 1 საათი და 15 წუთი გრძელდებოდა: ზეპერია ლორთქიფანიძეს, ჯემალ ქიქავას, გიორგი რამიშვილს, ილიას მეგრელიძეს, გრიგოლ ლალიძეს, ქიაზიმ ბასილაძეს, სულეიმან ბეჟანიძეს, ოსმან რომანიძეს, რომელთაც „უღალატეს სამშობლოს, ჩაიდინეს დანაშაული სისხლის სამართლის კოდექსის 58 1ა, 58-2, 58-6, 58-8, 58-9, 58-11 მუხლებით“, მიესაჯათ სასჯელის უმაღლესი ზომა დახვრეტა და ქონების კონფისკაცია

(გაზ. „კომუნისტი“, 30.09.1937 წელი 224, გვ.3).

**ო. ვანაძის საბოლოო სიტყვა**

მე ერთი უსწავლელი კაცი ვარ. ლი ჩაედიინე... (სწუხს, ენა ეპმის)  
 საზოგადოება მანებლებმა დამღუ- თავმჯდომარე — რას სთხოვთ  
 ჯეს, ჩამითრიეს ორგანიზაციაში. რა სასამართლოს? ვანაძე — ნუ დამღუპავთ, მაჩუ-  
 უნდა ვთხოვო სასამართლოს იმის ვანაძე — ნუ დამღუპავთ, მაჩუ-  
 შემდეგ, რაც ასეთი ლი დანაშაუ- ქეთ სიცოცხლე.

**ბრალდებათა საბოლოო სიტყვა**  
 ბ. ლეონტიძის საბოლოო სიტყვა  
 ვ. რაზვიანიძის საბოლოო სიტყვა  
 ჯ. ქიქვიას საბოლოო სიტყვა  
 ბ. ლომიძის საბოლოო სიტყვა  
 ი. მგერბლიძის საბოლოო სიტყვა

**კ. ბასილიძის საბოლოო სიტყვა**  
 ს. ბეინიძის საბოლოო სიტყვა  
 ბ. ძეგლიძის საბოლოო სიტყვა  
 ხ. ჩოლოყის საბოლოო სიტყვა  
 ო. რომანიძის საბოლოო სიტყვა


**ბრალდებულთა საბოლოო სიტყვები (გაზეთი „კომუნისტი“ 30.09.1937 წ.)**

ჰასან ძნელაძეს, ჰასან ჩალ-ოლის - რომელთაც „უღალატეს სამშობლოს, ჩაიდინეს დანაშაული სისხლის სამართლის კოდექსის 58-2, 58-9, 58-11 მუხლებით“ მიესაჯათ ათ-ათი წლით თავისუფლების აღკვეთა (გაზ. „კომუნისტი“, 30.09.1937 წელი 224, გვ.3).

ოსმან ვანაძეს, რომელმაც „უღალატა სამშობლოს, ჩაიდინა დანაშაული სისხლის სამართლის კოდექსის 58-2, 58-9, 58-11 მუხლებით“, მიესაჯა რვა წლით თავისუფლების აღკვეთა (გაზ. „კომუნისტი“, 30.09.1937 წელი 224, გვ.3).

ყველას მიეცა საბოლოო სიტყვის თქმის უფლება. ადამიანებს, რომლებიც უდანაშაულოდ გასამართლდნენ, სიცოცხლე

სწყუროდათ. ბრალდებულებში ყველაზე უფროსი ასაკით 45 წლის იყო. მათ სიცოცხლე ითხოვეს.... განაჩენი კი სექტემბრის თვეში სისრულეში მოიყვანეს.



გაზეთი „კომუნისტი“, 26.09.1937 წელი 220, გვ.2

არ დაინდეს მათი ოჯახის წევრებიც, ათი წლით გადაასახლეს ზ. ლორთქიფანიძის მეუღლე - ესმა ლორთქიფანიძე.

ისინი, ვინც ასე სასტიკად დაისაჯნენ, წლების განმავლობაში სოციალიზმისა და საკუთარი სამშობლოს ერთგული ადამიანები იყვნენ. მათ პატიოსანი და ერთგული შრომისთვის აჯილდოვებდნენ: ზექერია ლორთქიფანიძე 1936 წელს დაჯილდოვებული იყო ლენინის ორდენით, ესწრებოდა (დელეგატი) 1937 წ. მაისში თბილისში ჩატარებულ საქართველოს ცაკის მეათე მოწვევის ყრილობას, დელეგატის მანდატი (1535002), (სშსსა, ფ.14, ან. 4, საქ. 27, გვ. 354.). 1937 წლის მაისში პარტიის ბიუროს გადანყვეტილებით ბათუმში ტელმანის ქუჩაზე მშენებარე სახლში ჯ. ქიქავას, ს. ბეჟანიძეს და ხასან ძნელაძეს ბინები გამოუყვეს (სშსსა, ფ.14, ან 11, საქ. 2011, გვ. 270.).

1937 წლის ივლისში დაჭერისთანავე, როგორც „ხალხის მტრები“ სამსახურიდან გათავისუფლდნენ და პარტიის წევრობიდან გაირიცხა თერთმეტივე ადამიანი (სშსსა, ფ. 14, ან. 11საქ. 211.). 1937 წლის 29, 30 სექტემბრის ცენტრალური ორგანოს ბეჭდვითი გამოცემები სავსე იყო მშრომელი ხალხისა და, რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, ქვეყნის ინტელიგენციის დიდი ნაწილის აღფრთოვანებული წერილებით.

წლების შემდეგ, 1957 წელს უდანაშაულოდ დახვრეტილთა და გასამართლებულთა რეაბილიტაციისათვის საქართველოს უმაღლეს სასამართლოში დაიწყო ხელახალი სასამართლო პროცესი. საქმის დამატებით შემონშებით დადგინდა, რომ მსჯავრდებულთა - ზ. ლორთქიფანიძის და გ. რამიშვილის დაპატიმრება და გასამართლება ბერიასა და მისი თანამოაზრეების: გოგლიძის, ქობულოვის, ჯიჯოლიას, კუგელიას მითითებით და მონაწილეობით მოხდა, მათი

გასამართლება პირადად ბერიას მითითებით იყო დაგეგმილი.

დაპატიმრებულებმა საშინელი წამების შედეგად „ალიარეს“, რომ ჩაიდინეს სახელმწიფოს წინაშე მძიმე დანაშაული (სუიცსა, ფ. 516, ან 10, საქ, 42, 119.). დამატებითი დაკითხვისას დადგინდა, რომ როგორც მსჯავრდებულებს, ასევე მოწმეებს, სასამართლო სხდომის დაწყების წინ პირადად გოგლიძე, ქობულოვი, ჯინჯოლია, აჭარის ასსრ ყოფილი პროკურორი კაპანაძე, სასამართლოს თავმჯდომარე ჯინჭარაძე განსასჯელებს არწმუნებდნენ, რომ მათი ალიარება სასამართლოს წინაშე აუცილებელია პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების ძლიერებისთვის (სუიცსა, ფ. 516, ან 10, საქ, 42, 121).

სასამართლოს მიმდინარეობის დროს შეიქმნა სპეციალური კომისია, რომელმაც შეისწავლა 1934-1937 წლებში აჭარის ასსრ სოფლის მეურნეობასა და მესაქონლეობაში დაშვებული შეცდომების სისწორე და აღმოჩნდა, რომ ყველა „მაწვენლობა“, რომელიც მსჯავრდებულებს ალიარებინეს, საფუძველს მოკლებული იყო, მსგავსი არაფერი ხდებოდა. გარდა ამისა, აღმოჩნდა, რომ არასწორად არის ჩანერილი მოწმეთა ჩვენებები, საქმეზე განაჩენი შედგენილია შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატში, სასამართლოს თავმჯდომარემ კი გადაწერა და შემდეგ გამოაქვეყნა.



Handwritten notes and signatures at the top left of the page.

8x-014756

1956  
12/11

დაქვანის დასახლებული პუნქტის მფლობელი

909-57

დაქვანის დასახლებული პუნქტის მფლობელი  
დასახლებული პუნქტის მფლობელი  
დასახლებული პუნქტის მფლობელი

სახლი დასახლებული პუნქტის მფლობელი  
1936 წელს დაარსდა დასახლებული პუნქტი დასახლებული პუნქტის მფლობელი  
1937 წელს დაარსდა დასახლებული პუნქტი დასახლებული პუნქტის მფლობელი  
დასახლებული პუნქტის მფლობელი დასახლებული პუნქტის მფლობელი  
დასახლებული პუნქტის მფლობელი დასახლებული პუნქტის მფლობელი  
დასახლებული პუნქტის მფლობელი დასახლებული პუნქტის მფლობელი

1947 წელს დაარსდა დასახლებული პუნქტი დასახლებული პუნქტის მფლობელი  
1949 წელს დაარსდა დასახლებული პუნქტი დასახლებული პუნქტის მფლობელი  
1955 წელს დაარსდა დასახლებული პუნქტი დასახლებული პუნქტის მფლობელი

დასახლებული პუნქტის მფლობელი დასახლებული პუნქტის მფლობელი  
დასახლებული პუნქტის მფლობელი დასახლებული პუნქტის მფლობელი  
დასახლებული პუნქტის მფლობელი დასახლებული პუნქტის მფლობელი

დასახლებული პუნქტის მფლობელი დასახლებული პუნქტის მფლობელი  
დასახლებული პუნქტის მფლობელი დასახლებული პუნქტის მფლობელი

დასახლებული პუნქტის მფლობელი

1956 წელს

დასახლებული პუნქტის მფლობელი

დასახლებული პუნქტის მფლობელი დასახლებული პუნქტის მფლობელი

ესმა ლორთქიფანიძის წერილი საქართველოს  
სსრ პროკურორისადმი. ფ. 498, ან 4 საქ. 4973გვ. 5, 5ა.

დადგინდა, რომ აღნიშნულ საქმეზე ყველა პირი გასამართლებული იყო მათი უდანაშაულობის მტკიცებულების გარეშე. 1957 წლის 28 მაისს აჭარის ასსრ უზენაესი სასამართლოს 1937 წლის 24 -28 სექტემბრის განაჩენი ბათილად იქნა ცნობილი, დანაშაულში მათი მონაწილეობის მტკიცებულების არ არსებობის გამო.

Приговор Верховного Суда Аджарской АССР от 24-28 сентября 1937 года в отношении ЛОРДКИПანიძე Зекерия Дурновича, КИКАВА Дзема Махмудовича, РАМИШВИЛИ Георгий Иосифовича, МЕГРЕЛИძე Ильяса Исмаиловича, ЛАГИძე Григоий Ермодаевича, БАСИЛАძე Кязыма Хасановича, БЕКАნიძე Шеймана Юсубовича, ДЗНЕЛАძე Хасана Юсубовича, ЧАЛОГლი Имана Халифовича, РОМАნიძე Османа Реджебовича и ВАНАძე Шеймана Терджановича - отменить и дело о них прекратить в силу отсутствия в их действиях состава преступления. -

ЗАМ. ПРОКУРОРА ГРУЗИНСКОЙ ССР  
СТАРШИЙ СОВЕТНИК ЮСТИЦИИ:-

*А. ГИГАური*

13  
2  
1957 года  
гор. Тбилиси.-

( А.ГИГАური )

საქართველოს სსრ პროკურატურის გადანაცვეტილება განაჩენის შეწყვეტის შესახებ.

ფ. 498, ან. 4 საქ. 4973 გვ. 29.

„მე უდანაშაულო ვარ! ქართველი ხალხისა და ჩემი სამშობლოს წინაშე არავითარი დანაშაული არ მიმიძღვის, მაგრამ რადგან ზვარაკია საქურო, მზად ვარ საქართველოს თავი შევწირო, თქვენ მე მომსპობთ, მაგრამ იმას ვერასოდეს ვერ წაშლით, რაც დავტოვე. საქართველოს მინა-წყალზე ისეთი მუხა დავრგე, რომლის ფესვებს ვერასოდეს აღმოფხვრით“- ეს სიტყვები მიხეილ ჯავახიშვილმა 1937 წელს, განაჩენის გამოტანის შემდეგ წარმოთქვა, რითაც საბჭოთა რეპრესიებს შეწირულ ქართველი ადამიანების სათქმელიც თქვა.

### **გამოყენებული წყაროები:**

სუიცსა, ფ. 516, ან. 10, საქ. 42  
სუიცსა, ფ. 498, ან 4, საქ 5110  
სუიცსა, ფ. 498, ან 4, საქ 4973  
სუიცსა, ფ.498, ან. 4, საქ. 5110  
სკფფდსა, ფოტო 1-41863  
სშსსა, ფ. 14, ან.4, საქ. 281  
სშსსა, ფ. 14, ან.11, საქ. 95  
სშსსა, ფ. 14, ან. 10, საქ. 14  
სშსსა, ფ. 16, ან.18 საქ, 28, 29  
სშსსა, ფ. 16, ან.2, საქ. 6  
გაზეთი „კომუნისტი“- 1937 წელი 220-225.

***Tinatin Jabadari***

### ***The Government of Ajara and Repressions in 1937***

#### ***Summary***

In 1937 in September the most part of the government of Ajara was made executed by the mass repression. On the 24 -28 th of September in 1937 in Batumi was hold their low-court. In 1957 year they war justified. The issue was done in state archives of Georgia by defended material.

## ნატო ქიქავა

### საქართველო-უკრაინის ურთიერთობები ოქტომბრის არქივიდან შემოტანილი დოკუმენტების ასლების მიხედვით

საქართველო-უკრაინელთა კულტურულ-ისტორიულ თუ სამხედრო-პოლიტიკურ ურთიერთობებს ხანგრძლივი ისტორია აქვს. ის სათავეს იღებს ადრეული დროიდან, როცა იქმნებოდა უკვდავი ნაწარმოებები - „ვეფხისტყაოსანი“ და კიევეური „Слова о полку Игореве“ (ასს ცსა, ფ. 59, ან.1 ს. 97, ფ.). განვითარებული ფეოდალური ურთიერთობების ხანაში საქართველოს და კიევის რუსეთს შორის ჩამოყალიბდა გარკვეული ურთიერთობა. კიევის დიდი თავადი იზიასლავი, ვლადიმერ მონამახას შვილიშვილი, 1154 წ. დაქორწინდა საქართველოს მეფის დემეტრე I ქალიშვილზე (ასს ცსა, ფ. 59, ან.1 ს. 97, ფ.?)

რელიგიურმა ერთობამ ხელი შეუწყო იდეოლოგიური ინტერესების ერთობასაც. მონგოლთა დაპყრობებმა ერთობ შეასუსტეს ეს ურთიერთობები, თუმცა შემდგომ პერიოდში კვლავ გაგრძელდა ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობა სხვადასხვა სფეროში, რაც განსაკუთრებით გამოიკვეთა მე-17 საუკუნის დასაწყისიდან ( პაიჭაძე გ., 1971: 99).

XVI-XVII საუკუნეები უმძიმესი პერიოდია უკრაინის ისტორიაში. იმ დროს უკრაინელებს უხდებოდათ ბრძოლები როგორც პოლონელი პანების, ისე ოსმალების წინააღმდეგაც. ოსმალეთი საერთო მტერი იყო უკრაინისა და საქართველოსათვის. საქართველოს ხელისუფალნი ცდილობდნენ ზაპოროჟიელი კაზაკები გამოეყენებინათ საკუთარი პოლიტიკური და სამხედრო ინტერესებისათვის.

მე-17 ს. მოგზაურთა ცნობით ოსმალეთის წინააღმდეგ ლაშქრობიდან დაბრუნებული კაზაკები უამინდობის, თურქებისაგან დევნის, დასვენების აუცილებლობის თუ სხვა მიზეზების გამო ჩერდებოდნენ გურიისა და სამეგრელოს ხელსაყრელ მისადგომებთან (თ. ტივაძე, 1971:64). დასავლეთ საქართველო, როგორც ოსმალეთის ვასალური ქვეყანა კაზაკებს აშკარად ვერ დაეხმარებოდა, თუმცა მოსახლეობა ყოველთვის ეხმარებოდა

მათ. ე. ჩელების ცნობით, როცა კაზაკებმა 1646-1647 წწ. აიღეს გონიო, ადგილობრივნი ეხმარებოდნენ კაზაკებს (თ. ტივაძე, 1971: 65).

ქართულ-უკრაინულმა ურთიერთობებმა ახალი შინაარსი შეიძინა ვახტანგ მეექვსის პოლიტიკური ემიგრაციის შემდეგ. იგი უპირატესად კულტურულ ხასიათს ატარებდა. ბევრმა ქართველმა თავისი ბედი უკრაინას დაუკავშირა. ომ ორი ხალხის კულტურათა დამაკავშირებელ ხიდად იქცა დავით გურამიშვილის პოეტური შემოქმედება. დავით გურამიშვილის უკრაინულ პერიოდზე მასალები დაცულია აჭარის საარქივო სამმართველოში, კერძოდ ამირან შერვაშიძის პირად ფონდში (ასსცსა, ფ.59, ან.1, ს. 97).

მე - 19 საუკუნიდან ეს ურთიერთობები კიდევ უფრო გაღრმავდა. კავკასია, რომელსაც ალექსანდრე პირველმა „თბილი ციმბირი“ უწოდა იმპერიისათვის მიუღებელი ელემენტების გადასახლების ადგილად იქცა (ნ. შალუტაშვილი, 1971:73). აღნიშნულის დასტურად დეკაბრისტების მაგალითიც კმარა (პეტრე კოტილიარევსკი, ბ. კანდიბა, დ. პაუშენკო და სხვები. ზოგიერთ მათგანთან ძალიან ახლო ურთიერთობა ჰქონდა ალექსანდრე ჭავჭავაძეს და გრიგოლ ორბელიანს (ნ. შალუტაშვილი, 1971:77).

უკრაინელებთან დაკავშირებული იყო ნ. ბარათაშვილიც. მასთან ერთად მსახურობდა ი. ივჩენკო. ბარათაშვილი ხვდებოდა მალესკოს, ფ. გავრილენკოს, რომელსაც ცოლად ჰყავდა ბარათაშვილის მეგობრის ლევან მელიქიშვილის და ეკატერინე (ნ. შალუტაშვილი, 1971:77). არაერთი უკრაინელი იყრიდა თავს ალ. ჭავჭავაძის სახლში გამართულ ლიტერატურულ შეხვედრებზე.

საქართველო-უკრაინის კულტურულ ურთიერთობებში მნიშვნელოვანი ნვლილი შეიტანა ტარას შევჩენკომ. იგი ორივე ხალხს მოუწოდებდა ერთობლივად ებრძოლათ ცარიზმის კოლონიური ინტერესების წინააღმდეგ, ტარას შევჩენკოსა და აკაკი წერეთლის ურთიერთობის შესახებ საყოველთაოდ არის ცნობილი ამიტომ მათ შესახებ აქ საუბარს აღარ გავაგრძელებთ.

საქართველო-უკრაინის ურთიერთობის შესახებ საუბარი შორს წაგვიყვანდა, ამ ურთიერთობების შესახებ უამრავი მასალებია დაცული როგორც უკრაინის ასევე საქართველოს არქი-

ვებში და წიგნსაცავებში. ამჯერად თქვენს ყურადღებას შევაჩერებთ ოდესის არქივიდან საქართველოს შესახებ შემოტანილ დოკუმენტებს. გასული წლის ნოემბერში საარქივო სამმართველოში შემოტანილ იქნა ოდესის სახელმწიფო არქივიდან მეტად საინტერესო დოკუმენტები, რომელიც შეეხება სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს. ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომ დოკუმენტების შემოტანა განხორციელდა იმ მემორანდუმის საფუძველზე, რომელიც გაფორმდა 2010 წლის დეკემბერში.

შესაბამისად ამ დოკუმენტები შედგება 6 საქმეთა ერთეულისგან. ფონდს მიენიჭა ნომერი ი-88.

დოკუმენტების ერთი ნაწილი ეხება ფოთი-ბათუმის სარკინიგზო მაგისტრალზე შესრულებული სამუშაოს შესახებ ინფორმაციას. საქმეში წარმოდგენილია მასალები რომელიც შეეხება კავკასიის რკინიგზის ტექნიკური სამმართველოს მიერ გაცემულ მოწმობებს, ამ სფეროში დასაქმებული პირების დახასიათებებს და სხვა საკითხებს. ერთ-ერთი დოკუმენტი ეხება შუამდგომლობას ლუკა ხუჭუასათვის სავაჭრო ფლოტის ხომალდების მართვის მოწმობის გაცემის თაობაზე. საუბარი არის ინჟინერ ედ გარისის დამსახურებაზე აღნიშნული სამუშაოების შესრულების დროს, ასევე მისი და საგზაო ტექნიკოსის პეტუხოვის მიმოწერები.

დოკუმენტების მეორე ნაწილი ეხება რკინიგზისა და სარკინიგზო სადგურების მატერიალურ ტექნიკური აღჭურვილობის საკითხებს, განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებულია კავკასიის სარკინიგზო სადგურებზე სიგნალიზაციის დამონტაჟების საკითხებთან დაკავშირებით. აქვე ვხვდებით მიმოწერებს ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროსთან. საქმეშია ასევე მომსახურე პერსონალის სია.

ოდესის არქივიდან შემოტანილ დოკუმენტებში სხვა ბევრი საინტერესო ინფორმაციაცაა წარმოდგენილი. განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ოდესაში მყოფი ქართველების საზოგადოება „საქართველო“-ს საქმიანობა. საქმეში წარმოდგენილია ამ ორგანიზაციის წესდება. რომელშიც ნათლად იკვეთება ამ ორგანიზაციის მიზნები და სამოქმედო პროგრამა.

პროგრამა საზოგადოებისა და მათი ოჯახის წევრებისათვის თავისუფალი დროის რაციონალურად გამოყენების მიზნით

ითვალისწინებდა ისეთი ღონისძიებების ორგანიზებას, როგორც იყო: საცეკვაო საღამოები, ლიტერატურულ-საოპერო ღონისძიებები, საბავშვო სპექტაკლები, კონცერტები, თამაშები, ექსკურსიები და სხვა. ღონისძიებების დროს დაუშვებელი იყო ბანქოს თამაში და ალკოჰოლური სასმელების მიღება. ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომ პროგრამა ითვალისწინებდა ღონისძიებაში მონაწილე პოლიციელისათვის ცალკე ადგილის გამოყოფას.

საზოგადოებას გააჩნდა საკუთარი შენობა, რომელიც ღია იყო დილის 10 საათიდან ღამის 1 საათამდე, ხოლო საცეკვაო თუ საკონცერტო საღამოები დილამდეც გრძელდებოდა.

საზოგადოებას „საქართველოს“ როგორც ერთ ერთი სერიოზული ორგანიზაციის ხასიათზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ იგი აერთიანებდა მხოლოდ დამსახურებულ პირებს, განურჩევლად სქესისა და რელიგიური მრწამსისა.

საზოგადოების წევრად გახდომა შესაძლებელი იყო მინიმუმ 2 ადამიანის წერილობითი რეკომენდაციის საფუძველზე. განსაზღვრული იყო ორგანიზაციის საწევრო გადასახადის ოდენობაც (განწევრიანების 5 რუბლის, ხოლო წლიური საწევრო შენატანი 3 რუბლის ოდენობით). ის პირი, ვინც ერთდროულად გადაიხდიდა 100 რუბლს, ის თავისუფლდებოდა ყოველწლიური გადასახადისაგან და ითვლებოდა საზოგადოების მუდმივ წევრად. განწევრიანებისათვის წინასწარ გადახდილი თანხა ორგანიზაციაში მიღებაზე უარის თქმის შემთხვევაში უკან უბრუნდებოდა შესაბამის პიროვნებას.

საზოგადოების წევრს ეძლეოდა წესდების ბეჭედდასმული ეგზემპლარი და ნომინალური წლიური ბილეთი.

საზოგადოების თანხები შედგებოდა: ერთიანი საწევრო გადასახადებისაგან, შემოწირულობებისაგან, მუსიკალურ - გასართობი წარმოდგენების, ასევე პიკნიკების, ექსკურსიების და სხვა ღონისძიებების დროს შემოსული თანხისაგან.

საზოგადოების უმაღლესი ორგანო იყო საერთო კრება, რომელიც შედგებოდა საზოგადოების დამფუძნებლებისა და მონვეული წევრებისაგან.

კრება ირჩევდა საპატიო წევრებს, საბჭოს წევრებსა და სარევიზიო კომისიის წევრებს, ამონწმებდა და ამტკიცებდა საბ-

ჭოს ხარჯთაღრიცხვისა და შესაბამის ანგარიშს, ორგანიზაციის ბიუჯეტს და ა.შ.

საზოგადოებას გააჩნდა თავისი ბლანკი და ბეჭედი, რომელზეც ამოტვიფრული იყო „ქართული საზოგადოება „საქართველო“ - „საქართველო“ ოდესაში“.

წარმოდგენილ დოკუმენტში განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს საზოგადოებას „საქართველო“-ს დამფუძვნებელთა შესახებ ინფორმაციები. მათ შორის დასახელებული არიან: პეტრე გიორგის ძე მელიქოვი, ევსევია ილარიონის ძე უშვერიძე, მიხეილ ნიკოლაის ძე ჯუღელი, იოველია გრიგორის ძე ქუთათელაძე, იასონ პავლეს ძე მოსემვილი, სიმონ ლუკას ძე ავალიანი.

სამწუხაროდ, ოდესის არქივიდან შემოტანილ დოკუმენტებში აღნიშნული პიროვნებების შესახებ სხვა ინფორმაცია არ მოიპოვება, მაგრამ ზემოთ განხილული წესდება ნათელ წარმოდგენას გვაძლევს ოდესის ქართული დიასპორის აქტიურ საზოგადოებრივ - კულტურულ საქმიანობის შესახებ, ქართველთა ერთიანობისა და ქართულ-უკრაინული ურთიერთობის განმტკიცების თვალსაზრისით.

*Nato Kikava*

### *Georgia-Ukraine relationships to the documents imported from Odessa Archives*

#### *Summary*

In November 2013 in Archives Administration, from State Archives of Odessa (Ukraine) were imported very interesting documents connected to South-West Georgia. presented article is an attempt to review these documents. it is typical that import of these documents were maed om the basis of memorandum, which was signed in December 2010.



**ბადრი გოგუაძე**  
**რევაზ უზუნაძე**  
**თამაზ ფუტყარაძე**

**დიდი ბრიტანეთის სამხედრო ნაწილები**  
**ბათუმის ოლქში**  
**(1918-1920წ.წ.)**

პირველ მსოფლიო ომში გერმანია-თურქეთის ბლოკის დამარცხების შემდეგ, მუდროსის ზავის (1918 წ. 30.10.) თანახმად ბათუმი და ბათუმის ოლქი დაიკავეს დიდი ბრიტანეთის ჯარებმა. 1918 წ. 3 დეკემბერს ბათუმის ნავსადგურში შემოვიდა ინგლისის კრეისერი „ლივერპული“ ორი ნაღმოსანის თანხლებით. დეკემბრის მეორე ნახევარში დამატებით შემოვიდა 10 სამხედრო გემი 15 ათას კაციანი საექსპედიციო კორპუსით. ბათუმის ოლქში დამყარდა ბრიტანეთის საოკუპაციო რეჟიმი. სამხედრო გუბერნატორად დაინიშნა გენერალი კუკ-კოლისი.

მსოფლიო ომში ანტანტის გამარჯვების შემდეგ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა იმედოვნებდა, რომ ბრიტანეთის ხელშეწყობით დაიბრუნებდა ოსმალების მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებს. მაგრამ იმედი ფუჭი აღმოჩნდა. ბრიტანეთს აღნიშნული პრობლემისადმი ჰქონდა იმპერიული მიდგომა. ჯერ ერთი ინგლისის ხელისუფლება ოკუპირებული რეგიონის მიმართ „ანგარიშს უწევდა რუსეთის პრეტენზიებს“ (მ.სიორიძე). ასევე, ცდილობდა ანტიქართულ ძალებზე დაყრდნობით პოზიციების განმტკიცებას საქართველოში – უპირველესად გავლენის შენარჩუნებას სტრატეგიულად მნიშვნელოვან საპორტო ქალაქ ბათუმზე და ოლქზე.

საოკუპაციო ხელისუფლებამ 1918 წ. 30 დეკემბერს სამოქალაქო მმართველობა რეგიონში გადასცა „რუსული ნაციონალური საბჭოს“ მიერ დაკომპლექტებულ „ბათუმის ოლქის მმართველ საბჭოს“ (თავმჯდომარე პ. მასლოვი). საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა დაევალა 500 კაციან „რუსულ პოლიციას“. მათგან 150 რაზმელი ბათუმში იდგა, 350 კი ოლქის სხვადასხვა უბანში. ოლქის ტერიტორიაზე წესრიგის დაცვაში ჩართული იყო აგრეთვე ინგლისის სამხედრო პოლიცია. უბნის უფ-

როსებად „მმართველმა საბჭომ“ შეარჩია მონარქისტი ოფიცრები, რომლებიც ადგილებზე ჩავიდნენ ინგლისელ ჯარისკაცთა თანხლებით. სადგურ ნატანებთან დაწესდა საზღვარი. აქ აღიმართა რუსული დროშა და დააყენეს შეიარაღებული დაცვა. ასეთმა ქმედებამ აღაშფოთა მოსახლეობა. ისინი მოითხოვდნენ უბნების მმართველი თეთგვარდიელი ოფიცრების და ინგლისელი რაზმების უკან განევას.

1919 წ. 15 აპრილს საოკუპაციო ხელისუფლებამ დაითხოვა „მმართველი საბჭო“. „საბჭოს“ ფუნქციები გადაეცა ინგლისელ ოფიცერთა ჯგუფს მაიორ ჰარისის მეთაურობით.

კავკასიაში ინგლისის საოკუპაციო ხელისუფლების მხარდაჭერით გაძლიერდა სეპარატისტული მოძრაობა ისტორიულ სამხრეთ საქართველოში. ამ მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი იყო სერვერ-ბეგ ათაბაგი (ჯაყელი). მათ 1919 წ. იანვარში შექმნეს ე.წ. „ყარსის რეპუბლიკა“. რომლის შემადგენლობაში უნდა გააერთიანებინათ ბათუმის, არტაანის და ყარსის ოლქები, ახალციხისა და ახალქალაქის მაზრები. როგორც გაზეთი „ერთობა“ წერდა „ინგლისელები ყარსის მუსულმანთა მთავრობას ხელს უწყობდნენ და მათთან კარგ განწყობაში არიან“ (გაზ „ერთობა“, №32, 1919 წ.).

1919 წ. იანვრის დამლევს, ინგლისელების მხარდაჭერის იმედით, სერვერ-ბეგმა ახალციხის მხარეში წამოიწყო აჯანყება საქართველოს რესპუბლიკასთან შეერთების წინააღმდეგ. მის ლაშქარში იყვნენ ბათუმიდან ჩამოსული თეთგვარდიელები, ინგლისელები. მან ამ ძალებით 11 თებერვალს ახალციხე აიღო.

საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად გენერალ გიორგი კვინიტრადის მეთაურობით გამოიყო 20 ათას კაციანი ქართული ჯარი. რომელმაც 7 მარტს გაათავისუფლა ახალციხე. აპრილის პირველ ნახევარში სეპარატისტებისაგან გაათავისუფლა სამხრეთ საქართველო.

1920 წ. თებერვალში ერთა ლიგის მანდატით გამოიკვეთა ბათუმის დამოუკიდებელ ქალქ-სახელმწიფოდ გამოცხადების მცდელობა. ეს ქმედება ქართველმა ხალხმა შეაფასა როგორც საქართველოსაგან ბათუმის ძალისმიერად მოწყვეტის ცდა, რამაც მძლავრი საპროტესტო მოძრაობის აზვირთება გამოიწვია.

1920 წ. 28 ივნისს, მოკავშირეებმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას ბათუმის ოლქის და ქალაქ ბათუმის საქართველოსათვის გადაცემის შესახებ.

1920 წ. ივლისის პირველ ნახევარში ინგლისელებმა გაიყვანეს ჯარები ბათუმის ოლქიდან. 5 ივლისს ქართული ჯარები შევიდნენ ბათუმში. ასე დასრულდა ინგლისელთა 18 თვიანი ოკუპაცია ბათუმსა და რეგიონში.


კრებულში წარმოდგენილი ფოტოსურათები გადაღებულია საქართველოში- ინგლისის საექსპედიციო ჯარის პოლკოვნიკ რობერტ კოტტონ მონეუს მიერ. წარმოდგენილი ფოტოდოკუმენტები შეიცავენ მრავალმხრივ საინტერესო ინფორმაციას ბათუმის ოლქში ინგლისელთა ოკუპაციის პერიოდის შესახებ. ისინი პირველად ქვეყნდება ჩვენს კრებულში. ფოტო კოლექცია ინახება ბრიტანეთის არმიის ნაციონალური მუზეუმის (ლონდონი) საარქივო ფონდებში.



ბრიტანეთის არმიის გუკუნების რაზმი აჭარის მთიანეთში, 1920 წ.



ბრიტანული გამანადგურებელი ბათუმში 1920 წ.



ინგლისელი ოფიცრები ზათუმში,  
1920 წ.



ქართველი მთხალისე და  
ბრიტანელი ჯარისკაცები



ბრიტანული გემები პორტში.




ბათუმელი



ბრიტანელების საავტომობილო რაზმი



ბრიტანეთის არმიის გურჯეების ბატალიონი ბათუმის პორტში, 1920 წ.



ბრიტანელების პირველი წაბიჯები ბათუმის პორტში. იქვე დგანან დამარცხებული თურქები



გურჯნების რაზმი აჭარის მთებში, 1920 წ



თურქი ტყვეების ევაკუაცია ბათუმიდან ინგლისელების გემით



თურქი ტყვეები წავსადგურში ევაკუაციის დროს



ბრიტანული გემი ბათურის პორტში



ინგლისელი ოფიცრები მიდიან ახალციხიდან ბათუმისკენ 1919 წ.



აჭარელი მუსულმანების რაზმი და ინგლისელები სერვერ ბეგის აჯანყების დროს. 1919 თებერვალი (ახალციხე)





ბრიტანელი ჯარისკაცები სამხედრო  
ემბელონზე, ბათუმი



# არქეოლოგია

*ამირან კახიძე  
მალხაზ ნაგერვაძე*

## **ბრინჯაოს მეტალოურგიის ნაშთები ჭოროხის აუზიდან (ჭარნალის მურმანეთი)**

2014 წლის თებერვლის თვეში მარადიდის ქვისსანაყების შეგროვებამ მოგვცა ახალი სტიმულიგვეფიქრა ქართულ, თანაბრად საკაცობრიო არქეოლოგიის ერთ-ერთ აქტუალურ პრობლემაზე, რომელიც უკავშირდება ჭოროხის აუზს როგორც უძველეს მეტალოგენურ კერას. ბუნებრივია, ეს დიდი პრობლემა ჯერ კიდევ სანყის სტადიაშია და არსებითად ამოიწურება სამეცნიერო ინფორმაციებით იმის შესახებ, რომ ჭოროხის აუზი და მისი შენაკადები მდიდარი არის სხვადასხვა სახის წიაღისეულის მარაგით. პოლიმეტალებით, განსაკუთრებით კი სპილენძის საბადოებით. მას ემატება ისიც, რომ მეხჩის ციხიდან მოყოლებული ართვინით გაგრძელებული ჭოროხის ქვემო წელზე მოპოვებულია გვიან ბრინჯაო-ადრერკინის ხანის განძები, რომელთა ერთი ნაწილი უკვე შევიდა სამეცნიერო მიმოქცევაში (ქორიძე, 1965; რამიშვილი, 1974; კახიძე, მამულაძე, 2000). სხვასახის სამეცნიერო საველე სამუშაოები ჯერ კიდევ არ განხორციელებულა. სწორედ ამიტომაც გადაწყვიტეთ პირველად სადაზვერვო სამუშაოები გვეწარმოებინა ჭოროხის აუზის ქვემო წელზე ბრინჯაოს ხანის საწარმოო კერების შესწავლის მიზნით.

პირველი საველე არქეოლოგიური სამუშაოები განხორციელდა ჭარნალის მურმანეთში. ორი წლის წინათ აქაურმა მკვიდრმა ოთარ თავართქილაძემ ბათუმის არქეოლოგიურ მუზეუმში ჩამოიტანა შემთხვევით აღმოჩენილი რომაული ქვევრის ნატეხები. ბუნებრივია, დავათვალიერეთ აღმოჩენის ადგილი და მივიღეთ ახალი ინფორმაცია. იქვე ახლოს პატარა ღელეში ქვისგობებისა და დამუშავებული ქვების არსებობის შესახებ. ახალი ობიექტი არანაკლებ საყურადღებო აღმოჩნდა. ზედაპირულად მოჩანდა ქვის გობი, გაშავებული ქვები და საბეგველები. ამ ვიზიტის შემდეგ ო. თავართქილაძის ძმიშვილმა მალხაზ

თავართქილაძემ ამავე ადგილებში შეაგროვა კიდევ ერთი ქვის გობი, სანაყად გამოყენებული მოზრდილი ურო და კვადრის ფორმის დამუშავებული ქვა. მიემატა ორმაგგანყოფილებიანი ქვის გობი ომბოლოდან.

გადაწყდა სოფელ მურმანეთში მცირე მასშტაბის საველე არქეოლოგიური სამუშაოების წარმოება. გასათხრელი ობიექტად შეირჩა პატარა უსახელო ღელის, უფრო სწორად ღარდოს ორივე სანაპირო, სადაც ფენები შექმნილია ფერდობებიდან ათასწლეულების განმავლობაში ჩამორეცხილი ქანებით. აქა-იქ ჩნდებოდა თიხის ჭურჭლის პროფილირებული თუ უსახური ნატეხები, განსაკუთრებით საინტერესოა, რომ გამოერია წინარეანტიკური ხანის შტამპის დასატანი ქვის ყალიბი. ახალ მონაპოვრებში იყო სამკუთხაგანიკვეთიანი დერგის პირი. რაც განსაკუთრებით საყურადღებოა მოპოვებულია იქნა მრავალგანყოფილებიანი თიხის საკურთხევლის ნატეხი. საკმაოდ ხშირად ჩნდებოდა დამუშავებული ცეცხლისგან გაშავებული ქვები, რომელთა ერთი ნაწილი გადატანილი იქნა გონიო-აფსაროსის მუზეუმში. ბუნებრივია, სადაზვერვო სამუშაოებისას გამოყოფილი სახსრებით კულტურული ფენების ბოლომდე შესწავლა ვერ მოხერხდა, მიუხედავად ამისა ღელის პირში წარმოებული გათხრების მიხედვით, ვფიქრობთ, საინტერესო სურათის აღდგენის შესაძლებლობა უნდა იყოს.

მურმანეთის სახელოსნო წარმოადგენს ლითონის დამუშავების ერთ-ერთ საინტერესო კერას, სადაც საბადოებში მოპოვებული მადნის გამოსადნობად მომზადება ხდებოდა. კერძოდ, ქვის გობისა და სანაყ-საბეგველების გამოყენებით სწარმოებდა ნედლეულის დაფშვნა-დაქუცმაცება ღვინის პროცესის დაჩქარების მიზნით. ლითონის დანაწევრება-დაქუცმაცება უწყვეტი წყლის ნაკადთან ყოფილა დაკავშირებული. ექსპედიციის პროცესში მ. თავართქილაძესთან ერთად დავათვალიერეთ ომბოლოს ორმაგი ქვის გობის აღმოჩენის ადგილიც.

ახალი გათხრების შედეგად *insitu* მდგომარეობაში დაფიქსირდა შემდეგი სახის არტეფაქტები. თხრილის დასაწყისთან გამოჩნდა ოთხკუთხა ფორმის ქვის გობი, საშუალო ზომის. შედარებით მოსწორებულ ზედაპირზე გაუკეთებიათ კონუსისებრი ჩაღრმავება. ხანგრძლივი გამოყენების გამო ფსკერი ამჟამად

გახვრეტილია. გობი გაშავებულია, ემჩნევა ცეცხლის კვალიც. 5მ. მოშორებით დევს ორი მოზრდილი ლოდი, რომელზეც მოედინება თვით ნაკადული. როგორც ჩანს, საგანგებო ჯერის ჩადგმის შემდეგ შეიძლებოდა წყლის ნაკადის მიშვება ქვის გობებში. ადრეაქვე აღმოჩნდა ქვის სანაყი, რომელიც გადატანილ იქნა გონიო-აფსაროსის მუზეუმში. გარდა ამისა, აღმოჩნდა გაშავებული მოზრდილი ქვები და ერთი დიდი ზომის საბეგველი, რომელიც განხვავებულია ადრე ცნობილი სანაყ-საბეგველები-საგან. შემდგომი მონაპოვართა რიცხვს განეკუთვნება ორად გახლეჩილი მოზრდილი საბეგველ-საცეხველის ნაშთები. ესეც საინტერესო მონაპოვართა რიცხვს განეკუთვნება, რომლის მიხედვით ჩანს, რომ ადრე ქვის დამუშავებასთან დაკავშირებული პროფესიონალ ხელოსანთა ცოდნა, ახალი ტექნიკური პროგრესის შემდეგ (მარტინის ლუმელის გამოგონება), დანერგილ იქნა სამეურნეო საქმიანობის სხვა სფეროებში. ამ მონაპოვართ ჩვენ მივყავართ იმ დასკვნამდე, რომ განვითარებული შეასაუკუნეებიდან უნდა იწყებოდეს აჭარის ეთნოგრაფიულ ყოფაში ფართოდ გავრცელებული ე.წ. ქვის საცეხველ-საძეგველების დამზადება. ეთნოგრაფი ნ. კახიძე მიუთითებს, რომ “ქვის საცეხველების გავრცელებას აჭარაში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. ყველა სოფელს საკუთარი საძეგველ-საცეხველი ჰქონია. ჩამური მთელი სოფლის საკუთრება ყოფილა. მოსახლეობა მარცვლეულს რიგრიგობით ცეხავდა. ისინი ძირითადად მზადდებოდა ერთნაირი წესით. ამისათვის იყენებდნენ წალკატებს, ჩაქურებს, რკინის სოლებსა და კეტებს. ჯერ გულს ამოუხვევდნენ და შემდეგ სასურველ ფორმას აძლევდნენ. ქვის დარბილებისა და სამუშაოს გაადვილების მიზნით წინასწარ ჩვეულებრივი ან მარილიანი წყლით გაჟღენთავდნენ. ამ მიზნით ძმარსაც იყენებდნენ. საცეხველებისა და სანაახელების დამზადება მხოლოდ გამოცდილ ქვითხუროებს შეეძლო. საშუალო ზომის საცეხველის გაკეთებას 20-25 დღე სჭირდებოდა. დროის ხანგრძლივობა დამოკიდებული იყო ქვის სახეობაზეც” (კახიძე., 2004:78). პარალელები ამ საძეგველისა თვით მურვანეთში და სიმონეთის მიდამოებში მოვიპოვეთ.

შემდგომში წყლის დინების მიმართულებით მოზრდილ მონაკვეთზე რაიმე სამუშაოები არ გვინარმოებია, ყველგან შეი-

ნიშნება გაშავებული ქვების არსებობა, აქაც ავიღეთ ერთი საბეგველი. საბეგველ-საცეხველიდან 28-30მ-ში კვლავ გამოჩნდა ქვის ლოდები, სწორედ აქ ვანარმოეთ განმენდითი სამუშაოები. 68მ-ის მოშორებით დაფიქსირდა საშუალო ზომის ქვის მორიგი სანაყი. მრგვალი. აქვს კონუსისებური ფორმის სანაყი განყოფილება. ამავე სახელოსნოს უნდა უკავშირდებოდეს რამაზ გოგაძესთან მთლიანად დაცული ნახევარსფერული მოყვანილობის ქვის გობი, რომელიც ქმნის სრულიად ახალ ტიპს. ამით დასრულდა მურვანეთის სახელოსნოს საველე სამუშაოები.

ინფორმაციის მიხედვით ლელის მარცხენა ფერდზე დავიწყეთ გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან სანაგვედ გამოყენებული ორმოს შესწავლა, რომლის ზედა დონე გავსებული იყო ჯართითა და საყოფასცხოვრებო ნარჩენებით.

ორმოს კონტურების შესაბამისად ავაგეთ მორიგი საკონტროლო თხრილი. დონეების შესაბამისად ჩავედით 0,25-0,5-1,1 მ. სიღრმეზე. თხრილის ჩრდილოეთი კედლის ჰუმუსის სისქე 25-30სმ. ამ მონაკვეთზე ყვითელი თიხნარის სისქე - 0,7-0,8 მ-ია. დასავლეთ კედელთან დავღრმავდით 1,4მ-ზე. ჰუმუსის სიმძლავრე იყო 35 სმ. აღმოსავლეთი კედლის კონტურები ჯერ კიდევ არ არის გამოჩენილი. თანდათანობით შემცირდა ნაგავსაყრელი, მცირე ფართობი შემორჩა მხოლოდ შუანელზე. მიჯუახლოვდით ჩვენთვის საინტერესო ორმოს უძველეს დონეს. ალაგ-ალაგ განსაკუთრებით აღმოსავლეთ ნაწილში თავი იჩინა ნახშირის ნაშთებმაც, არის თიხამინებიც, რომლებზეც ცეცხლის ზემოქმედების კვალი უნდა შეინიშნებოდეს. ორმოს არსის გაგების მიზნით აუცილებელია გათხრების ბოლომდე მიყვანა.

ჯერჯერობით ძეგლზე განხორციელებულია მცირე მასშტაბის სამუშაოები. ბუნებრივია, არქეოლოგიური მონაპოვრები მოკრძალებულია. არსებითია ისიც, რომ კერამიკის დიდი ნაწილი უსახურია. ზოგიერთი მათგანი ქმნის გარკვეულ პროფილს. ამათ შორის პირველ რიგში აღსანიშნავია მრავალგანყოფილებიანი საკურთხევლის ნატეხი. ტიპურიყავისფერკეციანი, ზედაპირი შავადაა შეფერილი. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ ამ სახის საკულტო მრავალგანყოფილებიანი თიხის საკურთხეველ-სამსხვერპლოები დამახასიათებელი ჩანს სამხრეთ დასავლეთ საქართველოსათვის. ყველაზე დიდი რაოდენობით

მრავალგანყოფილებიანი საკურთხევლები აღმოჩენილია ფიჭვნარში. განსაკუთრებით საკულტო ძეგლზე, რომელიც ძვ.წ. II ათასწლეულის ბოლოთი თარიღდება. ბუნებრივია ხშირად ჩნდება ფიჭვნარის ნაქალაქარის თანადროულ კულტურულ ფენებშიაც. ფიჭვნარის მიხედვით კარგად ჩანს, რომ ამათ რაიმე პრაქტიკული გამოყენება არ უნდა ჰქონოდათ. დასტურდება თითოეულ მათგანზე რამდენიმე ოთხი ან მეტი წრიული მოყვანილობის 1,5სმ-ის ჩაღრმავების არსებობა. ერთ-ერთი მათგანის დმ-32 სმ. განყოფილების 15 სმ. ზედაპირი კარგადაა მოსწორებული. შეინიშნება ცეცხლის ხანგრძლივი ნთების კვალი (კახიძე, 1971:57-58). რამოდენიმე ნატეხი აღმოჩენილია ციხისძირში, ბათუმის ციხესა და მახვილაურის ბორცვზე (კახიძე, ხახუტაიშვილი, 1989:3-9) საქართველოს სხვა ნაწილებიდან მსგავსი სამსხვერპლოები უცნობია. ჩვენი მინაპოვარი, ვფიქრობთ, გარკვეულად უნდა უკავშირდებოდეს ბ. პიოტროვსკის მიერ კარმიბლურში აღმოჩენილ შედარებით დიდი ზომის (1,8მ.) წარგძლეულ მრავალგანყოფილებიან ბრტყელ თიხის სამსხვერპლოს. საყურადღებოა, რომ მასთან ახლოს ჩნდებოდანაცრისა და მსხვერპლად მიტანილი ცხოველის ძვლების გროვა (Пиотровский, 1952:21, სურ.7). კარმიბლურის სამსხვერპლო ძვ.წ. VIII დასასრულითა და VI-ის დამდეგით თარიღდება. ჩვენი მონაპოვარი გაცილებით ადრეულია. როგორც ჩანს, ქოროხის აუზი და მიმდებარე ტერიტორიების კონტაქტები ანატოლიურ სამყაროსთან საკმაოდ ადრეული ეპოქებიდან დაწყებულია.

არის ადრეანტიკური ხანის სქელკედლიანი მოყავისფროდ გამომწვარი ქვევრის ნატეხები, რომელთა ზედაპირი შავი ფერისაა. იდეგ უფრო საყურადღებო ჩანს ოთხკუთხა მოყვანილობის ქვის შტამპი, რომლის ერთი ზედაპირი საკამოდ მჭიდროდ განლაგებული ღარებითაა დაფარული. ეჭვს არ იწვევს, რომ ქვის შტამპით ხდებოდა კოლხური ქვევრებისათვის აგრერიგად დამახასიათებელი ჰორიზონტალური ღარების დეკორის დატანა. შტამპის სიგანე-8 სმ-ია სიმაღლე-3,5 სმ. შემორჩენილი სიგრძე-7 სმ. ეს მონაპოვარი ყურადღებას იმითაც იქცევს, რომ 2005 წელს სოფელ ქარნალში წარმოებული გათხრებისას აღმოჩნდა თანადროული ქვის შტამპები. თვით მურმანეთში მოვიპოვეთ ფართო კანელურებით შემკული მონითალო-მოყავისფრო თი-

ხის ჭურჭლის ფრაგმენტი. მსგავსი კერამიკული ნაწარმი გავრცელებული ჩანს ძვ.წ. I ათასწლეულის დამდეგისათვის. არის წინაანტიკური ხანის ჭურჭლის მცირე ნატეხიც. გვაქვს დერგის სამკუთხაგანიკვეთიანი პირი, მუქი ყავისფერი, კეცი მინარევიანი.

ყურადღებას იქცევს ამავე ძეგლიდან მომდინარე გონიო-აფსაროსის მუზეუმში დაცული ნივთებიც. ამათ რიცხვს მიეკუთვნება სანაყ-სასრესი, მოზრდილი, მრგვალგანიკვეთიანი. ცალი გვერდი უხეშად მოსწორებული. თავი მომტვრეულია, ზედა ნახევარი ხელის კარგად მორგების მიზნით ოდნავ შევიწროვებული აქვს. საკმაოდ მასიური.

**ქვის გობი.** საშუალო ზომის, სფერული ფორმის, საგულდაგულოდ დამუშავებული. ზედა ნახევარზე გაკეთებულია საკმაოდ ღრმა კონუსისებური ჩარღმავება. გობის დმ-40X35 სმ. პირის-16 სმ; სიღრმე-15 სმ; სიმაღლე-30 სმ. აღმოჩენილა ქვის დიდი ზომის ოთხკუთხა სანაყი, ბოლო მომრგვალებული, გვერდები ოთხკუთხა მოყვანილობის, ზედა ნაწილი საგრძნობლად შევიწროვებული. გაჩნდა ეჭვი, რომ შევიწროვებული ნაწილი მაგრდებოდა საგანგებოდ დამუშავებულ ხის ღეროზე, რომლის საშუალებითაც, როგორც ჩანს, ხდებოდა წყლის ენერჯის გამოყენებით სანაყის მოძრაობაში მოყვანა, მკვეთრი აწევა-დავარდნა. სანაყის სიმძიმე და ზომები იმის დადასტურებაა, რომ პროფესიონალ მელითონეებს შორის ნაყოფიერება ხელის სანაყებთან შედარებით გაცილებით მეტი იქნებოდა.

### **გამოყენებული ლიტერატურა:**

1. კახიძე ა., საქართველოს ზღვისპირეთის ანტიკური ხანის ქალაქები, თბ. 1971
2. კახიძე ა., ხახუტაიშვილი დ., მასალები ბათუმის ძველი ისტორიისათვის. - სდსძ XVIII, ბათუმი 1989
3. კახიძე ა., მამულაძე შ., ჭოროხის აუზი კოლხური კულტურის უძველესი კერა, აჭარა 2000
4. კახიძე ა., ვიკერსი მ., კოლხები და ბერძნები აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში - ფიჭვნარი I, ბათუმი-ოქსფორდი 2004
5. კახიძე ა., ვაშაკიძე ნ., ელინიზმი და კოლხეთი - ფიჭვნარი III, ბათუმი-ოქსფორდი 2010

6. რამიშვილი ა., კოლხეთის მატერიალური კულტურის ისტორიიდან, საბჭოთა აჭარა 1974
7. ქორიძე დ., კოლხური კულტურის ისტორიისათვის, თბ. 1965
8. Кахидзе А. Восточное Причерноморье В Античную эпоху, Батуми. 1981
9. Пиотровский Б.Б Кармир-Бнур, II. Ереван 1952

*Amiran Kakhidze*  
*Malkhaz Nagervadze*

*Ancient spots of Bronze metallurgy in Georgia*  
*(Ajara-Charnali)*  
*Summary*

Chorokhi basin and its tributaries are rich in various mineral reserves, polymetal, especially copper deposits. Additionally, in downstream of Chorokhi are obtained treasures of Late Bronze - Early Iron Age. That's why we decided to carry out a reconnaissance works in downstream of Chorokhi basin, in order to study production facilities of Bronze Age. Based on rich archaeological achievements, the article discusses metallurgy remains of Bronze Age on Charnali example.



**შოთა მამულაძე**  
**ნარგიზ სურმანიძე**

**2014 წელს გონიო-აფსაროსის ციხის სამხრეთი**  
**კარიბჭისა და აბანოთუბნის მიმდებარე**  
**ტერიტორიაზე ნაპოვებული არქეოლოგიური**  
**გათხრების ძირითადი შედეგები**

მიმდინარე წლის ივლის-აგვისტოში გონიო-აფსაროსის მუდმივმოქმედმა არქეოლოგიურმა ექსპედიციამ სამხრეთ კარიბჭისა და აბანოთუბნის მიმდებარე ტერიტორიაზე, SW II სექტორის 48, 49, 50, 58, 59, 60, 68, 69, 70, 78, 79, 80 და SW III სექტორის 41, 42, 51, 52, 53, 61, 62, 63, 71, 72 კვადრატებში განაახლა სამუშაოები.

შესასწავლ ფართობზე, წინა წლებში ჩატარებული გათხრებისას SW II სექტორის 59, 60, 61, 69, 70 და SW II სექტორის 51, 52, 53, 61, 62 კვადრატებში სრულად მოიხსნა ჰუმუსი და 61, 70 კვ. დასავლეთ და 69-ე კვ-ის სამხრეთ-დასავლეთ მონაკვეთში გამოიკვეთა კარგად დაცული მოზრდილი ზედაპირდამუშავებული ქვებისაგან შედგენილი სავალი ბილიკი, რომელიც სამხრეთ კარიბჭიდან მიემართება ჩრდილოეთით (ტაბ. II, III. კახიძე, მამულაძე, 2004:46, ტაბ. XL).

ადრე წარმოებული არქეოლოგიური სამუშაოების შედეგად SW II სექტორის 78, 79, 80, SW III სექტორის 71 კვ-ის დასავლეთ და 90 კვ-ის აღმოსავლეთ მონაკვეთში, რომლებიც აბანოს აღმოსვლეთ კედლის ხაზს მიუყვება სამუშაოები კიდევ უფრო ღრმად იყო ჩატარებული. აქ კულტურული ფენები რომაული ხანის წყალგაყვანილობის სისტემამდეა დაყვანილი (ტაბ. IV/1), სადაც კარგად ჩანს ფართო, ცილინდრული ფორმის მილების სამი რიგი (მილების საშუალო ზომებია: სიგრძე 40-46 სმ., დმ. 18X22 სმ) და სამხრეთ კარიბჭიდან შემომავალი მილების გაგრძელება (კახიძე, მამულაძე 2004:6, 7, 20, ტაბ. XI, XXXV). მიწები კენჭებითა და ტალახით შედგენილ მკვრივ ფენაშია განლაგებული, და ზოგიერთ მონაკვეთში შეინიშნება, რომ გამყარების მიზნით ორივე მხრიდან, ოდნავ ქვემოთ შემოწყობილი აქვს პატარა ზომის ქვები (ტაბ. IV/2). აღნიშნულ წყალგაყვანი-

ლობის სისტემასთან შედარებით მაღლა (დაახ. 50სმ) გვიან შუა საუკუნეებში გამართული მიწები (მიწების საშუალო ზომე-ბია: სიგრძე 37-42 სმ., დმ. 18X22 სმ) წარმოდგენილი (ტაბ. IV/1), ისინიც სამხრეთ კარიბჭიდან მოემართება, აბანოსთან უხვევს დასავლეთით, გაივლის SW III სექტორის 100, SW VI სექტორის 10, 20 კვადრატებს და გადადის 30 კვ-ში (კახიძე, მამულაძე 2004:10, სურ.7).

რომაული წყალგაყვანილობის სისტემის შესწავლის მიზნით, მიწების აღმოსავლეთით, სამხრეთიდან ჩრდილოეთის ხაზზე წარმოქმნილ ქრილში, დასავლეთიდან აღმოსავლეთით მიმართული ოსმალური ხანის მილიც იყო დაცული. როგორც ადრე ჩატარებული გათხრების დროს შექმნილი ფოტო მასალიდან (კახიძე, მამულაძე 2004, ტაბ. XI, XXXV) ჩანს, ეს მილი იმ სისტემის ნაწილია, რომელიც აბანოს, კერძოდ, საქვების სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში კონტრფორსისებურ მინაშენამდე ვრცელდება. აღნიშნულ მინაშენში ვერტიკალურად ჩასმულია გვიანშუასაუკუნეების დროინდელი თიხის მიწების ორი რიგი, რომელიც მინაშენის აღმოსავლეთ ნაწილში გარედან შედის. ოსმალური ხანის ქვაფენილსა და რომაული ხანის წყალგაყვანილობის სისტემებს შორის არსებულ მონაკვეთში ფილებით გამართული იყო თანამედროვე სავალი ბილიკი (ტაბ. II/1). წელს გავაგრძელეთ ამ მონაკვეთის შესწავლა. პირველ რიგში ავიღეთ ეს ფილები, რომელიც ნულოვანი წერტილიდან 10-14 სმ სიღრმეზე მდებარეობდა, მის ქვემოთ შეექმნათ 7-10 სმ. სიმძლავრის სიღრმე ფენა ბილიკის გასამართავად, რომლის მოხსნის შემდეგ გაინმინდა ოსმალური ხანის კულტურული ფენის ზედაპირი, რომელიც 78, 79 კვ-სა და 80 კვ-ის ჩრდილოეთ მონაკვეთში საშუალო ზომის უსწორმასწორო ქვებით იყო მოწყობილი და სხვადასხვა პერიოდის კერამიკის ფრაგმენტებით გაჯერებული. დიდ ნაწილზე შემორჩენილი იყო კირხსნარის ნაშთები. შეინიშნება ქვიშის გამოყენების ფაქტიც. ქვების, კერამიკის, კენჭებითა და ტალახის ნაზავით მიიღებოდა საკმაოდ კარგად გამართული, სწორზედაპირიანი იატაკი. აღნიშნული ფენის სამხრეთ გაგრძელებაზე, 80 კვ-ის სამხრეთ-დასავლეთ და 71 კვ-ის ჩრდილოეთ მონაკვეთში გაინმინდა ზედაპირდამუშავებული ქვების წყობა (ფენილი), რომელიც ადრე აღმოჩენილი ქვაფენილის დასავლეთით მდებარეობს (ტაბ. III-1).

ამ მონაკვეთში არსებული კულტურული ფენების უკეთ ნარმოდგენის მიზნით გადაწყდა ქვაფენილების დატოვება, ხოლო მათ გვერდით არსებული ქვაყრილიანი ოსმალური ფენა მთლიანად იქნა აღებული. ბილიკის ზედაპირიდან დაახლოებით 20-35 სმ. სიღრმეზე გამოჩნდა წყალგაყვანილობის მიღები, რომელიც მიემართება დასავლეთიდან აღმოსავლეთით, 70 და 80 კვ-ის მიჯნაზე რკალისებურად უხვევს და გრძელდება ჩრდილოეთით 69 და 68 კვ-ში. აქ 69 კვ-ის ჩრდილო-დასავლეთ და 68 კვ-ის სამხრეთ-დასავლეთ მონაკვეთში კულტურული ფენა ძლიერაა დარღვეული და შესაბამისად მიღები სრულიად განადგურებული. წყალგაყვანილობის სისტემა, დაზიანების თავიდან აცილების მიზნით, შემოსაზღვრული და გადახურულია კირხსნარის დუღაბით შეერთებული ქვებით, გადახურვაში გამოყენებულია კრამიტიც. მიღებს ზედა მხარეს აქვს ამონატეხები ჰაერის თვითგამოტუმბვის მიზნით (V/1). აღნიშნული წყალგაყვანილობის სისტემა გამართულია რომაული ხანის იატაკის ზედაპირზე და იმ მილის გაგრძელებაა, რომელიც ზემოთ აღნიშნულ ჭრილში იყო დაცული.

ოსმალური კულტურული ფენის აღების შემდეგ დავედით რომაული იატაკის დონეზე. აბანოსა და შესასწავლ მოედანს შორის, ადრე ნარმოებული სამუშაოების შედეგად მიღებული ჭრილის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, აქ რაიმე შენობის კვალი არ შეინიშნება. რაც შეეხება რომაული ხანის კულტურულ ფენას, იგი ზღვის კენჭებითა და ტალახით შედგენილი მძლავრი შრითაა ნარმოდგენილი (ტაბ. V/2).

განსხვავებული სურათი გვაქვს ოსმალური ხანის ქვაფენილის აღმოსავლეთით SW II სექტორის 48, 49, 50, 58, 59, 60 (სრულ), 68, 69 (დასავლეთ მონაკვეთში), და SW III სექტორის 41, 42, 51, 52, 53 (სრულ), 61, 62, 63 (დასავლეთ მონაკვეთში) კვადრატებში.

ყურადღებას იქცევს SW III სექტორის 63 და 52 კვ-ში ქვებით ამოყვანილი არხი (ნულოვანი წერტილიდან 1,05 მ. სიღრმეზე მდებარეობს, ტაბ. VIII/1). ქვების გადაბმის მიზნით ზოგან გამოყენებულია კირხსნარიც. არხი გადახურულია მოზრდილი ქვებით. ამჯერად გაიწმინდა არხის 4 მ სიგრძის მონაკვეთი. დანარჩენი ნაწილი აღმოსავლეთით და დასავლეთით გაუთხრელ ფართობში შედის. არხის ჩრდილოეთით, 25 სმ-ზე მაღლა დაცულია 1 მ. სიფართის ოსმალური ხანის იატაკი (ნ.წ. 0, 80 მ. სიღრმეზე).

69, 70, 61, 62 კვ-ის აღმოსავლეთი მონაკვეთსა და 59, 60, 51, 52, 53 კვადრატებში, წინა წლების გათხრების შედეგად ჰუმუსი და ოსმალური ხანის კულტურული ფენა აღებული იყო; სამუშაოები დაყვანილი იყო რომაული ხანის იატაკისა და შენობის საძირკვლის დონემდე. საანგარიშო წელს გავაგრძელეთ ამ მონაკვეთში არქეოლოგიური სამუშაოები, თხრილი გავაფართოვეთ აღმოსავლეთითა და დასავლეთით 58, 48, 49, 50, 41, 42 კვადრატებში, სადაც, 20-25 სმ. სიმაღლის ჰუმუსის ალების შემდეგ დავედით ოსმალური ხანის კულტურულ ფენამდე, რომლის სიმძლავრე სხვადასხვა მონაკვეთში სხვადასხვაა (40-60 სმ). ამ ეპოქის ნაგებობის ნაშთები არ გვაქვს.

ჰუმუსიდან და ოსმალური ხანის კულტურული ფენიდან წარმოდგენილი იყო როგორც რომაული ხანის, ადრე, განვითარებული და გვიანი შუასაუკუნეების სამშენებლო და საყოფაცხოვრებო კერამიკა (კრამიტები, აგურები, ამფორების, ქოთნების, მინის სასმისების, ფაიანსის, მოჭიქული კერამიკის, სასანთლეების და სხვა ფრაგმენტები). 49 კვ-ის ცენტრალურ ნაწილში, ჰუმუსში აღმოჩნდა ორგანოფილებიანი ქვის სანაყი. ოსმალური ხანის კულტურული ფენის მოშლის შემდეგ 41 და 42 კვადრატებში გამოიკვეთა წვრილი კენჭებითა და ტალახით მოტკეპნილი საკმაოდ მძლავრი რომაული პერიოდის იატაკი, რომელიც ადრე შესწავლილი (51, 52 კვ.) კულტურული ფენის გაგრძელებაა. 49 და 50-ე კვადრატებში რომაული იატაკი ძირითადად ტალახის ტკეპნილითაა გამართული და წინა წლებში 60 და 59-ე კვადრატებში დაფიქსირებული იატაკის აღმოსავლეთ ნაწილს წარმოადგენს, სადაც კენჭების მასიურად გამოყენების კვალი არ შეინიშნება.

იატაკში, სხვადასხვა სიღრმეზე ალაგ-ალაგ, მცირე რაოდენობით შერეული იყო თანადროული ეპოქის მასალა (ყელნიბოიანი ამფორის, ხუფის, მინის ჭურჭლის ნატეხები, წისქვილის ქვა).

42, 52 კვ-ისა და 50, 41, 60, 51-ე კვ-ის მიჯნაზე დაფიქსირდა ოსმალურ ხანაში რომაული იატაკის ზედა დონის დარღვევის შედეგად წარმოქმნილი ორმო, რომელშიც გვიან შუასაუკუნეების კერამიკასთან ერთად აღმოჩნდა რომაული და ბიზანტიური ნივთები. მსგავსი ორმო გვხვდება 42-ე კვადრატის დასავლეთ მონაკვეთშიც, თუმცა აქ კერამიკა ნაკლებადაა (აღმოჩნდა ყელ-

ნიბოიანი ამფორის ნატეხები). ყველაზე ღრმა ორმო წარმოდგენილია 49-ე კვ-ის ცენტრალურ მონაკვეთში. სხვადასხვა სახისა და ეპოქის მასალაც ყველაზე მეტად აქ იყრიდა თავს. უნდა აღინიშნოს, რომ რომაული იატაკის ზედაპირის დარღვევას ადგილი მხოლოდ გვიან შუასაუკუნეებში არ ჰქონია, 50-ე კვ-ის დასავლეთ მონაკვეთში, დასავლეთიდან აღმოსავლეთით მიმართული საძირკვლის კედლის ჩრდილოეთით გამოიკვეთა ორმო, რომელიც თავისი შეფერილობით განსხვავდებოდა ოსმალური ხანის (შავი ფერის) ორმოსაგან და მასში კონცენტრირებული იყო მხოლოდ ბიზანტიური და რომაული კერამიკა (ამფორის, ლუთერიის). ადრეშუასაუკუნეების (ბიზანტიური ხანის) კულტურული ფენა (იატაკის ან შენობის ნაშთები) არ გვაქვს.

გათხრების დროს დაფიქსირებული რომაული ხანის შენობის საძირკველი, რომლის ნყოფაში გამოყენებულია დაუმუშავებელი ქვები, გადაება წინა წლებში აღმოჩენილ საძირკველს. მივიღეთ შემდეგი სურათი:

41, 42 კვ-ის დასავლეთ ნაწილში კედელი სამხრეთიდან ჩრდილოეთითაა მიმართული და გრძელდება 49, 48 კვ-შიც. ზოგიერთ მონაკვეთში იგი მორღვეულია. სამხრეთიდან ჩრდილოეთით მიემართება 52, 51 კვ-ის დასავლეთ მონაკვეთში და 60-70, 69-59 კვ-ის მიჯნაზე გამოკვეთილი, ოდნავ დასავლეთით გადახრილი საძირკვლის ნყოფა, რომელსაც 70, 60 კვ-ში კვეთს დასავლეთიდან აღმოსავლეთით დამხრობილი კედელი (ტაბ. I). საძირკვლებს შორის არსებულ სივრცეს წარმოადგენს ზემოთ აღნიშნული იატაკები. კედლებს შორის დაცილებათაა WO ხაზზე (SW III სექტორში) – 5,9X5,9X6,10 მ. WO ხაზზე (SW II სექტორში) – 5,68X5,70X5,9 მ. SN ხაზზე (SW II სექტორში) – 6,6X6,85X7,05 მ. კედლის საშუალო სისქე 70-85 სმ-ია.

სამშენებლო დონეების დაზუსტების მიზნით სამხრეთიდან ჩრდილოეთის მიმართულებით 52, 51, 59, 60 კვ-ში ჩავჭერით იატაკი. მისი სისქე მერყეობს 50-60 სმ-დე და იმდენად მკვრივია და ძნელად მოსაშლელი, რომ სავარაუდოდ მისი გამოყენება შესაძლებელი იქნებოდა მომდევნო ეპოქებშიც.

აღნიშნული იატაკი და კედლები მივიჩნიეთ რომაული ხანის ზედა სამშენებლო დონედ, რადგან ჭრილში (51 კვ-ის ჩრდილოეთ მონაკვეთში) გამოჩნდა ჰიდრავლიკურხსნარიანი იატაკის მცირე

ნაშთები. როგორც ჩანს, ქვედა სამშენებლო დონე მთლიანადაა ნიველირებული. ორივე ფაქტიურად გამართულია დიუნურ ნა-  
მოსახლარზე. ჭრილში რომაული ხანის კერამიკასა და მონეტებ-  
თან ერთად აღმოჩნდა ქვიშაზვინულებისათვის დამახასიათებ-  
ელი უხეში კერამიკის, კერძოდ, სადგრის ფრაგმენტებიც.

ჰუმუსში, ოსმალური პერიოდის ფენასა და ამავე პერიოდში  
რომაულ იატაკში ჩაჭრილ ორმოებში მოპოვებული სხვადასხვა  
სახის (თიხის, მინის, ბრინჯაოს, რკინის, ქვის) ნაწარმი განე-  
კუთვნება გვიანანტიკურ, ადრე, განვითარებულ და გვიანშუა-  
საუკუნეებს. ადრეშუასაუკუნეებში რომაული იატაკის ზედაპი-  
რის დარღვევის შედეგად წარმოქმნილ ორმოებში კი, ბიზანტი-  
ური და რომაული კერამიკა ერთმანეთშია არეული. რაც შეეხე-  
ბა რომაული ხანის იატაკის დაუზიანებელ ფენაში მცირე რაო-  
დენობით გვხვდება I-III სს-ით დათარიღებული მასალა.

გათხრების შედეგად აღმოჩენილი გვიანანტიკური და ად-  
რეშუასაუკუნეების ნივთიერი მასალის ყველაზე მრავალრიც-  
ხოვან ჯგუფს ქმნის ამფორები. ისინი ძირითადად ყელის, ყუ-  
რის, ტანისა და ძირის ფრაგმენტების სახითაა წარმოდგენილი  
და მსგავსია სხვადასხვა დროს გონიო-აფსაროსის ტერიტორია-  
ზე მოპოვებული ნიმუშებისა, რომელთა კლასიფიკაციის შესა-  
ხებ არსებობს სპეციალური მონოგრაფია (ხალვაში, 2002), რაც  
საშუალებას გვაძლევს საანგარიშო წელს მოპოვებულ ამფო-  
რებში გამოვყოთ ახ.წ. I-III სს-ის ყავიფერკეციანი, ყელწიბოიანი  
(ტიპი I. № გ.ა. 2014/248, 270, 271, 289, 305), ქიმისებურშვერილი-  
ანი ყურის მქონე (ტიპი III. № გ.ა.2014/132, 205), ძაბრისებურპი-  
რიანი (IV ტიპი. № გ.ა.2014/346), სინოპური (№ გ.ა.2014/5, 95,  
325, 249, 185) და ადრეშუასაუკუნეების I-IV ტიპის ამფორები (№  
გ.ა.2014/107, 117, 148, 190, 309, 348, 358, 363, 364).

ფრაგმენტების სახითაა წარმოდგენილი ამავე პერიოდი-  
სათვის დამახასიათებელი სამზარეულო და სუფრის ჭურჭელი  
ე.წ. ქვან-ქოთნები (№ გ.ა.2014/4, 92, 141, 332), ლუთერიები (№  
გ.ა.2014/231, 252, 311), ნითელაკიანი ჭურჭელი (№ გ.ა.2014/6,  
269).

სრულადაა დაცული ჭრაქი (№ გ.ა.2014/152), რომლისთვი-  
საც დამახასიათებელია ჩაზნექილი ფარაკი, ფარაკს ერთ კუთ-  
ხეში დატანილი აქვს წრიული საზეთე ნახვრეტი და კორპუსისა-

გან მკვეთრად გამოკვეთილი საპატრუქე. ფარაკზე ნარმოდგენილია გამოსახულება, რომლის გარჩევა ჭირს. ამ ტიპის ჭრაქები გავრცელებულია I-II სს-ში (ებრაღიძე, 2005:56-59)

მინის ნაწარმიდან გამოიყოფა სასმისის ძირები. გვხვდება, როგორც ბრტყელი (№ გ.ა.2014/154, 204), ასევე კონუსურ-შელრმავებიანი ნიმუშები (№ გ.ა.2014/42, 103, 104, 151, 203, 345), ანალოგიურია გონიო-აფსარორის ტერიტორიაზე სხვადასხვა დროს აღმოჩენილი ნიმუშებისა (შალიკაძე, 2004:42-46)

სხვა სახის მასალებიდან ნარმოდგენილია ბრინჯაოს მონეტები, რომლის შესახებ განმენდამდე ვერაფერს ვიტყვი (№ გ.ა.2014/, 100) და ნისქვილის ქვა.

ყურადღებას იქცევს განვითარებული შუა საუკუნეების კერამიკული ნაწარმი, სადაც გამოიყოფა **ლანგრისებური ჭურჭლის** ძირისა და პირის ფრაგმენტები. მათი კეცი მოყვითალო, ღია ყავისფერი ან კიდევ მოვარდისფროა. აქვთ ფართო, გარეთკენ გადაშლილი პირი, რომლის ზედა კალთა შემკულია შტამპით დატანილი, დაბალ რელიეფში შესრულებული ორმაგი რომბების ერთი ჰორიზონტალური სარტყელით, რომლის კიდები შემოფარგლულია კონცენტრირებული ზოლებით (№№გ.ა.2014/1, 236). მსგავსი ორნამენტის დაშტამპვა ხდებოდა არა მარტო ჭურჭლის პირზე, არამედ მის ფსკერზეც; ჭურჭლისთვის დამახასიათებელია ბრტყელი ძირი (№ გ.ა. 2014/237). გვხვდება განსხვავებული ორნამენტის მქონე ცალეებიც. კერძოდ, ამავე ტიპის ჭურჭელს უნდა ეკუთვნოდეს პირის ის ფრაგმენტები, რომლებიც ფორმით სრულიად მსგავსია ზემოთ აღწერილი ნიმუშისა, ხოლო პირის ზედა კალთა შემკულია მჭიდროდ განლაგებული ვერტიკალური ხაზების ერთი ჰორიზონტალური რიგით, რომლის კიდები კონცენტრირებული ზოლებითაა შემოსაზღვრული. პირი ტანის დასაწყისთან მკვეთრი ნიბოთია გამოყოფილი (№ გ.ა. 2014/2,13).

მიიჩნევენ, რომ ამ ტიპის კერამიკა გავრცელებულია IX-XIV სს-ში და სათავეს იღებს შუა აზიასა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში (კახიძე, მამულაძე, 2004:62, სურ. 44, 45. იქვე ლიტ.).

შუასაუკუნეების არქეოლოგიურ მასალაში გვხვდება **მოჭიქული კერამიკა**. მათი უმრავლესობა ჯამებია. ისინი გამომწვარია ღია მოყავისფროდ, ნვრილმარცვლოვანი თიხისაგან. აქვთ

ფართოდ გაშლილი ტანი, მკვეთრად გადაკეცილი პირი, რგოლისებური ქუსლი. გვხვდება, როგორც ერთფრად მოჭიქული (ძირითადად მწვანედ), ასევე მრავალფრად (მწვანე, ყვითელი, ყავისფერი) მოჭიქული ჯამებიც. ჭიქური ძირითადად გადავლებული აქვს თეთრ ანგობაზე. გეომეტრიული ორნამენტი (ხაზები, სპირალისებური ხვიები, რგოლები), რომლითაც შემკულია პირისა და ტანის შიგა ზედაპირი, ამოკანვრის მეთოდითაა გამოყვანილი. ხშირად გვხვდება ფუნჯით მოხატული ტალღისებური ფიგურებიც (№ გ.ა. 2014:/41, 80. 81. 234). ამ ჯამებს ანალოგები ეძებნება XII-XIII სს-ით დათარიღებულ ძეგლებზე აღმოჩენილ მასალებთან (მინიშვილი, 1976:10,14; მამულაძე, 1993:60; ებრაღიძე, მამულაძე, ასლანიშვილი, 2013:282, 295).

მოჭიქულ კერამიკაში გამოიყოფა გვიანშუასაუკუნეების ჭურჭელიც. ისინი წარმოდგენილია, ჯამების, ლანგრებისა და ხელადების ფრაგმენტების სახით (№ გ.ა. 2014/79, 219-225). გვხვდება შანდლის ძირიც (№ გ.ა. 2014/17).

გვიანშუასაუკუნეების ფენაში მრავლადაა მოუჭიქავი კერამიკაც. ყველაზე მეტად წარმოდგენილია ხელადები, მათი ერთი ნაწილი მილიანია (№ გ.ა. 2014/59, 180, 181). ანალოგები ეძებნება, როგორც ქვეყნის შიგნით ასევე მის ფარგლებს გარეთაც და თარიღდება XIV-XVI სს (კახიძე, მამულაძე, 2004:63)

საყურადღებო ჯგუფს ქმნის ფაიანსის ჭურჭლის ფრაგმენტებიც. გამოირჩევა ჯამის ფინჯნისებური ჭურჭლის პირის, ძირისა თუ ტანის ნატეხები, თითქმის ყველა თეთრი ფერისაა და ლურჯი საღებავით მოხატულია ყვავილები (№ გ.ა. 2014/50, 60, 70, 85, 166, 231, 232, 233).

გვიანფეოდალური ხანის კერამიკული ნაწარმის საყურადღებო ჯგუფს ქმნის ჩიბუხები (№ გ.ა. 2014/8, 18, 19, 72, 74, 167, 207, 210, 212, 213, 215, 216), მათში შეინიშნება განსხვავება კეცის, ფორმის და მორთულების მიხედვით; ზოგიერთ ნიმუშს აჩნია წერნაქის კვალიც.

გამოიყოფა თეთრი, ნაცრისფერი, ყავისფერი და წითელ-კეციანები. ფორმით ისინი სხვადასხვა ვარიანტებს ქმნიან. გვხვდება გამოზერილმუცლიანი, მრგვალტანიანი, ოდნავ დაბრტყელებულტანიანი და ბრტყელძირა ჩიბუხები, პირის მოყვანილობის მიხედვით ზოგიერთ მათგანს დაბალი ყელი, ოდნავ



გარეთკენ გადაშლილი პირი აქვს, უმეტესობას მაღალი, სწორი ან შეზნექილპროფილიანი. გვაქვს დანახნაგებული პირის ნიმუშებიც. ყველა ჩიბუხისათვის დამახასიათებელია ლილვაკისებურდაბოლოებულიანი ტარი, ხშირად ლილვაკიცა და ტარიც შემკულია ქდეური და ტალღოვანი ორნამენტით, ტარისა და ტანის შეერთების ადგილები გამოყოფილია და შემოსაზღვრულია ნერტილოვანი ხაზებით. ჩიბუხების დიდი ნაწილი შემკულია: კანელურებით, ქდეებით, პალმეტებით, წინვისებური, ყვავილოვანი და გეომეტრიული ორნამენტით.

მკვლევართა უმეტესობა მიიჩნევს, რომ საქართველოში ჩიბუხების შემოტანა XVI ს-ში უნდა დაწყებულიყო. არსებობს განსხვავებული მოსაზრებაც, რომლის მიხედვით აღნიშნული ნაკეთობანი XVII ს-ის პირველი ნახევრის ბოლო ათწლეულიდან ვრცელდება. ჩიბუხები გვხვდება როგორც დასავლეთ, ასევე აღმოსავლეთ და სამხრეთ რეგიონებში (არჩვადე, 1978:119-129, ჯანდიერი, 1974:60-62, ჩხეიძე, 1982:114-128, კახიძე, სახუტაიშვილი, 1989, თავამაიშვილი, 2009:166-170, მამულაძე, ქამადაძე, 2013:266).

გვიანფეოდალური ხანის საყოფაცხოვრებო მოხმარების თიხის ნაწარმს შორის გვხვდება სასანთლეები. აღმოჩენილი ნიმუშების მიხედვით ჩანს, რომ ისინი ამოყვანილია ჩარხზე, ახასიათებთ მოყავისფროდ გამოწვა, აქვთ მაღალი შეზნექილპროფილიანი სასანთლე (პირის დმ. 3,5 სმ, სიმაღლე 3,3 სმ), მისგან 4 სმ-ის მოშორებით, ფეხზე ნაპირებაზიდული ჯამია (9 სმ.) მიძერწილი სანთლის ჩამონალვენთებისათვის. ჯერჯერობით არაა აღმოჩენილი მთლიანად დაცული ნიმუში, რის გამოც ჭირს საუბარი თუ რა სიმაღლის უნდა ყოფილიყო სასანთლის ფეხი და როგორი დაბოლოება ქონდა მას, აღმოჩენილი ფრაგმენტების მიხედვით ფეხს სასანთლე განყოფილებამდე მთელ სიმაღლეზე აქვს ღრუ (№182, 171, 173, 172).


სხვა სახის ნაკეთობათაგან წარმოდგენილია რკინის ლურსმნები (№ გ.ა.2014/12, 35, 178) და სხვადასხვა ზომის ნალები (№გ.ა.2014/179, 244, 245).

ამ უბანზე არქეოლოგიური გათხრები მომავალშიც გაგრძელდება. დასრულდება რომაული ეპოქის ორივე საამშენებლო დონისა და აქ აღმოჩენილი ამავე პერიოდის ნაგებობათა ნაშთების სრულყოფილი შესწავლა.

ტაბულები:

ტაბ. I

II უბანი





1



2



1



2



1



2



1



2



1



2

### **გამოყენებული ლიტერატურა**

1. არჩვაძე თ., აღმოსავლეთ საქართველოს გვიანფეოდალური ხანის მოუჭიქავი თიხის ნაწარმი. – ფსაძ, III, თბ., 1978
2. ებრალიძე ტ., სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზღვისპირეთი გვიანელინისტურსა და რომაულ ხანაში (სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობანი იმპორტული კერამიკის მიხედვით). – გონიო-ავსაროსი VI. ბათუმი, 2005.
3. თავამაიშვილი გ., გვიანი შუასაუკუნეების არქეოლოგიური მასალაბათუმის ციხიდან. – ბათუმი: წარსული და თანამედროვეობა, ბათუმი, I, 2009
4. კახიძე ა., მამულაძე შ., სამხრეთ კარიბჭისა და აბანოთუბნის ტერიტორიაზე 1995-1999 წლებში წარმოებული კვლევადიების უმთავრესი შედეგები. – გონიო-ავსაროსი IV. ბათუმი, 2004
5. კახიძე ა., ხახუტაიშვილი დ., მასალები ბათუმის ძველი ისტორიისათვის. – სდსძ, XVIII, თბ., 1989.
6. მამულაძე შ., აჭარისწყლის ხეობის შუა საუკუნეების არქეოლოგიური ძეგლები, ბათუმი, 1993.
7. მამულაძე შ., ქამადაძე კ., ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფ.ერგეში 2012 წ წარმოებული არქეოლოგიური გათხრების ანგარიში. – აჭარა, წარსული და თანამედროვეობა (2012 წლის არქეოლოგიური გათხრების შედეგები), I, ბათუმი, 2013
8. მინიშვილი მ., მოჭიქული ჭურჭელი ძველ საქართველოში (XI-XIII სს), თბ., 1969.
9. მინიშვილი მ., ქართული მოჭიქული ჭურჭლის წარმოების ისტორიიდან, თბ., 1976.
10. შალიკაძე თ., გვიანნტიკური და ადრეშუასაუკუნეების მიწის ნაწარმი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს შავიზღვისპირეთიდან. – გონიო-ავსაროსი V. ბათუმი, 2004.
11. ჩხაიძე ლ., გვიანფეოდალური ხანის კერამიკული ნაწარმის ერთი სახეობა გონიოდან. – სდსძ, XI. თბ., 1982
12. ჯანდიერი ე., ჯავახეთის ახალქალაქი გვიანფეოდალურ ხანაში. – ფსაძ, II, თბ., 1974



13. ხალვაში მ., კერამიკული ტარა გონიო-აფსაროსიდან. – გონიო-აფსაროსი II. ბათუმი, 2002.

*Shota Mamuladze*  
*Nargiz Surmanidze*

*Main results of research carried out in Gonio-Apsarus 2014*

*Summary*

The paper deals with the main outcomes of archaeological excavations in 2014 on this area. There were Ottoman (XVI-XIX centuries), the Roman epoch (I-III centuries AD) and Dune (VIII-VII centuries BC) cultural layers. Particular attention is drawn to Roman period's various destination remnants of old structures, water and sewage systems. During excavations turned out quite interesting materials at the same times.

**ახალი ქვის ხანის სამეურნეო იარაღები  
სამხრეთ-დასავლეთ საქართველოდან**

ახალი ქვის ხანა (ნეოლითი) კაცობრიობის ისტორიის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პერიოდია. ამ დროს მოხდა თვისებრივი ძვრები. განვითარდა ქვის ინდუსტრია, ისწავლეს ქვის მაგარი ქანებისაგან ხეხვისა და გაპრიალების გზით იარაღების დამზადება, ქვის გახვრეტა. გაჩნდა იარაღების ახალი სახეები: ხელსაფქვავეები, თოხისებური, ბარისებური, წერაქვისებური იარაღები, სამკელი დანები, ხერხები, სანაფები, ცულები, სათლელები, სატეხები და სხვა; დაეუფლნენ მეთუნეობას, დაიწყეს მარცვლეულის ველური ჯიშების კულტივირება, მოიშინაურეს გარეული ცხოველები და საფუძველი ჩაუყარეს მინათმოქმედებას, მესაქონლეობას და ფეიქრობას.

ნეოლითი დედამიწის სხვადასხვა უბანზე სხვადასხვანაირად თარიღდება. ჩვენთან, საქართველოში კი მიღებულია ნეოლითის შემდეგი ქრონოლოგიური ჩარჩოები ძვ.წ. VIII-VI ათასწლეულები.

ნეოლითური კულტურის ძეგლები უმთავრესად დასავლეთ ამიერკავკასიაშია აღმოჩენილი, სადაც შესანიშნავი კლიმატური გარემო, რელიეფი და მრავალფეროვანი მცენარეული საფარი ქმნიდა უაღრესად ხელსაყრელ პირობებს ცხოველთა მოშინაურებისა, ე.ი. მესაქონლეობისა და მეცხოველეობის განვითარებისათვის [ლორთქიფანიძე; 2002: 50]. სხვადასხვა დროს წარმოებული არქეოლოგიური კვლევა-ძიებების შედეგად სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს (აჭარა-გურია) ძეგლებზე აღმოჩნდა მრავალფეროვანი არქეოლოგიური მასალა. შეიძლება გამოვყოთ ზოგიერთი საინტერესო ნიმუში. პირველ რიგში აღსანიშნავია, ქვის გაპრიალებული ცულები.

როგორც ითქვა, ნეოლითის ეპოქის უმთავრეს სიახლენოვაციას ქვის დამუშავების ტექნიკაში გახეხვა-გაპრიალება წარმოადგენს. პირველად კაცობრიობის ისტორიაში ჩნდება ქვის გაპრიალებული ცული. მისი ფუნქცია პირველ რიგში ტყეების გაჩეხვა და მოჭრილი ხეების შემდგომი დამუშავებით ეს კი აუცილებელი იყო საცხოვრებელი სახლებისა თუ სხვა დამხმა-

რე ნაგებობათა გასამართავად.

გაპრიალებული ცულები მრავლადაა აღმოჩენილი გურიანთის, მამათის, ანასეულის [ნებიერიძე; 1972], მახვილაურის [გოგიტიძე; 1978], ლუმურიშის [კალანდაძე; 1973], კისტრიკის [Лукин; 1950], ოდიშის [კალანდაძე; 1939] ნეოლითურ ნამოსახლარებზე. აღნიშნული იარაღი ფართოდაა გავრცელებული მთელ დასავლეთ საქართველოს ნეოლითურ სადგომებზე. მას ქვის იარაღთა შორის ერთ-ერთი საპატიო ადგილი უკავია.

გაპრიალებული ცულები რამდენიმე ათეული აღმოჩნდა მახვილაურის ნამოსახლარზე (ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი). თითქმის ყველა მათგანს ოვალური განივკვეთი და გვერდს სწორი გაპრიალებული ნახნაგები ახასიათებს (ტაბ. 1/1). უმეტესს გვერდითი ნახნაგები სამუშაო პირიდან ყუის ბოლოსკენ დაჰყვება. ისინი ყველა ორმხრივლესილია. ცულების ყუა დამუშავებულია ე.წ. “წერტილოვანი” ტექნიკით, რომელიც ფართოდაა გავრცელებული ოდიშის ტიპის ძეგლებში და უცნობია ანასეულ I-თვის. მახვილაურის ცულებში ორი ჯგუფი გამოიყოფა: პირველი ყუისადაც სამუშაო პირისაკენ ფართოვდება, მეორე კი ყუიდან სამუშაო პირისაკენ [გოგიტიძე; 1978: 101].

ქვის გაპრიალებული ცულები დიდი რაოდენობით მომდინარეობს გურიანთის ნამოსახლარიდან, რომელიც მდებარეობს ვ. კვერღელიძის საკარმიდამო ნაკვეთში სოფ. გურიანთაში, მდ. სკურდუმის ბორცვზე. 2003-2008 წწ. საგაზაფხულო მიწის სამუშაოების დროს შეგროვდა მრავალფეროვანი მასალა. კოლექციაში გამორჩეული ადგილი უჭირავს რიყის ქვის იარაღებს, მათ შორის ცულებს, რომელთა რაოდენობა რამდენიმე ათეულით განისაზღვრება. ისინი სხვადასხვა ზომისა და ფორმისანი არიან. ყველა მათგანი რიყის ქვაზეა დამზადებული. გვხვდება როგორც ორმხრივლესილი უნახნაგო, ისე ნახნაგიანი ცულები. თითქმის ყველა მათგანის სამუშაო პირი გახეხილ-გაპრიალებულია. ეტყობა გამოყენების კვალი. მათ შორის ყურადღებას იქცევს თითქმის ბოლომდე გაპრიალებული ცული (ტაბ. 1/2). ორმხრივლესილი, უნახნაგო, მოგრძო გაპრიალებილი ცული ოვალურგანივკვეთიანი. თავი გადატეხილ-წაკვეთილი აქვს. სამუშაო პირი ოვალური და ვიწროა, რომელიც ყუისაკენ თანდათანობით ფართოვდება. სიგრძე 17 სმ, სიგანე 4,5-6 სმ. ეტყობა ხანგრძლივი გამოყენების კვალი [ჩხატარაშვილი; 2011: 85].

გურიანთის ცული გაპრიალების თვალსაზრისით დღემდე ითვლებოდა იშვიათ აღმოჩენად. 2012 წ. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტ სოფ. ჯვარცხმაში, ლ. თოდუას საკარმიდამო ნაკვეთში მიწის დამუშავების დროს აღმოჩნდა ახალი ქვის ხანის მასალა, რომელთა რაოდენობა ათეულზე მეტია. მონაპოვართაგან აღსანიშნავია ქვის 3 ცული. ისინი ორმხრივლესილია, უწახნაგო, ეტყობა გამოყენების კვალი. ამათგან განსაკუთრებით გამოირჩევა მთლიანად გაპრიალებული ქვის ცული (ტაბ. 1/3). მისი სიგრძეა 17,5 სმ, სიგანე 4,5–7 სმ შორის მერყეობს. იგი მოგრძო სოლისებური ფორმისაა; ყუის მხარეს თანდათანობით ვიწროვდება. აქვს ოვალური და ფართო სამუშაო პირი [ჩხატარაშვილი; 2013: 5].

აღსანიშნავია, რომ ჯვარცხმაში აღმოჩენილ ცულს, მთლიანად გაპრიალების თვალსაზრისით ანალოგი არ გააჩნია. შეიძლება ითქვას, რომ იგი „იუველურულ ნამუშევარს“ წარმოადგენს.

ამასთან ერთად, უმნიშვნელოვანეს აღმოჩენად შეიძლება ჩაითვალოს სამხრეთ–დასავლეთ საქართველოს ძეგლებზე მოპოვებული ქვის თოხისებრი იარაღები, რომლებიც დღემდე მხოლოდ ორ ძეგლზეა ფიქსირებული. ერთ-ერთი მათგანი 1969 წ. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტ სოფ. მახვილაურში აღმოჩნდა (ტაბ. 1/4); დამზადებულია შავი ფერის ბაზალტის ანატკეცზე [გოგიტიძე; 82]. მეორე კი ჩოხატაურის მუნიციპალიტეტ სოფ. ჯვარცხმაში. მახვილაურის იარაღის მსგავსად, ესეც შავი ფერის ბაზალტის ანატკეცზეა შექმნილი (ტაბ. 1/5). იარაღის ორივე სიბრტყე ამობურცულია, ყუის მხარეს ორივე გვერდზე აქვს ღრმა ამონადარი. ყუა გამოყოფილია. სამუშაო პირი ოვალური, რომელსაც ეტყობა ხმარების კვალი. სიგრძე 10 სმ–ია [ჩხატარაშვილი; 5].

მსგავსი იარაღები იშვიათ მონაპოვართა რიცხვს განეკუთვნება და ჯერჯერობით ანალოგი დასავლეთ ამიერკავკასიის ძეგლებს შორის არსად ეძებნება.


ამგვარად, ზემოთ აღწერილი არქეოლოგიური მასალა სამეცნიერო თვალსაზრისით მეტად საინტერესოა. მონაპოვრები ახალი ქვის ხანით თარიღდება.

როგორც ვხედავთ, სამხრეთ–დასავლეთ საქართველოს ძეგლებიდან წარმოდგენილი ახალი ქვის ხანის სამეურნეო ია-

რაღები მეტად მნიშვნელოვან მონაპოვართა რიცხვს განეკუთვნებიან, თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ საკვლევე ტერიტორია ექცევა საკაცობრიო ცივილიზაციის იმ კერათა რიცხვში (ძველი შუამდინარეთი, ბალკანეთი, ინდოეთი, ჩინეთი), სადაც პირველად დაიწყო მითვისებითი, შემგროვებლური მეურნეობიდან მწარმოებლურ, კულტურულ მეურნეობაზე გადასვლა (მინათმოქმედება, მესაქონლეობა, ფეიქრობა, მეთუნეობა) ამათი მეცნიერული კიდევ უფრო გაიზრდება.



ქვის გაპრიალებული ცული (მახვილაური)



ქვის გაპრიალებული ცული (გურიანთა)



გაპრიალებული ქვის თოხისებრი იარაღი თოხისებრი იარაღი ცული (ჯვარცხმა) (მახვილაური) (ჯვარცხმა)

### ლიტერატურა:

1. გოგიტიძე სერგო., სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ნეოლითური კულტურა, თბ., 1978
2. კალანდაძე ალ., მეზოლითურ და ნეოლითურ კულტურათა ნაშთები საქართველოში, ენიმკის მოამბე, ტ. IV, № 3, თბ., 1939
3. კალანდაძე კ., ლუმურიშის ნეოლითურ ნამოსახლარზე 1970 წელს ჩატარებულ სამუშაოთა შედეგები.- მასალები საქართველოსა და კავკასიის არქეოლოგიისათვის, ტ. V, თბ., 1973, გვ. 125-139
4. ლორთქიფანიძე ო., ძველი ქართული ცივილიზაციის სათავეებთან, თბ., 2002
5. ნებერიძე ლ., დასავლეთ ამიერკავკასიის ნეოლითი, თბ., 1972
6. ჩხატარაშვილი გ., ქვის გაპრიალებული ცულები სამხრეთ-დასავლეთ საქართველოდან (გურიანთა).- ჟურნ. „ჭოროხი“, № 4, 2011, გვ. 88-90
7. ჩხატარაშვილი გ., ახალი არქეოლოგიური აღმოჩენები ჩოხატაურის მუნიციპალიტეტ სოფ. ჯვარცხმიდან.- ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმის შრომები V, თბ., 2013, გვ. 5-7
8. Лукин Л. А. Неолитическое селище Кистрик близ Гудаут.- СА, XII, 1950, с. 247-286

### *Guram Chkhatarashvili*

#### *New stone age economic tools from South-Western Georgia*

#### *Summary*

In this paper we discuss some economic tools (polished stone axes, hoe-like tools) discovered in south-western Georgia by archaeological investigations. This archaeological materials are important and dates back to Neolithic period (VII-VI millenium B.C.).

**გვიანი შუა საუკუნეების იზნიკური კერამიკა  
გონიო-აფსაროსიდან**

ცნობილია, რომ თიხის ჭურჭელი საიმედო წყაროს წარმოადგენს ამა თუ იმ ძეგლის ისტორიისა და ცალკეული ქრონოლოგიური ეტაპების აღსადგენად. არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული სამეთუნეო ნაწარმის შესწავლა საშუალებას გვაძლევს გარკვეული წარმოდგენა ვიქონიოთ სხვადასხვა ეპოქის საზოგადოების გემოვნებაზე, ადამიანთა მოთხოვნილებაზე, კერამიკული წარმოების მასშტაბებისა და მწარმოებელთა დონის შესახებ (მინიშვილი, 1976: 5). გარდა ამისა, კერამიკული ფორმების, სხვადასხვაობა, მათზე გამოსახული ორნამენტის შესწავლა გვეჩმარება დაახლოებით მაინც აღვადგინოთ მათი განვითარების საფეხურები. განვასხვაოთ ერთმანეთისაგან სხვადასხვა ქვეყნის, ქალაქისა და საწარმოო ცენტრის ჭურჭელი (მინიშვილი, 1967: 285).

კერამიკული ნაწარმის გაჩენა ჯერ კიდევ ნეოლითურ პერიოდს უკავშირდება, დროთა განმავლობაში იხვეწებოდა როგორც ფორმები და სახეები, ისე დამზადების ტექნიკა და დეკორი. ისტორიის ცალკეულ ეტაპებზე ჩნდება სხვადასხვა ორნამენტებით გაფორმებული ჭურჭელი. ამ თვალსაზრისით საინტერესო პერიოდს წარმოადგენს VII-VIII სს, რადგან სწორედ ამ პერიოდში, ვრცელდება სასანური ხანის ლითონის ჭურჭლის მსგავსი თიხის ჭურჭელი, რომლის ზედაპირი ჭიქურით იფარება და ამით იგი უახლოვდება ძვირფასი ლითონის ჭურჭელს (ქარციძე, 2010: 85). დგება ახალი ეტაპი კერამიკის დამზადებაში – იწყება მოჭიქული კერამიკის წარმოება, რომელიც მზადდებოდა შუა საუკუნეების პერიოდის ყველა ეტაპზე, სხვადასხვა ქვეყნებსა და საწარმოო ცენტრებში.

XV ს დაიწყო კიდევ ერთი ახალი ეტაპი, კერამიკული ნაწარმის დამზადების ისტორიაში. ამ დროიდან ჩნდება თვისებრივად კერამიკის ახალი სახეობა, ფაიანსი რომელიც დამზადებულია თეთრი კეცისაგან. სახელწოდება მომდინარეობს იტალიის ქალაქ ფაენცადან, რომელიც XVI ს დასაწყისში კერამიკუ-

ლი წარმოების ერთი ცნობილი ცენტრთაგანი იყო (მამაიაშვილი, 1976:5).

წინამდებარე სტატიაში თქვენს ყურადღებას სწორედ ამ ტიპის კერამიკულ ნაწარმზე შევაჩერებთ, რომლებიც არქეოლოგიური გათხრების შედეგად, მრავლად არის აღმოჩენილი გონიო-აფსაროსის მუზეუმ-ნაკრძალის ციხისა და ნაქალაქარის ტერიტორიაზე და მომდინარეობს თურქეთის საწარმოო ცენტრებიდან იზნიკიდან და ქუთაიიდან. ამჯერად იზნიკურ ნაწარმზე გვექნება საუბარი.

როგორც ცნობილია, თეთრკეციანი კერამიკის დამზადება XV ს შუახანებში, ჩინური ფაიფურის მიბაძვით იწყება. ფაიფური ჩინეთში პირველად ჯერ კიდევ X ს დაამზადეს, მაგრამ ხმელთაშუაზღვისპირეთში XV ს ბოლომდე არ იყო რეგულარული სავაჭრო პროდუქტი. მისი წარმოების საიდუმლოება ევროპაში მხოლოდ, XVIII ს აღმოაჩინეს, როცა მასობრივად წარმოებული ყავის ფინჯნები იყიდებოდა თურქეთის სავაჭრო ადგილებში, განსაკუთრებით კი, მეისენში (გერმანია)(შკარტსის, 2009: 223). ფაიფურის ნაწარმი თავისი სილამაზის გამო, საკმაოდ ძვირი ღირდა, რადგან გაფორმებული იყო სხვადასხვა სახის მდიდარი და მრავალფეროვანი დეკორაციებით. ამიტომ, მე-XV ს ბოლოს და XVI ს დასაწყისში განვითარდა ფაიფურის პროდუქციის წარმოება, რომელიც მოხატული იყო კობალტის ლურჯი საღებავით თეთრ ფონზე და ძალიან გავდა ჩინურ ფაიფურს. ამ ტიპის კერამიკაზე ჩინური ფაიფურის აშკარა გავლენა, შესაძლოა XIV ს იუანის და XV ს მინის ფაიფურის ნაწარმისაგან მომდინარეობდეს (შკარტსის, 2009: 224). სხვადასხვა ქვეყნის ხელოსნები ცდილობენ ისეთი ნაწარმი შექმნან, რომელიც ახლოს იქნებოდა ფაიფურის ნაწარმთან. გამონაკლისი არც თურქეთში მოღვაწე ხელოსნები იყვნენ.

იზნიკური კერამიკის ადრეული ნიმუშები თავდაპირველად ცნობილი იყო, როგორც ქუთაჰიის კერამიკის აბრაჰამის სტილი და ფიქრობდნენ რომ წარმოებული იყო ქუთაჰიაში. ამის მიზეზი იყო ის რომ, გოლდმანის მიერ ინგლისში იზნიკური კერამიკის კოლექციაში ნაპოვნ რამოდენიმე ფორმას ქონდა სომხური წარწერა „1510 აბრაჰამის ქუთაჰია“. ეს არასწორი სახელწოდება ამ ტიპის ლურჯად მოხატული თეთრკეციანი კერამიკი-



სა დამკვიდრდა, როგორც ქუთაჰის კერამიკის აბრაჰამის სტილი. მაგრამ, 1963 წელს ო. ასლანაფას მიერ იზნიკში ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად გაირკვა, რომ ამ სტილის კერამიკის საწარმოო ცენტრი იყო ქ. იზნიკი (სლანაპა: 1965:16-31; 1969: 62-73; 1971; 1984). ხოლო, ქუთაჰიას ეჭირა მეორე ადგილი პროდუქციის წარმოებაში, როგორც იზნიკის საწარმოო ცენტრის დამხმარეს (ირმიზი, 2004: 85).

იზნიკური კერამიკა მოიცავს განვითარების სამ ძირითად ფაზას. კლასიფიკაცია დაფუძნებულია კერამიკის ფერებსა და მხატვრულ გაფორმებაზე: იზნიკი I (აბრაჰამის ქუთაჰია -- 1480/90–1525/30 წწ). იზნიკი II (დამასკოს სტილი – 1525/1530 – 1555 წწ). იზნიკი III (როდოსის სტილი – 1555–1700 წწ). ეს სამი ფაზა შეესაბამება ძირითად ცვლილებებს ფერების გამოყენებაში (შკარტის, 2009: 217). მათი ქრონოლოგიის საფუძველზე შეიქმნა ფაქტობრივი დათარიღებული ნიმუშები. იზნიკური კერამიკის მკვლევარ ჰეისის დასკვნით, როდესაც ჩნდება ახალი ფერი, ეს დასაწყისია ახალი ფაზის, თუმცა ძველი ფერადი სქემები მთლიანად არასდროს არ ქრება (აყეს 1992: 244–256).

იზნიკი I – ის კერამიკა მოხატულია თეთრ ფონზე, გამჭვირვალე ჭიქურის ქვეშ ლურჯი კობალტის საღებავით. ამასთან კობალტის ორი შეფერილობაა გამოყენებული, ღია ძირითადად ნახატისათვის და მუქი – კონტურებისათვის. დეკორაციაში ძირითადი ადგილი დაიკავა ყვავილოვანმა მოტივებმა – მსხვილი ლოტოსის ყვავილი და მის ირგვლივ წვრილი სხვადასხვა ყვავილოვანი ორნამენტი, ხვეული ორნამენტები, ჩნდება არაბესკები და აშ (Миллер, 1965: 40). ამ ადრეული ტიპის იზნიკური კერამიკის ძირითადი წამყვანი მოტივი იყო უმეტესწილად ლოტოსის ყვავილის გამოსახვა, რომელსაც თურქულად უწოდებენ „ხატაი,, (Мюллер, 1947: 27).

გონიო–აფსაროსში აღმოჩენილი ნაწარმი, რომლისთვისაც დამახასიათებელია თეთრ ფონზე გამჭვირვალე ჭიქურის ქვეშ კობალტის ლურჯი საღებავით მოხატვა და შემკულია მცენარეული ორნამენტით სწორედ ამ პერიოდით უნდა დათარიღდეს (ტაბ. I/1–4).

თურქული კერამიკის ყველაზე შემოქმედებითი პერიოდი არის იზნიკი II (დამასკოს სტილი). ფერადი გამა იქმნება ლურ-

ჯისა და თეთრის შეხამებით ცისფერთან, ზეთისხილისფერთან, იისფერთან; ჩნდება შავიც - ნახატის კონტურებისათვის (მამაია-აშვილი, 1976: 96). ორნამენტიკაში წინანდებურად კვლავ გამოიყენება ჩინური ლოტოსის ყვავილი, არაბესკები. ამავე დროს ჩნდება და მალე ხდება დომინანტური: ვარდები, სუმბულები, ცხრატყავები და ყველაზე მეტად ტიტები და მიხაკები (Миллер, 1965: 40). გარდა ყვავილოვანი მოტივებისა, ამ ტიპის კერამიკაზე ჩნდება თევზის სასწორები, ჩინური ღრუბლები, ვაზები და ლითონის გრაფინები, ასევე ჩნდება მომწვანო შავი სპირალები, ლურჯი და ფირუზისფერი არაბესკების მედალიონები (ირმიზი, 2004: 87).

გონიოში აღმოჩენილი ამ ტონალობით შეფერილი ფაიანსის ნატეხები, რომელიც მოხატულია გარეპირზე ლურჯი მრავალფურცელა ყვავილით, ხოლო შიგაპირზე მწვანედ და ზეთისხილისფერი მძივის ასხმითაა შემკული, უნდა დათარიღდეს, არაუგვიანეს XVI ს-ის შუა ხანებით (ტაბ. I/5-6; ტაბ. II/1-2) (აფხაზავა, მამულაძე, 1998 :273).

დამასკოს სტილის კერამიკა არის იზნიკური კერამიკული ნაწარმის განვითარების უმაღლესი მწვერვალი. როგორც ცნობილია, ჩაღდირანის ბრძოლის შემდეგ (1514 წ), ირანთან ომი დამთავრდა თურქეთის გამარჯვებით. სულთან სულეიმან I ხელთ აღმოჩნდა თავრიზის სასახლის მრავალრიცხოვანი და მდიდარი კერამიკული ნარმოება. მისი ბრძანებით ასობით ოსტატი ჩაასახლეს ისტამბულსა და თურქეთის სხვადასხვა ცენტრებში, რათა თურქულ კერამიკულ ხელოვნებას მიეღწია იმ სიმაღლისათვის, და ყოფილიყო ისეთი განვითარებული და მაღალხარისხოვანი, როგორიც იყო ეს იმ პერიოდის ირანში (Миллер, 1965: 44). ხელოსნების მუშაობა რეგულირდებოდა სულთნის სპეციალური ბრძანებებით. (ჭურჭლის ფერი, ზომა, ფორმა და აშ.).

დამასკოს სტილი ამ ტიპის კერამიკას ეწოდა იმ კრამიტების დეკორაციის გამო, რომლებიც დიდი რაოდენობით აღმოჩნდა ამ ქალაქში და გამოიყენებოდა XVI ს II ნახევარში, ასევე კერამიკის ზოგიერთი იმ ნიმუშების მიხედვით, რომელზეც გამოსახული იყო დამასკოს სხვადასხვა ისტორიული ძეგლები. ამიტომაც ფიქრობდნენ, რომ აქედან იყო იგი იმპორტირებული

(ანე: 1957; ჯნეყ: 1976). იზნიკის არქეოლოგიურმა გათხრებმა დაადასტურა, რომ ამ ტიპის კერამიკა წარმოებოდა იზნიკში და დამასკოში აქედან იმპორტირებული კერამიკული ეფექტის მიხედვით იყო დამზადებული (კირმიზი, 2004: 86). სამშენებლო კერამიკა, რომელიც იერუსალიმში იყო გამოყენებული კუბეტულ საპრას შესარემონტებლად დამზადებული იყო იმ ხელოსნების მიერ, რომლებმაც იზნიკური კერამიკის ნიმუშების მიხედვით პირველად დაამზადეს ამ ტიპის კერამიკები დამასკოში (რსოყ, 2008: 41).

დამასკოს ჯგუფის კერამიკა გვიჩვენებს უნიკალურ და ორიგინალურ თურქულ სტილს მხატვრული გაფორმების თვალსაზრისით, მიუხედავად იმისა, რომ ისინი განიცდიან ჩინური ფაიფურისა და იტალიური მაიოლიკის ტიპის კერამიკის გავლენას ფორმებსა და დიზაინზე. დამასკოს სტილის კერამიკის გავრცელებული ფორმებია: დოქები, გრაფინები, სხვადასხვა ფორმის თეფშები და ჯამები. არქიტექტურულად ამ სახეობის კერამიკული ფილები ნაპოვნია ბურსაში, იენი კაპლიჯაში რუსტემ ფაშას დროინდელი ნაგებობის ნაშთებში (ირმიზი, 2004: 87).

გვიანდელი ჯგუფი იზნიკური ოტომანური კერამიკისა თარიღდება 1555–1700 წლებით. იგი ცნობილია როდოსის სტილის სახელწოდებით. სახელწოდება მომდინარეობს კ. როდოსიდან, სადაც ამ ტიპის კერამიკის დიდი ნაწილი იქნა შესყიდული პარიზის კლინის მუზეუმის მიერ. ბოლო დროინდელმა არქეოლოგიურმა გათხრებმა და ფრაგმენტებზე აღმოჩენილმა წარწერებმა დაადასტურა, რომ მათი ძირითადი საწარმოო ცენტრი იყო იზნიკი (ირმიზი, 2004: 88). ამ ჯგუფის კერამიკა შედის მსოფლიოს ყველა მუზეუმებში ყველაზე ძვირფას კოლექციებში (რსოყ, 2008: 42).

ოსმალთა კერამიკოსები მოხატვისას იყენებენ მკაფიო მწვანესა და განსაკუთრებით კი მკაფიო წითელ საღებავებს (შხალაი, 2013: 164). ამან გამოიწვია იმ ფერთა გამოდევნა, რომლებიც არ იყო მათთან ჰარმონიაში. ასეთები აღმოჩნდა მომწვანო-ზეთისხილისფერი და მენამული. ამ დროიდან ნივთების უმეტესობა ბრწყინვალე ტონების დამახასიათებელი გამით იხატება: ლურჯი, წითელი, მწვანე, ფირუზისფერი, თეთრ ფონზე შავი კონტურით (ანე, 1957: 55).

გონიო-აფსაროსში აღმოჩენილი ასეთი ტონალობით გაფორმებული ჯამები, სწორედ ამ ტიპის კერამიკას განეკუთვნება (ტაბ. II/3-6)

XVI ს II ნახევარი იყო ყველაზე გამორჩეული პერიოდი ამ ტიპის კერამიკის წარმოებაში. ამ პერიოდში მკვიდრდება მაღალკვალიფიციურ დონეზე შესრულებული ყველაზე სრულყოფილი და ლამაზი ფორმები. კერამიკის გაფორმებაში წამყვან ადგილს იჭერს ნატურალისტური მოტივები: ჭურჭლის ზედაპირზე დატანილია: ტიტების, მიხაკების, ვარდების, კოკრების, იების, ბრონეულის, აყვავებული ქლიავის, გაზაფხულის აღწერილობის, ფართო და მრუდე ფოთლების, ვაზის, კვიპაროსების და სხვათა გამოსახულებები. გარდა ამისა, გვხვდება ჩინური ღრუბლების, თევზის სასწორების, სამი ბურთის, ქრიზანთემების, ყვავილოვანი მედალიონების, არაბესკების და აშ. გამოსახულებებიც.

ამ გვიანდელი ჯგუფის კერამიკის ყველაზე გავრცელებული ფორმებია: თასები კიდებითა და კიდების გარეშე, ჯამები, ხელადები ხელითა და ხელის გარეშე, კათხები, თასები, ვაზები, საშაქრეები და აშ.

იზნიკური კერამიკის მაღალმხატვრულმა დონემ დიდი აღიარება და პოპულარობა მოუტანა თურქულ კერამიკას. იგი გასცდა თურქეთის იმპერიის საზღვრებს და ფართოდ გავრცელდა. განსაკუთრებით დიდი მოთხოვნილებით სარგებლობდა იტალიაში, გერმანიაში, საფრანგეთში, ჰოლანდიაში. ვრცელდება რუსეთშიც. თხელი და ფაქიზი იზნიკური ნაწარმი ძალიან ფასობდა და მეტი უსაფრთხოებისათვის ის იგზავნებოდა ოქროსთან და ვერცხლთან ერთად შესაბამისი წარწერითა და თარიღით. რამოდენიმე ნიმუში, რომელიც აღმოჩნდა ვაზებზე, მკლევარებს აფიქრებინებს რომ იზნიკური კერამიკის ერთი ჯგუფი სპეციალური შეკვეთით იყო დამზადებული ევროპული ქვეყნებისათვის (ირმიზი, 2004: 90).

გასაკვირი არ არის, რომ იზნიკური ნაწარმი გახდა მისაბადი მრავალი ქვეყნის ოსტატებისათვის. XVI ს ბოლოსა და XVII ს დასაწყისში ირანში წარმოებული იყო ჯამები და თასები, რომლებიც გაფორმების ტექნიკით მსგავსია იზნიკური კერამიკის. თურქული კომპოზიციები მცირედი სახესხვაობით ჩნდება XVII


ს დასაწყისში ასევე იტალიური მაიოლიკის კერამიკის ერთ-ერთ ჯგუფზე (Миллер, 1965: 44). 1620–1700 წლებში კერამიკამ დაიწყო ხარისხის დაკარგვა. ფუჭდება ქიქურის ხარისხი. ცუდია ნახატების გამოსახულებაც. ცოცხალი და დინამიკური კომპოზიცია იცვლება გამარტივებული და შემთხვევითი კომპოზიციით. ფერები იხმარება კონტურებისათვის და ჭურჭელმა დაკარგა ელფერი. წითელი ფერი იცვლება ყავისფერით. რეგრესს განიცდის ჭურჭლის ფორმებიც. მე-18 საუკუნის ბოლოს იზნიკური კერამიკული წარმოება წყვეტს არსებობას და იწყება ქუთაიური საწარმოო ცენტრის განვითარება (ირმიზი, 2004: 90).

გარდა გონიო-აფსაროსისა, იზნიკური ჭურჭელი აღმოჩენილია თბილისის დედაციხეზე. ნარდევანის არქაულ ციხე-სიმაგრეზე (წალკა), ციხე სულორზე (ვანი) (მამაიაშვილი, 1976: 96). ცხადია მათი აღმოჩენა დაკავშირებულია აქ ოსმალეთის გარნიზონის არსებობასთან, იგი უფრო მილიტარისტული გზით არის შემოსული ჩვენთან და არ უკავშირდება სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობებს.

### ტაბულა I




სურათი 1



სურათი 2



სურათი 3



სურათი 4



სურათი 5



სურათი 6

ტაბულა II



სურათი 1



სურათი 2



სურათი 3



სურათი 4



სურათი 5



სურათი 6

### **გამოყენებული ლიტერატურა:**

1. მინიშვილი მ., ქართული მოჭიქული ჭურჭლის ნარმოების ისტორიიდან. თბილისი. 1976
2. მინიშვილი მ., IX-X სს ქართული მოჭიქული კერამიკა// მაცნე. 2(35), თბილისი. 1967.
3. მამაიაშვილი ნ., ფაიანსი შუა საუკუნეთა ხანის საქართველოში, თბილისი. 1976
4. აფხაზავა ნ, მამულაძე შ., გვიანი შუასაუკუნეების არქეოლოგიური მასალა გონიოდან // შრომები I, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სერია, ბათუმი. 1998.
5. Миллер Ю. А., Искусство Турции, М.1965.
6. Мюллер Ю., Художественная керамика Турции , Л., 1947
7. Ersoy A., Traditional Turkish arts. Ankara. 2008.
8. Lane A., Late Islamic Pottry, London. 1957
9. Hayes J.W., Excavations at Saraçhane in Istambul. II. The Pottery,Princeton: 244-256
10. Szalai E., Oriental import goods Ottoman-period Gyula //Fiatl Kőzépkoros Régészek IV. konferenciájának Tanulmánykötete. kaposvár. 2013
11. Skartsis S., Chlemoutsi castle (Clermont,castel tornese), Peloponnese: its pottery and its relations with the west (13 th- early 19 th c.), Birmingham. 2009
12. Aslanapa O., İznik'te Sultan Orhan İmaret Kazısı, Sanat Tarihi Yıllığı I, İstanbul Üniversitesi Edebiyat Fak. Yayınları, İstanbul. 1965
13. Aslanapa O., İznik Kazılarında Ele Geçen Keramikler ve Çini Fırınları, Türk Sanatı Tarihi, Araştırma ve İncelemeleri, Milli Eğitim Basımevi, İstanbul. 1969
14. Aslanapa, O., Turkish Art and Architecture, Praeger Publishers, London. 1971
15. Aslanapa,O., Türk Sanatı, Remzi Kitabevi, İstanbul. 1984
16. Kirmizi B., An Archeometric Application to a group of early ottoman ceramics from Iznik. 2004
17. Öney G., Türk Çini Sanatı, Yapı Kredi Bankası Yayınları, İstanbul. 1976

***Kakhaber Kamadadze***

***The late Middle Ages pottery of Iznik from Gonio-Apsaros***

***Summary***

There are very interesting materials which discovered and belong to different times In Gonio-Apsaros. One of the largest numbers is a late middle Ages pottery wares.

The late Middle Ages pottery, Faience of Iznik discovered in Gonio-Apsaros dates XVI-XVII centuries. They are devided into: tree groups: Izniki I - kutahia style (1480/90–1525/30 yy), Izniki II - Damascus style (1525/1530 – 1555 yy) and Izniki III – Rhodes style (1555–1700 yy). Each style is characterized by the use of different colors and decors.

As we know in 1547 the Ottomans conquered the Gonio fortress and they were here until the XIX century.

So, the late middle Ages archaeological materials which was discovered in Gonio-Apsaros, belong to Ottoman soldiers And it was made only for them.



# ეთნოლოგია

ნათია კალანდაძე

## ლომის მოყვანისა და დამუშავების ხალხური წესები ზემო გურიაში

უძველესი, იშვიათი და გადაშენების პირას მისული ფეტვნიანი პურეული, ერთწლოვანი, წვრილმარცვლოვანი მცენარე ღომი მაღალხარისხოვანი სასურსათო მცენარეა, რომელსაც კარგად განვითარებული ფესვი და სანვდომი ღერო აქვს, წარმოადგენს საქართველოს სამინათმოქმედებო ისტორიის მნიშვნელოვან ნაწილს. ღომის კულტურის სიძველეს ისტორიულ და არქეოლოგიურ მონაცემებთან ერთად ეთნოგრაფიული მასალებიც ადასტურებს.

მკვლევართა აღიარებით, რაც ქართული ღომის ბოტანიკურ-ფილოგენეტიკურ გამოკვლევებს ეფუძვნება საქართველო, კერძოდ კოლხეთი, რომელიც უხსოვარი დროიდან ცნობილი იყო ღომის სახეობების ფორმათა და ჯიშთა მრავალფეროვნებით, შეიძლება მიჩნეულ იქნეს ღომის კულტურულ სახეობათა ერთ-ერთ კერად (მაისაია, 1987:6).

ერთ დროს მარცვლოვან კულტურებს შორის გაბატონებული მცენარე ღომი პრაქტიკულად გადაშენებულია. ისტორიკოსთა კვლევებიდან ჩანს, რომ ღომის კულტურის საგრძნობი შემცირება XVIII საუკუნის ბოლოდან იწყება და უკავშირდება საქართველოში ახალი მარცვლეული მცენარის სიმინდის შემოტანას. პროცესი თავიდან ნელა-ნელა დაიწყო და მცირე დროში საკმაოდ კარგად მოიკიდა ფეხი. სიმინდი შრომის მცირე დანახარჯით დიდ მოსავალს იძლეოდა, ამიტომაც სიმინდმა გაანადგურა ღომი. საშინაო ბაზარზე ღომი მაინც იყიდებოდა.

დადგენილია, რომ ფეტვნიან მცენარეთა შორის ღომი ყველაზე გრძელი სავეგეტაციო პერიოდით ხასიათდება. პერიოდის ხანგრძლივობაზე მოქმედებს გეოგრაფიულ-ეკოლოგიური ფაქტორები, რამაც განაპირობა ღომის სხვადასვა ჯიშებისა და სახეობების შექმნა. ზემო გურიაში ძირითადად გავრცელებული იყო ღომის ჯიში ე.წ. „შვიდკვირა“ ან „ორმოსავალა“.

ლომის მარცვალ მომრგვალო ან კვერცხისებრი. ლომის ქართულ ფორმებში შედარებით წვრილი, კილგაცლილი მარცვალ ძირითადად თეთრი ან ყვითელი ფერისაა. გამოიყენება საკვებად-საბურღულედ. კილგაუცვლელი მარცვალ ნიწილებს, ხოლო ჩალა საქონლის საუკეთესო საკვებია (მაისაია, მოსულიშვილი, 2003: 6).

„მარცვლეული კულტურების აგრომითითებან“-ში ვკითხულობთ: თოვლის გადნობის შემდეგ, როგორც კი შეშრება მძრალად ნახნავის ზედაპირი და შესაძლებელი გახდება მიწდვრად გასვლა, მძრალად ნახნავი უნდა დაიფაცხოს „ზიგზაგის“ ფაცხებით. უსწორ-მასწორო ზედაპირი უფრო ადიდება ნიწადგიდან სინოტივის აორთქლებას, ამიტომ ფაცხვა უნდა დამთავრდეს ორ-სამ დღეში. ცალკე ნაკვეთზე ზედაპირის შეშრობისთანავე ხნულის დაფაცხვის შემდეგ, თესვის დღეს ან 1-2 დღით ადრე თესვის დაწყებამდე, უნდა ჩატარდეს თესლის ჩათესვის სიღრმეზე (5-6 სმ) (მარცვლეული კულტურების აგრომითითებანი, თბ. 1941: 33).

საყურდლებოა ქალაქ ქუთაისის ცენტრალურ არქივში დაცული მასალა (ჩოხატაური წარმოადგენდა ქუთაისის გუბერნიის ოზურგეთის მაზრის უბანს) - „ქუთაისის გუბერნიის მიმოხილვა“, სადაც გუბერნიის ბუნებრივი პირობების დახასიათებასთან ერთად, მოცემულია ცნობები აქ მარცვლეული კულტურების მოყვანა - გავრცელების შესახებ. მოვიყვანთ შედარებით ვრცელ ამონაწერს ამ მასალიდან.

„ქუთაისის გუბერნია თითქმის მთელ დასავლეთ საქართველოს მოიცავს და აღმოსავლეთისაგან გამოიყოფა სურამის ქედით. კლიმატი ქუთაისის გუბერნიაში არის რბილი და ნოტიო, რაც აისახება მდიდარ ბუნებაზე. გუბერნიის 49% ზღვის დონიდან 2 000 ფუტზეა (სოხუმის, ბათუმის, ართვინის ოლქის გარდა). კავკასიის მასშტაბით, მხოლოდ ქუთაისის გუბერნიაში მოდის დიდი რაოდენობით ნალექი და იცის თბილი ზამთარი. არის პერიოდები, როცა ზამთარში სინდიყის სვეტი ნულის ქვემოთ არ ჩამოდის. ყინვები, როგორც წესი მხოლოდ რამდენიმე გრადუსით განისაზღვრება და მცირე ხნით გრძელდება. მთიან რეგიონებში ზამთარი უფრო მკაცრი და ხანგრძლივია.

ქუთაისის გუბერნიის მწვანე საფარი გამოირჩევა თავისი

მრავალფეროვნებით. აქ ბევრია მხვიარა მცენარეები. ასევე მრავლადაა ეკლიანი სარველა მცენარეები რაც დიდ პრობლემებს უქმნის მინათმოქმედებას.

ქუთაისის გუბერნიის მოსახლეობის უდიდესი ნაწილი დაკავებულია მინათმოქმედებით. რაც განაპირობებს ამ მხარის კეთილდღეობას. დათესილი ფართობის უმეტესი ნაწილი უკავია მარცვლეულ კულტურებს. ადგილობრივი მოსახლეობისთვის უმნიშვნელოვანესია სიმინდი, რომელიც თითქმის ყველგან ითესება. ხორბალი უმეტესად ითესება რაჭის, შორაპანის და ართვინის ოლქებში.

მაღალმთიან რეგიონებში, სადაც ზამთარი შედარებით მკაცრია (რაჭა, სვანეთი, ართვინისა და შორაპანის მთიანი რეგიონი) ქერს თესავენ. ხორბალთან, სიმინდთან და ქერთან ერთად ერთ-ერთ ძირითად და შეიძლება ითქვას გაბატონებულ კულტურას წარმოადგენს ღომი, რომელიც მიეკუთვნება წვრილმარცვლოვან მცენარეთა რიცხვს. ბათუმისა და გონიოს ქაობიან ადგილებზე მოჰყავთ ბრინჯი. ამ ადგილებში მოყვანილი კარტოფილი კონკურენციას ვერ უწევს ახალციხის კარტოფილს და ამიტომ ეს კულტურა მოსახლეობისთვის ღირებული არ არის.

1897 წლის მონაცემების მიხედვით ქუთაისის გუბერნიაში ოლქების მიხედვით ღომის კულტურა დათესილი იყო შემდეგ ფართობებზე: ქუთაისის ოლქი-2117 დესეტინა, შორაპანის ოლქი -- 35 დესეტინა, ლეჩხუმის ოლქი-164 დესეტინა., ზუგდიდის ოლქი 176 დესეტინა, სენაკის ოლქი 1620 დესეტინა, ოზურგეთის ოლქი 2423 დესეტინა, ეს მაჩვენებლები ბევრად აღემატება 1896 წლის მონაცემებს.

ღომი უხვი მოსავლიანობით გამოირჩეული მცენარეა, მაგალითისათვის საკმარისია მოვიყვანოთ ტყიბულის რაიონი, სადაც 1907 წლის მონაცემებით დაითესა 309 ფუტი ღომი და აიღეს 7725 ფუტი“ (ქ.ც.ა ფ. 130 9 #243).

ფართობები სადაც ღომი ითესებოდა კარგად უნდა დამუშავებულიყო, გურულები მთელი წლის განმავლობაში უვლიდნენ ფართობებს. მოსავლის აღების შემდეგ ნაკვეთს ასუფთავებდნენ და იწყებდნენ ორგანული სასუქის შეტანას მიწის გასაწოციერებლად. გაზაფხულზე ჩატარებული სამუშაოები კი უკვე თესვის პერიოდს უკავშირდება. თავდაპირველად მცენარეს

ზრდის ნელი ტემპი ახასიათებს, ზაფხულის პერიოდში ზრდის ტემპი თანდათან ძლიერდება ყვავილობისას კი მაქსიმუმს აღწევს.

ლომი ფეტვნიანი პურეულის მსგავსად, განვითარებას თესლის ჩანასახიდან იწყებს და სხვისაგან განსხვავებით გამოირჩევა ფუნჯა ფესვების მძლავრი განვითარებით. დამატებითი ფესვების ძირითადი მასა სახნავ ფენებშია მოთავსებული დაახლოებით 20-50 სმ სიღრმეზე. მაღალმოზარდი მცენარეა კარგ პირობებში ღეროს სიმაღლე 2 მ. აჭარბებს, კენწრულად მოთავსებულია ყვავილეთი (მაისაია; 1987; 23).

სოფელ ნაბელლავეში (თავპანტა, ზემო გურიის ერთ-ერთი მარალმთიანი სოფელი) მცხოვრები იური კალანდაძე (88 წელი) იგონებს: „კარგად მახსოვს, როგორ ვთესავდით ღომს, რადგან მცენარე ხასიათება გარემო პირობებთან შეგუების თვისებით, ამიტომ ჩვენთან თავპანტაშიც მოგვყავდა. მაღალი მოსავლიანობა დამოკიდებული იყო სათესლე მასალის ხარისხზე. თავიდან მცენარე, როცა წამოიწვერებოდა ძალიან ნელა იზრდებოდა, იმიტომ რომ ადრე გაზაფხულზე საკმაოდ ძლიერ ცივა. ზაფხულის სეზონზე უფრო სწრაფად იზრდებოდა და თავთავსაც იკეთებდა, ამ პერიოდში მამას ბავშვები ხშირად დავყავდით ღომის ყანაში ირგვლივ უვლიდით, ვხმაურობდით, რადგან უკვე მნიფობის პერიოდში ჩიტები გვიჭამდნენ. ძირითადად ვთესავდით მთის ფერდობ ადგილებში სასურველი იყო მიწის ორჯერ გადახვნა. ვამზადებდით ისეთ ადგილებს სადაც მრავალწლიანი მცენარეები იყო, რცხილებთან ახლოს დათესილს კარგი მოსავალი ქონდა. ხის ძლიერი ფესვები ნიადაგს იკავებდნენ, წყალსაც ინარჩუნებდნენ. ღომის ყანა სქელი, რომ არ ყოფილიყო თესლს ურევდით ნაცარში ან სილაში დათესვის დროს მომობნევით ჩამოუვლიდით ნაკვეთს“.

სოფელ წიფნარიდან საცხოვრებლად სოფელ ფარცხმაში დასახლებული ვილენი კიკვაძე იგონებს: „ღომის მოსავლიანობა დამოკიდებული იყო, ჯიშზე, ნიადაგის მომზადებაზე, თესვის წესსა და დროზე. ვთესავდით აუცილებლად „ძველ მთვარეზე“ თავთავი სავსე გამოვიდოდა. ღომის ჩალას საქონლის საკვებად ვხმარობდით გარდა ამისა მაგრად ვკრავდით კონებად და სახლების სახურავად ვხმარობდით. ღომის ყანის დასამუშა-

ვებლად სპეციალურ პატარა თოხს ვხმარობდით, ვცდილობდით ბალახს ღომისთვის არ გაესწრო სიმალლეში თორემ მერე ძნელი სამუშაო იყო, ამიტომ როგორც კი წამოვიდოდა ყანა მაშინვე ვინყებდით მუშაობას. ხშირად ნადით ვამუშავებდით ყანებს, ერთი კაცი ღომის ყანაში ცოდო იყო. მამაჩემი ცდილობდა რამდენიმე წლის შემდეგ ღომი და ქერი მონაცვლეობით დაეთესა, რადგან ერთი ჯიშის მარცვლეული კულტურა მიწის გამოფიტვას იწვევდა, კარგად გამხმარ მარცვალს ვფქვავდით, და ვაცხოვობდით, მოხარშვით ნედლიც იხარშებოდა”.

ივანე ჯავახიშვილის განმარტებით მარცვლოვანი საკვები მცენარეულობის, ისევე საქონლის საქმელი ბალახის მოსაკრებად მკა ყოფილა მიღებული. ღომის ღერო ნამგლით იჭრებოდა თავთავთან ერთად (მოსავლის აღების ამ პროცესს მკა ეწოდებოდა).

თვითმხილველები იგონებენ: მომკის შემდეგ, ხდებოდა კონების შეკვრა და შეგროვება. სახნავი ფართობები მოშორებული იყო საცხოვრებელ სახლს და ამიტომ ხშირ შემთხვევაში ღომის გასაცეხვი ჩამურები, რომლებიც ძირითადად ქვისაგან იყო გათლილი (ხის ჩამურები იშვიათი იყო) ფართობებში იყო ატანილი და იქვე ხდებოდა ღომის დამუშავება (გაცეხვის პროცესი). გაცეხვილი ღომის ტომრებით გადატანა იოლი იყო. ჩალა საქონლისთვის გამოიყენებოდა, ამიტომ იქვე ზვინებს დგამდნენ გახმობის შემდეგ მსუბუქი ხდებოდა და ურმებით გადმოჰქონდათ.

ჩამურის ხელკავი ძირითადად გათლილი იყო მასიური ხისაგან ჩამურთან მოპირდაპირე მხარეს იდგა ორი გამცეხვი და ერთმანეთისგან ხელისშეუშლელად არტყამდნენ ხელკავს ამ პროცესით ხდებოდა მარცვლის მოშორება თავთავიდან. წყაროებზე მონყობილი იყო ჩამურები რომელთა ქვისაგან დამზადებული ხელკავის ბოლო ამოჭრილი იყო ჯამის პრინციპით ეს ადგილი ივსებოდა წყლით თავი უკან გადაჰქონდა წყალი იღვრებოდა და მექანიკური მოძრაობით ხდებოდა ღომის გაცეხვა.

ღომი გურულის ცხოვრებაში სარიტუალო დანიშნულებითაც გამოიყენებოდა. მაგალითად: იგი აუცილებელი ატრიბუტი იყო კალანდობისას. ოჯახის უფროსი მამაკაცი კალანდა დილას გობით ხელში, რომელზედაც დალაგებული იყო ღორის თავი,

დოქით ღვინო, ჩიჩილაკი, ღომის მარცვლით სავსე ქოთანნი. გალოცვის რიტუალს დაასრულებდა თუ არა ღომის მარცვლებით სავსე ჯამს მინაზე დაანარცხებდა და იტყოდა ღმერთმა მოგვცეს მშვიდობა და ასე გაგვამრავლოს ჩვენი სტუმრიან-მასპინძლიან, საქონლიან, ფრინველიანაო.

დღეს ღომის თესვას, რამდენიმე სოფელში მხოლოდ ერთეულ ადგილებში ვხვდებით. XVIII საუკუნის ბოლოს გადაშენების პირას მყოფ მცენარეს, მხოლოდ შინაური ფრინველის გამოსაკვებად თესდნენ. ვფიქრობთ, რომ შესაძლებელია ღომის კულტურის აღორძინება საქართველოში, რაც მოგვცემს ეკოლოგიურად სუფთა საკვების მიღების შესაძლებლობას.. თანამედროვე ტექნიკის გამოყენებით შესაძლებელიი მოსავლის აღება მცირე დანაკარგებით.



**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. ი.მაისაია, „ლომის კულტურა“, თბ. 1987;
2. ი. მაისაია, მ. მოსულიშვილი, „საქართველოს ფეტვნიართა სარკვევი“, თბ. 2003;
3. მარცვლეული კულტრების აგრომითი თეზანი, თბ. 1941.
4. ქ.ც.ა., ფ. 130, ს. 9 №243.

***Natia Kalandadze***

***National Rules of Ghomi cultivation and processing in Guria***

***Summary***

Ancient and rare plant Gomi was widely spread in Georgia. This paper deals with the culture related economic activities, issues related to traditional ways and also is raised the question of necessity of cultural revival of Ghomi.

**საარსებო გარემოს დაცვის ხალხური ტრადი-  
ციები აჭარაში  
(ნიადაგდაცვითი საშუალებები)**

ადამიანის სასიცოცხლო გარემო მოიცავს გარემომცვე-  
ლი სამყაროს მთელ კომპლექსს, ყველა პირობას, რომელშიც  
ცხოვრება და რომელთანაც შეგუება უხდებოდა ადამიანთა სა-  
ზოგადოებას თავისი არსებობის მანძილზე. ეს პირობები იყო  
კომფორტული ან ნაკლებად კომფორტული, მკაცრი ან ექს-  
ტრემალური. მიუხედავად ამისა, ადამიანებმა შეძლეს შეგუება  
თითქმის ყველანაირ გარემო პირობებთან და აითვისეს პლანე-  
ტის თითქმის ყველანაირი რეგიონი. გარემოსთან ურთიერთო-  
ბის ხანგრძლივ და რთულ პროცესში ადამიანთა საზოგადოე-  
ბას თანდათან ჩამოუყალიბდა თვისებები, რომლებიც ხელს  
უწყობდა სხვადასხვაგვარ გარემო პირობებთან მის შეგუებას.  
ადამიანის გარემოსთან შეგუების პროცესის დინამიურად  
წარმართვა განაპირობა გარემოსთან ადაპტირების უნარმა,  
რომლის მექანიზმები საუკუნეების განმავლობაში ყალიბდე-  
ბოდა და ერგებოდა კონკრეტულ საცხოვრებელ პირობებს.  
ადაპტაცია ხანგრძლივი ისტორიული პროცესია, რომლის გან-  
მავლობაშიც მრავალი თაობა გამუდმებით ხვეწდა და უთან-  
ხმებდა გარემო პირობებს არსებობის, სოციალური ორგანიზა-  
ციის და სამეურნეო-კულტურული მოღვაწეობის ფორმებს.

მატერიალური და სულიერი კულტურის განვითარებამ,  
სხვადასხვა სოციალური ინსტიტუტების გაჩენამ მნიშვნელო-  
ვანი კვალი დატოვა ადამიანისა და გარემოს ურთიერთობებ-  
ზე. ამ ურთიერთობების საფუძველზე ჩამოყალიბდა გარკვეუ-  
ლი ეკოსისტემები, რომლებიც მოიცავს ერთი მხრივ ეკოლო-  
გიურ ფაქტორებს (გარემოს კომპონენტებს) და მეორე მხრივ  
ამ ფაქტორებს შეგუებულ ადამიანს. ეს კომპონენტები თანა-  
არსებობენ, როგორც ერთი მთლიანი და ქმნიან ეკოსისტემას,  
რომელშიც მათი არსებობა დაბალანსებულია. ამ სისტემაში  
თითოეულ კომპონენტს თავისი ფუნქცია, თავისი ეკოლოგიუ-  
რი ნიშა აქვს და ადამიანი არ წარმოადგენს გამონაკლისს. სხვა



კომპონენტების მსგავსად მასაც თავისი ადგილი აქვს მიჩენილი ამ სისტემაში, მაგრამ კულტურული მოღვაწეობის შედეგად ადამიანმა მნიშვნელოვანი ცვლილებები შეიტანა ეკოსისტემებში, გამოიწვია მისი შეუქცევადი ცვლილებები.

XXI საუკუნეში, ძალზე გართულებული ეკოლოგიური მდგომარეობის პირობებში, რაც ერთი მხრივ თავად ეკოსისტემების მუდმივი განვითარებისა და ცვლილების, ხოლო, მეორე მხრივ, ადამიანის გარემოზე ზემოქმედების შედეგია, თანამედროვე საზოგადოებას ესაჭიროება იმ ჭეშმარიტების გააზრება, რომ ეკოლოგიური წონასწორობის დარღვევამ, ბუნებისა და ადამიანის ურთიერთობებში ბზარის გაჩენამ შესაძლოა კაცობრიობა თვითგანადგურებამდეც მიიყვანოს და საჭიროა სათანადო ნაბიჯების გადადგმა ბიოსფეროს გადასარჩენად. სასიცოცხლო გარემოს უარყოფითი ცვლილებების (ბუნებრივი რესურსების გამოფიტვა, ნიადაგების ეროზია, ტყის საფარის, ფლორისა და ფაუნის ბიომრავალფეროვნების განადგურება და სხვ.) ერთ-ერთი მიზეზი გარემოს ანთროპოგენური დაბინძურებაა. ანთროპოგენური ფაქტორი მძლავრად ზემოქმედებს სასიცოცხლო გარემოზე. ადამიანს თავისი სამეურნეო საქმიანობით მნიშვნელოვანი ცვლილებები შეაქვს ეკოსისტემებში და საარსებო გარემოსთან დაბალანსებულ ურთიერთობებში, რომლებიც, ტრადიციულად, საუკუნეების მანძილზე ყალიბდებოდა.

ადამიანის კულტურული მოღვაწეობიდან გარემოსთან ყველაზე მჭიდროდ დაკავშირებულია მისი სამეურნეო საქმიანობა. ეს საქმიანობა ეფუძნება ხანგრძლივი ისტორიული გამოცდილების შედეგად ჩამოყალიბებულ გარემოსთან შეგუების მრავალფეროვან ფორმებს, მატერიალური კულტურის კომპლექსებს. ეს კომპლექსები ეთნოლოგიურ ლიტერატურაში სამეურნეო-კულტურული ტიპების სახელითაა ცნობილი. ესაა მეურნეობისა და კულტურის თავისებურებათა ისტორიულად ჩამოყალიბებული კომპლექსები, რომლებიც ახასიათებს გარკვეულ გეოგრაფიულ პირობებში და საზოგადოებრივი განვითარების გარკვეულ საფეხურზე მყოფ ხალხებს.

ქართველ ხალხს აქვს მდიდარი ეკოლოგიური ცოდნა-გამოცდილება. საუკუნეების განმავლობაში ქართველმა ხალხმა გარემოსთან ურთიერთობის რაციონალური ფორმები შეიმუ-

შავა, რის წყალობითაც მიღწეული იქნა ბუნებისა და ადამიანის სიმბიოზი.

ადამიანის გარემოსთან შეგუების და ჰავის, რელიეფის მრავალფეროვნების, ისტორიული გამოცდილების გათვალისწინებით საარსებო პირობებთან ადაპტაციის შესანიშნავი მაგალითია აჭარა, რომელიც ხასიათდება ბუნებრივ-გეოგრაფიული პირობების თავისებურებით, რაც განპირობებულია ქარების მიმართულებით, ნალექების რაოდენობით და ხასიათით, ნიაღვრის, ზვავის, მენწყვის საშიშროებით და სხვ.

ხანგრძლივი ისტორიული გამოცდილების შედეგად აჭარაში გარემო ფაქტორებთან შეგუების, გარემო პირობების მაქსიმალურად გამოყენების ოპტიმალური სტრატეგია ჩამოყალიბდა. აქ ადამიანებმა გარემოსთან ურთიერთობის რაციონალური ფორმები შეიმუშავეს, რის წყალობითაც მიღწეული იქნა ბუნებისა და ადამიანის ჰარმონიული ურთიერთობა, ისტორიულად ჩამოყალიბებული მთლიანობა.

აქაურებს, განსაკუთრებით მთიანი აჭარის მცხოვრებლებს, აქვთ მდიდარი ეკოლოგიური ცოდნა-გამოცდილება, რაც განპირობებული იყო არა მხოლოდ ბუნებრივ-გეოგრაფიული პირობების თავისებურებებით, არამედ საზოგადოებრივ-ეკონომიური განვითარების დონითაც. აჭარაში საუკუნეების განმავლობაში საკმაოდ წარმატებით გამოიყენებოდა მეურნეობის წარმოების ტრადიციული წესები, მთელი რიგი ქართული ხალხური აგროტექნიკური ხერხები, რომლებიც შემუშავდა მრავალსაუკუნოვანი გამოცდილების საფუძველზე. მცირემინიანობის პირობებში მინათმოქმედების კულტურის ამალღებისათვის, მოსავლიანობის გადიდებისა და მინათმოქმედების რაციონალური წარმოებისათვის მიმართავდნენ მთელ რიგ ღონისძიებებს, როგორცაა: ახოს აღება, დიდი ხნით ნამუშევარი მიწების დასვენება, მინდვრის კულტურათა მონაცვლეობით და შერევით თესვა, მიწების განოყიერება-მორწყვა, ნიადაგების ხარისხიანი დამუშავების და დაცვის პრაქტიკული ხერხები და საშუალებები, ადგილობრივი ბუნებრივ-სამეურნეო პირობების პრაქტიკული ცოდნა და მისი გათვალისწინება.

აჭარაში მიწის დამუშავების არაერთი რაციონალური წესი არსებობდა, რომელთაგან ძალზე გავრცელებული იყო ახოობა.

ახოს ალემინათმოქმედების ერთ-ერთი უძველესი და ფართოდ გავრცელებული სისტემაა. სახნავ-სათესად იყენებდნენ ტყის გაკაფვისა და ჯირკების გადანვით გამოთავისუფლებულ ნიადაგებს. მათი გამოფიტვის შემდეგ ითვისებდნენ ახალ ფართობებს (საბას განმარტებით, ახო არის "საყანური გაკაფული"). ძველ მინათმოქმედი ტყის მოახოებისათვის ძირითადად ცეცხლს იყენებდა. ახოს ასაღებად არჩევდნენ მზიან ადგილს, ამასთან ამჯობინებდნენ ფოთლოვანი ხეების ნადგომს. გაზაფხულზე ხეებს მინიდან 15-20 სმ სიმაღლეზე ცულით ან სპეციალური ხის "საყვერით" ქერქს შემოაჭრიდნენ, რის შედეგად ხე ზეზეურად ხმებოდა. ხე-ტყის ნაწილს შეშად იყენებდნენ, ნაწილს - საშენ მასალად, უვარგისს კი ადგილზევე წვავდნენ. "ახალი ნატების" დასამუშავებლად ხმარობდნენ წერაქვს, ცულწერაქვს, ქაჩს, ორთოხს და სხვას. პირველი ორი-სამი წლის მანძილზე სახვნელ იარაღს არ იყენებდნენ, რადგან ნაკვეთში დარჩენილი ხის ფესვები სახვნელის მუშაობას აბრკოლებდა (ნ.ჩიჯავაძე, ბათ., 1978). ამგვარად, ეს იყო მინათმოქმედების გარკვეული სისტემა, რომელიც ითვალისწინებდა როგორც მუდმივ, ასევე დროებით გამოსაყენებლად სახნავ-სათესი ფართობის შექმნას გაკაფული ტყის ხარჯზე. ბუნებრივმა პირობებმა და სახმარი მიწის სიმცირემ განაპირობა ახოობის გაჩენა. მთაგორიანობის გამო ნიადაგი შედარებით სწრაფად იფიტებოდა და დიდხანს მისი მოხმარება შეუძლებელი იყო. ეს აიძულებდა ადგილობრივ მეურნეს მთის ციცაბო ფერდობებიც კი გამოეყენებინა. ტყის კაფვას მიმართავდნენ არა მხოლოდ მემინდვრობის, არამედ სათიბ-საძოვრების გაზრდის მიზნითაც. სახნავ-სათესის მოსაწყობად ადგილი ნაკლებ ქანობიანი, მზიანი, მისასვლელად ადვილი უნდა ყოფილიყო. ამიტომ თავდაპირველად საახოედ სოფლის მიმდებარე ტყიან სანახებს იყენებდნენ. ასეთი ადგილების ათვისების შემდეგ, კი მთის ზემო ფერდობებზე ინაცვლებდნენ.

ახოს გამოყენების ხანგრძლივობა 3-4 წელს არ აღემატებოდა. შემდეგ, როცა მიწის ნაყოფიერება დაეცემოდა, მას მიატოვებდნენ და სხვა ადგილას გაკაფავდნენ ტყეს. მიტოვებულ ახოში, მიწის ნაყოფიერების დაჩქარებული აღდგენის მიზნით, მიმართავდნენ ნაყანვეზე ტყის ხელოვნურ გაშენებას, რაც გუ-

ლისხმობდა ამ ტერიტორიაზე სწრაფად მზარდი და ნიადაგისათვის სასარგებლო ხის ჯიშის მოშენებას. ასეთ ხედ თხმელა (მურყანი) ითვლებოდა.

რთულმა ბუნებრივმა პირობებმა და სავარგულების სიმცირემ განაპირობა აჭარაში ნიადაგის განოციერებისა და ირიგაციის ისეთი რაციონალური ხერხის გამოყენება, როგორიცაა მონეხვნყვლა ანუ ნიადაგის მორწყვა-გაპატივება, რაც მხოლოდ მთური მიწათმოქმედებისათვის იყო დამახასიათებელი. პატივის დაკავშირება წყალთან იმით იყო განპირობებული, რომ მთის რთულ გეოგრაფიულ პირობებში, როცა საზიდრის გამოყენებაც კი ჭირდა, ნიადაგში პატივის შეზიდვის მნიშვნელოვან საშუალებად წყალი ითვლებოდა. ძნელად მისადგომ ნაკვეთებში ნაკელის გადატანა მეურნეს საკუთარი ზურგით უხდებოდა, რაც ძალზე მძიმე საქმე იყო. ამან გლექს მიწის მორწყვა-გაპატივების პრაქტიკულად ძალზე მოხერხებული წესი შეამუშავებინა, რომლის მთავარი პრინციპიც იყო საქონლის სადგომთან დაგროვილი პატივის საგანგებოდ მოწყობილი სარწყავი ქსელით დაუკარგავად და თანაბრად განაწილება ყანაში.

ნიადაგების დასაცავად აჭარაში იყენებდნენ მიწის გაპოხიერების განსაკუთრებულ წესს – “მიწის დასასვენებლად დაგდებას”. დასასვენებლად განკუთვნილ მიწას ბრაგა ეწოდებოდა. ასე უწოდებდნენ საერთოდ უხმარ მიწასაც. ბრაგას ზოგჯერ ათ წელსაც კი ასვენებდნენ, სანამ კვლავ სახნავ-სათესად გამოიყენებდნენ. მიწის დასვენების ამგვარ წესს მიწის “გასუქებას”, “გაჭალავებასაც” ეძახიან. მიწის ნაყოფიერების დაჩქარებული აღდგენის მიზნით აჭარაში იცოდნენ ნაყანვეზე ტყის ხელოვნური გაშენება, რაც გულისხმობდა მიტოვებულ ახოში სწრაფად მზარდი და ნიადაგისათვის სასარგებლო ხის ჯიშის მოშენებას. ასეთ ხედ გამოიყენებდნენ თხმელა (მურყანი) ითვლებოდა.

აჭარისთვის დამახასიათებელია მთავორიანობით გამოწვეული ნიადაგის ეროზია და სავარგულების სიმცირე. ასეთ პირობებში დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა არსებული ნიადაგების ეფექტურ დაცვას. ნიადაგის ეროზიის საკმაოდ ძლიერი ფაქტორი მოჭარბებული ნალექიანობაც იყო. ზემო აჭარაში, მიუხედავად მცენარეული საფარის დიდი სიუხვისა, რომელიც თავისთავად მიწის რღვევის საწინააღმდეგო ბუნებრივ

საშუალებას წარმოადგენს, წვიმების შედეგად ძალზე სწრაფად მიმდინარეობს ჩამორეცხვა. დარეცხვის პროცესი ყველაზე სწრაფად ფერდობებზე მიმდინარეობს და თან სდევს მდიდარი ნიადაგური ფენის აუნაზღაურებელი დანაკარგი. ამიტომაც, ნიადაგის დაცვა განსაკუთრებულ და მნიშვნელოვან სამეურნეო ღონისძიებად იყო მიჩნეული და მუდმივ დაძაბულ შრომასა და ბუნებასთან განუწყვეტელ ბრძოლას მოითხოვდა. ასეთ პირობებში ნიადაგის დაცვის და შემაგრების საუკეთესო საშუალება იყო რელიეფის დატერასება. ნიადაგდაცვით საშუალებათაგან უმნიშვნელოვანესია ტერასული მიწათმოქმედება. ნიადაგის დასაცავად სხვადასხვა ზომის და კონსტრუქციის ნაგებობებს იყენებდნენ. ამისათვის იხმარებოდა ადგილზე ხელმისაწვდომი მასალა: ხე, ქვა ან ხშირად მარტო მიწა. ამის მიხედვით გამოყოფდნენ ხით შემოსილ ანუ ძელურ ტერასებს, ქვით შემოსილ ტერასებს და შეუმოსავ ტერასებს (ნ.ჩიჯავაძე ბათ., 1971.).

მთიანი სოფლები ტრადიციულად ბუნებრივ ტერასებზეა გაშენებული, რომელსაც თავში, როგორც წესი, საგანგებოდ გაშენებული ტყის ზოლი აკრავს. ეს არის ე.წ. საფარი ტყე ან უბრალოდ საფარი, რომელსაც საცავს ან ყორი ტყეს\ყორისაც უწოდებენ. ამგვარი ტყის დაცვა სავალდებულო იყო მთელი სოფლისათვის. ასეთ ტყეში აკრძალული იყო არა თუ ხის მოჭრა, არამედ საშეშედ ხმელი ხის გამოტანაც, რადგან ეს ტყე იცავს სოფელს ზვავისა და ნიადაგის ჩამორეცხვისაგან.

აჭარა ძველთაგანვე ცნობილი იყო მდიდარი და მრავალფეროვანი ხე-ტყით. იგი ფართოდ გამოიყენებოდა საცხოვრებელი სახლების, სამეურნეო, საკულტო და თავდაცვითი ნაგებობების მშენებლობაზე. ძვირფასი ჯიშები გაჰქონდათ კიდეც. ასე, რომ ტყეს ოდითგან სარწაო მნიშვნელობაც ჰქონდა. მიუხედავად ამისა, აჭარის მოსახლეობამ კარგად იცოდა ტყის ფასი, იცოდა, თუ რა დიდ როლს ასრულებდა ტყე ქარის, ზვავის, მენყერის შესაკავებლად, ნიადაგის დასაცავად და წყლის შესანარჩუნებლად. ამიტომაც განსაკუთრებით უფრთხილდებოდნენ სოფლის მახლობელ ფერდობებზე გაშენებულ ტყეებს.

ხის მოჭრასთან დაკავშირებული აკრძალვები რწმენა-წარმოდგენებშიც იჩენს თავს. ეს, ძირითადად, ანიმისტური

წარმოდგენება (ტყეში ქსოვილში გახვეული ცულით მიდიოდნენ.) ხეებს აქა-იქ გამოჭრიდნენ. ხეები ითვლებოდა სათემოსასოფლო და საგვარეულო საკუთრებად. თითოეულ გვარს თავისი ნიშანი – თავჯი ჰქონდა. საშემედ ბებერ ხეს გამოჭრიდნენ. მოზარდი ხის გამოჭრა არ შეიძლებოდა. სამასალე ხედ სწორ და ნაკლებად როკიან ხეებს იყენებდნენ.. სამშენებლო და სამასალე ხის შერჩევის ხალხური წესები ტყეს განადგურებისაგან იცავდა (ჯ.ვარშალომიძე, ბათ., 1978. ).

აჭარაში ადამიანის საარსებო გარემოსთან მრავალათასწლოვანი ურთიერთობა ემყარება ემპირიულ ცოდნას, დაკვირვებას, საცხოვრებელი გარემოს შერჩევისა და ათვისების ისტორიულ გამოცდილებას. ხალხს კარგად ჰქონდა შესწავლილი თავისი საცხოვრისი, ბუნების თითოეული კომპონენტი, რელიეფის თავისებურება. ეს ისტორიული გამოცდილება თაობიდან თაობას გადაეცემოდა და სტიქიასთან ჭიდილის საუკეთესო საშუალებას წარმოადგენდა. მაგრამ, სამწუხაროდ, ბუნების დაცვის დახვეწილი მამა-პაპური ტრადიციები თანდათან დავიწყებას მიეცა და შეიქმნა არა მხოლოდ სამეურნეო დისკომფორტი, არამედ ეკოლოგიური პრობლემებიც. ადამიანსა და ბუნებას შორის ბალანსის დარღვევის გამო, ბუნება თითქოს შურს იძიებს ადამიანზე სტიქიური უბედურებებით. ეს კიდევ ერთხელ ამტკიცებს იმ გამოცდილების შესწავლისა და გაზიარების აუცილებლობას, რაც ქართველ მეურნეს აჭარაში საუკუნეების განმავლობაში დაუგროვდა. ამ მიმართულებით კვლევას, შემეცნებითთან ერთად, პრაქტიკული მნიშვნელობაც აქვს. ასეთ კვლევებს შეუძლია გადაარჩინოს ბუნების დაცვის უძველესი წესები, მამა-პაპური ტრადიციები, შეიმუშავოს ეკოლოგიური ალტერნატივა, წამოჭრას ეკოლოგიური პრობლემები და გააკეთოს მათი პრაქტიკული გადაწყვეტის პროგნოზი. ანთროპოეკოლოგიურ კვლევებზე დაყრდნობით უნდა აღდგეს ნიადაგის დაცვის ტრადიციული ხერხები, სავარგულების სწორი ექსპლუატაცია. მშენებლობის ტექტიკა ტრადიციულ ეკოლოგიურ ცოდნასა და კულტურაზე უნდა იყოს დაფუძნებული. ხალხური გამოცდილება გათვალისწინებული უნდა იყოს გზებისა და ხიდების მშენებლობისას, მდინარეების შესაძლებლობის გამოყენებისას. ბუნებრივი პირობების უკეთ გამოყენება, რეკომენდა-

ციების შემუშავება ბუნებრივი ეკოსისტემების შენარჩუნებისათვის, - ესაა პრობლემები, რომელთა გადაჭრაშიც თავისი დიდი წვლილის შეტანა შეუძლიათ ეთნოლოგებს.

***გამოყენებული ლიტერატურა:***

1. ვარშალომიძე ჯ., ორნამენტი ხეზე. ბათ., 1978.
2. ნ. ჩიჯავაძე, სამიწათმოქმედო ყოფის ისტორიიდან აჭარაში, თბ., 1971

***Tamila Lomtadze***

***Folk remedies in subsistence environment in Ajara***

***Summary***

Ajara is an excellent example of human adaptation to the environment and living conditions. This article discusses optimal strategy of using living environment maximally, which over the centuries has accumulated to Georgian farmer in Ajara. In XXI century, the current ecological disasters approved necessity of exploring and sharing of that experience.

## *ქეთევან ფუტყარაძე*

### **ოჯახისა და ქორწინების როლი მომავალი თაობის ზნეობრივი სრულყოფის საქმეში**

ოჯახი და ქორწინება ადამიანთა მოდემის გამრავლების მთავარი ფუნქციის მატარებელია. ქორწინება და ოჯახი მოიცავს ურთიერთობებს ქალსა და მამაკაცს, ცოლსა და ქმარს, მშობელსა და შვილს, წინაპარსა და შთამომავლობას შორის. ამდენად დიდია მისი როლი მომავალი თაობის აღზრდის საქმეში. ოჯახში ბავშვის აღზრდაზე გავლენას ახდენს ოჯახის წევრებს შორის, უპირატესად ცოლ-ქმარს შორის არსებული ურთიერთობა. იმ ოჯახში, სადაც ცოლსა და ქმარს შორის ჰარმონიული ურთიერთობაა, ბავშვებიც ნორმალურად იზრდებიან. ამიტომაც, რომ საზოგადოებაში არის ტენდენცია – შთამომავლობა გაჩნდეს უპირველესად სიყვარულის საფუძველზე. შვილები კი ამდიდრებენ მშობლებს და უბიძგებენ ურთიერთპატივისცემისაკენ.

ოჯახისა და ქორწინების ერთ-ერთი უმთავრესი ფუნქციაა ოჯახის წევრთა ზნეობრივი სრულყოფა, მოზარდის მომზადება საზოგადოებრივი და საოჯახო ცხოვრებისათვის. ბავშვები ოჯახში ყოველთვის იქნებიან სიყვარულისა და ზრუნვის ობიექტები. სიყვარული კი ხელს უწყობს ოჯახის წევრებში ჰუმანური გრძნობების აღზრდას. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს სინამდვილეში თანდათან იკიდებს ფეხს ევროპული ინდივიდუალიზმი, ოჯახის ზემოთაღნიშნული ფუნქცია უცვლელი რჩება. ბავშვები უყვართ, რადგან ისინი არიან სუფთა და ფაქიზნი, წმინდა და უცოდველნი, სამყაროს განახლებისა და უკვდავების ცოცხალი სიმბოლო. ბავშვი ზრდასრულ და ასაკოვან ოჯახში აყალიბებს „უკვდავების განცდას“ (ბანძელაძე გ., 1968: 466-467). ამიტომაცაა, რომ ბავშვებისათვის არაფერს იშურებენ, თუმცა ზომიერების დაკარგვამ შესაძლოა უკუშედეგი გამოიღოს.

რაც უფრო ვითარდება საზოგადოება, მით უფრო იზრდება ოჯახისა და ქორწინების როლი პიროვნების ზნეობრივი აღზრდის საქმეში. ჩვენებურების (თურქეთში მცხოვრები ქართველები) თქმით „კაი ანა-ბაბოს კაი ღარჭი ეყოლება“. აღნიშნული დებულება ემპირიული გამოცდილებით შეიძინა ადამიანმა. იგი მეცნიერულ დასაბუთებასაც პოულობს. ფსიქოლოგები ამტკიცებენ, რომ



ზნეობრივად სრულყოფილ ოჯახში ზნეობრივად სრულყოფილი შთამომავლობა წარმოიშობა. ბედნიერი ქორწინების უმრავლესობა მოდის ბედნიერ ოჯახში აღზრდილ ბავშვებზე.

სიკეთის გრძნობის განვითარების ქვეშარტი პირობებს ადამიანი მხოლოდ ოჯახში პოულობს. ეს გრძნობა წარმოიშობა ოჯახის წევრებს შორის არსებულ ურთიერთობაში. „თუ ანაი და ბაბოი ერთმანეთში კინკლობენ, ღარჭი დეიჩაგრება, დაბლაცვდებაო“ – ხაზგასმით აღნიშნავენ რესპონდენტები და ოჯახის წევრებს შორის ჰარმონიულ ურთიერთობას ანიჭებენ განსაკუთრებულ მნიშვნელობას მოზარდთა აღზედის საქმეში.

ოჯახში ზნეობრივ ურთიერთობას გამოსატყვევებს სიყვარული და მოვალეობა ოჯახის წევრებს შორის. სიყვარულით ქორწინება თავისთავად არის ზნეობრივი პრინციპი, ხოლო თუ კი იგი შემდგომშიც ხანგრძლივად გრძელდება ოჯახში, კიდევ უფრო იზრდება მისი ზნეობრივი ღირებულება. მას კარგად აცნობიერებენ როგორც მთიან აჭარაში, ისე ისტორიულ საქართველოში, სადაც ძალზე იშვიათია ოჯახის დაშლის შემთხვევები. ეს კი მშვენივრად აისახება მოზარდის ცნობიერებაში და უყალიბდება ოჯახური ერთგულებისა და სინამდის დაცვის განცდა.

ცხადია, ქორწინების დროს არსებული სიყვარული განიცდის ცვალებადობას. შესაძლოა შესუსტდეს ან გაქრეს კიდევ, მაგრამ შემდგომ აქცენტი გადატანილი უნდა იქნეს სულიერ ფასეულობებზე, რომლებიც ასევე უპირველეს ყოვლისა ყალიბდება ოჯახში – აღზედის პროცესში: **„პირველათ რომ გეყვარება, იმფერი სიყვარული ჰალად არი ანავ, ჰამა მერე კიდევ და გიყვარდეს სხვაფრივ. შვილი გაგამთელებს, ერთ ჰულიეს გაძლევს, ერთმანეთის მოთმინებას გაკეთებებს“**. რესპონდენტის ამ სიტყვებში ჩანს ზნეობრივი და ესთეტიკური კულტურა, რომელიც პირდაპირ კავშირშია ოჯახური პასუხისმგებლობის გრძნობასთან. შესაძლოა აღნიშნული თეზისი დისკუსიისა და კამათის საგანიც იყოს, მაგრამ ქორწინებისდროინდელი სიყვარული თანდათანობით რომ იცვლება ურთიერთპასუხისმგებლობით, რომელიც ეფუძნება სულიერ ფასეულობებს, რეალური ცხოვრებიდანაც ნათლად ჩანს და რესპონდენტებიც ამას ადასტურებენ. თანდათანობით ახალგაზრდული სიყვარულის ადგილს იჭერს სულიერი და ზნეობრივი მხარე. ეს კი აძლიერ-

რებს მოვალეობისა და პასუხისმგებლობის გრძნობებს. ამიტომაც შეუძლებელია სიყვარულის გათიშვა მოვალეობისა და პასუხისმგებლობისაგან. ამ შემთხვევაში მარტო იურიდიული მოვალეობა არ იგულისხმება. პირველ რიგში საუბარია ზნეობრივ მოვალეობაზე, რომელსაც საფუძვლად ედება თვით ადამიანის შინაგანი, სუბიექტური აუცილებლობის გაცნობიერება. ამ შემთხვევაში მოვალეობის შეგნებასთან ერთად უნდა განვიხილოთ მოვალეობის გრძნობა. ე. ი. ოჯახში საფუძველი ეყრება მოვალეობის გრძნობის აღზრდას. ასეთ შემთხვევაშია ბედნიერი ოჯახი და შესაბამისად ასეთ ოჯახში მოზარდის აღზრდა ეფუძნება ზნეობრივი ფასეულობებისადმი ერთგულებას.

ოჯახი, ისევე როგორც კონკრეტული ადამიანი სიკეთისა და ბოროტების, „მინდასა“ და „არმინდას“ ბრძოლის ასპარეზია და მან რომ იარსებოს, საჭიროა დაემორჩილოს სიკეთისა და ჰუმანიზმის კანონებს. ეს აუცილებლობა მოითხოვს არა მარტო ცოლ-ქმარსა და ოჯახის წევრებს შორის ნორმალურ ზნეობრივ ურთიერთობას, არამედ მომავალი თაობის ზნეობრივ სრულყოფასაც. ამ თვალსაზრისით განუზომელია ოჯახისა და ქორწინების როლი და მნიშვნელობა.

#### **გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები:**

1. ავტორის საველე ექსპედიციის დღიური, შავშეთი, 2009 წლის ივლისი;
2. ბანძელაძე გ., ეთიკა, თბ., 1969.

***Ketevan Putkaradze***

### ***Marriage traditions in upbringing of child***

#### ***Summary***

The main function of propagation of the human mankind is family and marriage. On upbringing of child is influenced by relationship between family members, mainly between husband and wife. In a family where is harmonious relationship between husband and wife, children grow up normally. In article by author based on materials collected during field expeditions are considered the importance of family and marriage in moral upbringing of next generation.

**თამაზ ფუტყარაძე**  
**კახა ფუტყარაძე**

**ქალთა მენსიერება რუსეთ-თურქეთის 1877-1878  
წლების ომისა და ომისშემდგომი პერიოდის  
შესახებ**

ქალისა და ომის საკითხები ძალზე აქტუალურ საკითხად იქცა XX-XXI საუკუნეების მიჯნის ეთნონაციონალური მოძრაობის კონტექსტში. ქალის მენსიერება ომის შესახებ, მათი მონაწილეობა ომსა და ომისშემდგომი პერიოდის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პროცესებში წარმოადგენს ჩვენი კვლევის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საკითხს.

უზარმაზარი სირთულით, მრავალფეროვნებით, დრამატიზმით გამორჩეული 1877-1878 წლების ომი ერთ-ერთ მნიშვნელოვან მოვლენად იქცა საქართველოს ისტორიათვის. უმძლავრესი სახელმწიფოების მეტოქეობის ფონზე მომდინარეობდა ფუნდამენტური სოციალური და ეკონომიკური ტრანსფორმაციების გადაჯაჭვა, დინამიკურად ცვლადი იდენტობებისა და ჯგუფების ურთიერთქმედება და დაპირისპირება.

საქართველოს ისტორიის მნიშვნელოვან მონაკვეთებში ქალები საკმაოდ დიდ როლს თამაშობდნენ და მამაკაცებთან ერთად ისტორიის ჩარხის წალმა შემობრუნებას ცდილობდნენ. მართალია, ყოველთვის ამას ვერ ახერხებდნენ, მაგრამ ისტორიაში თავიანთი სახელოვანი ნაკვალევი მაინც დატოვეს. ბევრი მათგანის სახელი უცნობია ისტორიისათვის, მაგრამ ხალხური გადმოცემები, ზეპირი ისტორიები ნათელ წარმოდგენას გვაძლევენ იმ ქალებზე, რომლებიც რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომს სამშობლოს გაერთიანების ამოცანებს უკავშირებდნენ, ყოველთვის იყვნენ დამოუკიდებლობის იდეის მომხრენი და ღიად თუ ფარულად იბრძოდნენ კიდევ სამშობლოს თავისუფლებისათვის.

ზოგადად, ქართული მენტალობისათვის არაა მისაღები ქალების მონაწილეობა ომში. იგი მამაკაცების საქმედ ითვლება, თუმცა საქართველოს ისტორიაში მრავლად იყო ფაქტები, როცა ქალები არა თუ მონაწილეობდნენ, არამედ გადამწყვეტ სიტუვასაც ამბობდნენ.

თუ თანამედროვე პოზიციებიდან ვისაუბრებთ 1877-1878 წლების ისტორიული მეხსიერების შესახებ, უეჭველია, რომ მთავარი მოვლენა ამ ომისა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში მცხოვრები ქალებისათვის იყო დაკარგული ტერიტორიების დაბრუნება. ომის შედეგების ასეთი აღთქმა არის ის მთავარი ღერძი, რომლის გარშემოც უნდა მოხდეს ისტორიული პოლიტიკისა თუ კოლექტიური მეხსიერების რეკონსტრუქცია. ქუჩების დასახელება, მემორიალური დაფებისა და მუზეუმების გახსნა მცდელობაა ამ ომისა და ომისშემდგომი მოვლენების (მუჰაჯირობის) ხსოვნის უკვდავყოფისა, თუმცა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში მათი რაოდენობა იმდენად მცირეა, რომ აღარ ღირს მასზე ყურადღების გამახვილება.

რუსეთ-თურქეთის ომმა მათში მონაწილე სახელმწიფოებისა და ხალხებისთვის სხვადასხვა შედეგები გამოიწვია. ჩვენი თანამედროვეების თვალში, რომლებიც საკუთარი თავის იდენტიფიცირებას მაშინ დაპირისპირებულ მხარეებთან ახდენენ, ერთი და იგივე მოვლენებმა გარდაუვალად შეიძინა სხვადასხვა მნიშვნელობა, ხოლო წარსულის ინტერპრეტაციისთვის ამოსავლად იქცა სხვადასხვა მოვლენები.

ასეთი სრულ და საბოლოო ჭეშმარიტებად გამოცხადებული ინტერპრეტაციები ხშირ შემთხვევაში მითებად გარდაიქმნება. ისტორიული მითები ზოგჯერ – გულწრფელი შეცდომებით, ზოგჯერ კი პოლიტიკური კონიუნქტურით წარმოიშობა.

ისტორიულ მოვლენებზე ასეთი მითშემოქმედება არაკეთილსინდისიერი პოლიტიკოსების ხელში შესაძლოა „მეხსიერების ომებად“ გარდაიქმნას, რომელიც სრულიადაც არ ემსახურება წარსულის შესახებ ჭეშმარიტი ცოდნის დამკვიდრებას. აქ იკვეთება ღია დისკუსიებისა და პროფესიონალიზმის მნიშვნელობა, თუმცა არანაკლებ მნიშვნელოვანია ომში ქალთა გამოცდილებისა და მეხსიერების საკითხების შესწავლა.

ისტორიკოსთა პროფესიული საზოგადოება არ ემიჯნება ზეპირ ისტორიებს, განსაკუთრებით ქალთა მეხსიერების წარმოჩენას, რადგან მათში უფრო მეტად ვლინდება ინტერპრეტაციებზე, ემოციებსა და ინდივიდუალურ შეხედულებებზე დაფუძნებული ისტორიული ძნელბედობის აღქმა, განცდა და ტკივილი. ის უკავშირდება მოვლენას, რომელიც მართლაც შევიდა ისტორიაში და ინდივიდის მეხსიერებაში არის დალექილი. ასე-

თი მოგონებები ფაქტებზე დაფუძნებულ ისტორიასთან მჭიდრო კავშირშია. შეიძლება ითქვას, რომ ზოგიერთ შემთხვევაში, უფრო ღირებული, კორექტული და ნამდვილია ნაამბობი, ვიდრე - ოფიციალური ისტორია. ამ თვალსაზრისით იქნა ჩვენს მიერ ჩატარებული საველე კვლევა-ძიება. ნაშრომიც სწორედ საველე მონაცემების საფუძველზე არის შესრულებული.

ქალთა სხვადასხვა ჯგუფები სხვადასხვანაირად მონაწილეობდნენ რუსეთ-თურქეთის ომში. მათ ეკავათ სრულიად განსხვავებული პოზიციები საზოგადოებაში. სწორედ ამიტომ შევცადავთ ჩვენი ყურადღების ფოკუსირება მოგვეხდინა ქალთა მებსიერების, ზეპირი ისტორიების, ქალის როგორც გმირის, აქტივისტის, ომის მსხვერპლის და სხვა სტატუსის შესახებ სხვადასხვა დენომინაციისა და კულტურული ტრადიციის გათვალისწინებით. დასახული მიზანდასახულობის შესასრულებლად ვახდენდით ქალთა „პროვოცირებას“, რათა მოეთხროთ ზეპირი ისტორიები. ამას ვაკეთებდით იმიტომ, რომ გათავისებული გვექონდა ზეპირი ისტორიების, როგორც ეთნიკური ისტორიის ამსახველი მასალის მნიშვნელობა. ზეპირ ისტორიებში გამოკვეთილია კონკრეტული პიროვნებებისა თუ ოჯახების ტრაგედია. ამავე დროს ცხადია, რომ მოპოვებული ფაქტობრივ მასალას აუცილებლად გამოუჩნდებიან ანალიტიკოსებიც. ამდენად, იგი შეასრულებს წყაროს როლს სხვადასხვა დარგში მომუშავე მეცნიერებისათვის. მოპოვებული ფაქტობრივი მასალა შეიძლება გამოადგეს დევნილთა პრობლემებზე მომუშავე სახელმწიფო, არასამთავრობო, საერთაშორისო ორგანიზაციებსაც.

დასახული მიზანდასახულობის შესაბამისად კვლევები ჩატარდა როგორც თურქეთის ტერიტორიაზე, ისე თანამედროვე საქართველოში (აჭარაში, რომელიც ამ ომის შემდეგ დაუბრუნდა სამშობლოს). შესაბამისად, უნდა გამოვეყოთ ქალების ორი კატეგორია:

- ა. თანამედროვე თურქეთში მცხოვრები ქართველი ქალები;
- ბ. საქართველოში მცხოვრები ქალები.

თანამედროვე თურქეთში მცხოვრებ ქალთაგან უნდა განვასხვავოთ:

1. მუჰაჯირთა შთამომავლები, რომლებიც ცხოვრობენ თურქეთის შიგა პროვინციებში;

2.თურქეთის სახელმწიფოს შემადგენლობაში, მაგრამ საკუთარ ეთნიკურ ტერიტორიაზე მცხოვრები ქალები.

წინასწარ ვიტყვით, რომ ჩვენ ვერ შევძელით რუსეთ-თურქეთის ომში კონკრეტული ქალების მონაწილეობის ამსახველი მასალების მოძიება. რესპონდენტები მათ სახელებს ვერ იხსენებენ, მაგრამ შევძელით მოგვეპოვებინა ზოგადი ინფორმაციები, რასაც ასევე აქვს დიდი მნიშვნელობა წარსულის რეკონსტრუქციის თვალსაზრისით. შესაბამისად შემოვიფარგლეთ მათ მიერ მოყოლილი გადმოცემების წარმოჩენით, რომლებშიც ძირითადი აქცენტი ომის შედეგებზე, ძირითადად მუჰაჯირობაზეა გადატანილი.

რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების შემდეგ იწყება მუჰაჯირობის მეტად მტკივნეული პროცესი, რომელმაც დიდი დასავა ქალთა ეთნოფსიქიკას. ყოველივე ეს აისახა ზეპირ ისტორიებში, რომლებიც გადაეცემოდა თაობიდან თაობას ზოგ შემთხვევაში ფრაგმენტულად, ზოგჯერ კი სრული სახით. თურქეთისა და საქართველოს ქალთა მეხსიერებაში ჯერ კიდევ არის შემორჩენილი წინაპართა გადმოცემები განცდილი ომისა და ომისშემდგომი ტრაგედიის შესახებ. საკითხი მოითხოვს დროულ გამოკვლევას და ქართული იდენტობის გადარჩენის გზების ძიებას, რათა თურქეთის ქართველებმა არ დაკარგონ თავიანთი იდენტობა. ამისათვის საჭიროა ზეპირი ისტორიების შეგროვება და მათი ონლაინ და სტამბური წესით გამოქვეყნება.

ველზე დაკვირვებამ მოგვცა გარკვეული ინფორმაცია საკვლევ თემატიკაზე. დაკვირვების მეთოდი დაგვეხმარა ბუნებრივ პირობებში შეგვესწავლა რეალური ინტერპრეტაციები.

ველზე მუშაობისას წავანყდით სირთულეებს. ქალთა გარკვეული კატეგორია თავდაპირველად ეჭვის თვალით გვიყურებდა, იყო შიშის მომენტიც, მაგრამ როცა გებულობდნენ, რომ ჩვენ პოლიტიკური მიზნები არ გვამოძრავებდა, სიამოვნებით გვთანხმდებოდნენ ინტერვიუზე. ერთ-ერთმა რესპოდენტმა აღნიშნა, რომ თურქეთის ქართველი ქალები ამ ბოლო დროს გარკვეული ყურადღების ცენტრში მოექცნენ და ზედმეტი აჟიოტაჟი მათ არ აწყობთ.

თურქეთელი ქართველი ქალები განსაკუთრებულ სიხარულს გამოხატავდნენ, ქართულ ენაზე მისალმების თუ დამშვიდობების დროს. ასევე სიამოვნებდათ, როცა ჩვენ ვიცოდით მა-

თი ყოფისათვის დამახასიათებელი წეს-ჩვეულებები. პირველი კონტაქტი ისეთნაირად უნდა წარგვემართა, რომ რესპოდენტს მონდომებოდა ჩვენთან თანამშრომლობა. მთხრობელის გული უნდა მოგვეგო.

საველე მუშაობის დროს ჩვენი მიზანი იყო, პირველ რიგში, შეგვეგროვებინა რუსეთ-თურქეთის ომსა და მუჰაჯირობის თემატიკაზე ორიენტირებული ისტორიები. მუჰაჯირობის თემაზე უამრავი ლიტერატურა არსებობს. ხოლო ჩვენს მიერ მოპოვებულ ზეპირი ისტორიები წარმოადგენს გადმოცემათა გადმოცემებს და მათ არა აქვთ ფაქტობრივი ჭეშმარიტების პრეტენზია. თუმცა ეს მასალა საინტერესოა კონკრეტული ქალბატონების განცდების დოკუმენტირების თვალსაზრისით. რა ინტერპრეტაციას აძლევენ ისინი ომისა თუ მუჰაჯირობის ფაქტს.

ომისა და მუჰაჯირობის ისტორიები მძაფრი ემოციურობით არის გადმოცემული XIX საუკუნის პრესაში. ემოციურობა აიხსნება იმით, რომ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიულ სამშობლოში დაბრუნებისა და ქართველთა ძალდატანებით გადმოსახლების ფაქტები მოვლენის პარალელურად შუქდებოდა. XIX საუკუნის პრესის მასალებთან შედარებით, თურქეთში მცხოვრებ ქართველ ქალთა მონათხრობში შეცვლილია ამ მოვლენის ინტერპრეტაცია. მუჰაჯირთა შთამომავალი ქალების ზეპირ ისტორიებში იშვიათად გვხვდება ომის ამსახველი მონაცემები. ეს მათ ნაკლებად ახსოვთ. სამაგიეროდ, განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებენ მუჰაჯირობაზე. მათ მონათხრობში მუჰაჯირობის მოვლენის ნამდვილი საფუძველი (რუსეთისა და თურქეთის იმპერიული ინტერესები) მიჩქმალულია. რესპოდენტები მხოლოდ მუჰაჯირობის ფაქტზე ლაპარაკობენ, ხოლო მიზეზებზე - არა. მათ მამების, ბებია-ბაბუების გადმოცემით იციან თუ საიდან, რომელი სოფლიდან თუ კუთხიდან არიან გადმოსახლებულნი. მაგალითად, ინეგოლის რაიონის 18 სოფელში კომპაქტურად ცხოვრობენ მუჰაჯირთა შთამომავლები, რომლებიც გადმოსახლებული არიან ძირითადად ბათუმიდან, შუახევიდან, ხულოდან, ქედიდან, ქობულეთიდან. ისეთი ფაქტის მონმენიც გავხდით, როცა მთხრობელმა არ იცოდა თუ სად იყო თავისი ძველი საცხოვრისი.



**სტამბოლი, მუჰაჯირთა შთამომავლებთან  
(ფოტო მუსტაფა იაკუთისა, 2014 წლის 3 ივნისი, სტამბოლი,  
ქართული კულტურის ცენტრი)**

მუჰაჯირთა შთამომავალი ქალების მონაყოლის მიხედვით გაირკვა, რომ თურქეთში ქართველთა ჩასახლების ფაქტები დასტურდება როგორც მუჰაჯირობამდე, ისე მუჰაჯირობის შემდეგაც.

ერთ-ერთმა რესპონდენტმა თავისი წინაპრის მუჰაჯირობამდე ჩამოსახლების მიზეზად დაასახელა ცხოვრების პირობების გაუმჯობესება და პირადი ურთიერთობები (მთხრობელი სელმან მამულაძე, ინეგოლი, საველე ექსპედიცია 2014 წ. ივნისი, ინეგოლი), ხოლო მისმა ნათესავმა გვითხრა, რომ „დიდ ბაბუას საქართველოში კაცი შემოაკვდა და ამ მიზეზით გამოერიდა იქაურობასო“ (მთხრობელი იბრაიმ მაკარაძე, ინეგოლო, საველე ექსპედიციის დღიური, 2014 წ. ივნისი). მათი ინფორმაციით, ინეგოლში ყველაზე მეტნი არიან მუჰაჯირობის წლებში ჩამოსახლებული ქართველების შთამომავლები. მთხრობელების მონაყოლის მიხედვით, მუჰაჯირების მასიური ნაკადი ძირითადად გემით ჩავიდნენ, თუმცა ზოგიერთი ფეხითაც.

ისმინაზ იაზი მუჰაჯირთა ერთ-ერთი შთამომავალი ქალ-



ბატონია ინეგოლის რაიონის სოფელ ჰილმიედან. ამჟამად მუშაობს კურორტ ოილათის ერთ-ერთ რესტორანში. მასთან ინტერვიუზე რომ მივედი, იმთავითვე გააცნობიერა ჩვენი ინტერესების მნიშვნელობა. ინტერვიუზე დასათანხმებლად თხოვნა არ დაგვეჭირდა. თავისით დაიწყო ისტორიების მოყოლა. ისმინაზ იაზის თქმით მისი წინაპარი „დედეები“ (ბაბუები) მუჰაჯირები არიან. თავდაპირველად მისი წინაპრები სხვაგან დაუსახლებიათ, მაგრამ შემდეგ, სოფელ ოილათში ამოსულანო.



რესპონდენტი ისმინაზ იაზი  
(ფოტო მედეა ბერიძისა, სოფ. ოილათი, 2014 წ. ივნისი)

სხვადასხვა სოფელში ძმების ან ახლო ნათესავების დასახლების მიზეზი მთხრობელმა სულთან იაფუზმა განმარტა შემდეგნაირად: „ზოგი მუჰაჯირობის დროს მოვიდა, მაგრამ ზოგი მკვლელობის გამო გამოიქცენ აქ. გამოქცეულებს რომ გამოსდგომოდნენ, მოკლავდნენ და რომ არ დახოცილიყვენ და გვარის გამგრძელებელი დარჩენილიყო, ამ მიზნით სხვადასხვა სოფელში დასახლდნენ“ მთხრობელი ისმინაზ იაზი, ოილათი, 2014 წ. ივნისი).

რესპონდენტი სულთან ტაკიძის (სეზერი) მონაყოლში ყურადღება მიიქცია ერთმა ფაქტმა. მან კარგად იცის, რომ მუჰა-

ჯირის შთამომავალია, ამავე დროს წუხს ქართველთა დაქსაქსულობის შესახებ, რასაც ცალკეულ შემთხვევაში თან ახლავს ასიმილაცია: „ომზე აფერი მახსოვს ჰამა, ვიცი, რომ რუსების და ოსმალების ყავლა რომ იყო, მერე გადმოვსახლდით. ნენეი ტირილით გვეტყოდა ამაზე - ყურძენი ყურძენს შეხედავს და გაშავდებაო. ჩვენც ისე ვართ. თურქებში გვევრიეთ და გავშავდით. ასიმილა გავხდით (ასიმილაცია განვიცადეთ, თ. ფ.). დევფანტეთ და იმიტომ დევკარქეთ. ზოგი ფაცას დაჯდა, ზოგი ინეგოლ, ზოგი ბურსას, ზოგი კიდევ სხვაგან. ჩემები ჩურუქსუს (ქობულეთის) ხინოდან წამოსულან მუჰაჯირათ“ (მთხრომელი სულთან ტაკიძე, ინეგოლი, 2014 წლის ივნისი).

მემედ ქაია-მაკარაძის წინაპრები მუჰაჯირობის დროს გემით გადაუყვანით თურქეთში. იგი სიამაყით ლაპარაკობს ქართველ ქალებზე, რომლებიც ყველა მნიშვნელოვანი მოვლენის დროს მამაკაცების გვერდით იდგნენ: „გურჯი ქალი მეტი მაგარია თურქეთში. იმიტომ უნდანან თურქებს ჩვენთან დადოსტება. ისტანბულის დოღმა ბახჩეს მუზეუმშია ერთი მესხი ქალის ნენე ჰათუნის დიდი სურეთი. რუსიე და თურქიე რომ შეჩხუბვილან 1877-ში, რუსი ასკერები ერზრუმამდინ მისულან. რუსებს მუუკლან მესხი ჰათუნის ძმა. დაჭრილი ძმა შესულა დასთან. ჰათუნს პანაი ბალვი ყავდა და აკვან არწევდა. დასისხლიანებული ძმა რომ დუუნახავს, უყვირია - ძმავე რა მოგივდაო. ბევრი ყურშუმი ვჭამეო, უთქვამს ძმას და სული დუულეგია. ჰათუნი გაჰერსებულა, სიმწარისგან ცული უუნწევია და გარეთ გამოვარდნილა და დუუძახნია მეზობლებითვინ: გარეთ გამოით, რუსმა გაგვჭრასნა, გამოით და რუსები გავდენოთ აქედანო. გერჩექ გამოსულან ყველაი, ქალი, კაცი და რუსებ წინ გადადგომიან და გუუყრიან რუსები. 98 წელიწადი იცოცხლა ჰათუნა ნენემ და ამერიკელ გენერალ უთხრა: რუსები რომ მოვდენ, კიდევ იმას ვიქო“ (მთხრობელი მემედ ქაია მაკარაძე, ინეგოლი, 2014 წლის ივნისი). აღნიშნული ისტორია საყურადღებოა იმ თვალსაზრისით, რომ მასში აქცენტი გადატანილია რუსეთ-თურქეთის ომზე და გამოხატულია მათი აშკარა ანტირუსული განწყობა. აშკარად ჩანს აგრეთვე ოსმალური იდეოლოგიური გავლენა.



ინეგოლელ ქართველებთან (ფოტო იბრაიმ არასისა, ინეგოლი, კავკასიური კულტურის ცენტრი, 2014 წლის ივნისი)

მუჰაჯირობას უკავშირებენ თავიანთ გადასახლებას სოფელ აჰმედიეს მცხოვრებნი. შარაფეტინ ოსკოჯუს (სურმანიძის) ოჯახში მცხოვრები ქალბატონების ინფორმაციით, მუჰაჯირობის შემდეგ ისინი დასახლდნენ თავისუფალ მიწაზე და არა სხვების კარმიდამოში. მათ სხვისთვის არ წაურთმევიათ საცხოვრებელი. „ჩვენ ვართ დაჩიძიებიდან, ჩაქველოლებ გვიცახიან. იქიდან წამოსულა ჩვენი დედეი“, გვიყვება ერთი რესპონდენტი. მისი თქმით, „ნენეი მუჰაჯირობის ამბავ რომ გვეტყოდა, იტირებდაო“. რესპოდენტმა ქალბატონმა ქმრის ნაბართვით გვაჩვენა ოჯახის რელიქვიები: ფოტოები და ძველი გაზეთები. რუსეთ-თურქეთის ომის შესახებ მან ძალიან ცოტა რამ იცის. მისთვის ცნობილია მხოლოდ ის, რომ მათი გადასახლება ომის დამთავრების შემდეგ მომხდარა (მთხრობელი მედინე ოსკოჯუ, სოფ. აჰმედიე, ინეგოლის რაიონი. 2014 წ. ივნისი)

ბურსის ვილაიეთში, ინეგოლში მცხოვრებ მუჰაჯირთა შთამომავალს, ბატონ მეჰმედს მისი ბებისაგან შესანიშნავად ახსოვს მუჰაჯირობის ისტორია, გადასახლების უმძიმესი დღეები. გადმოცემით, მისი წინაპრები ბათუმიდან „გულ-ჯემალ გემით“ გადაუყვანიათ. გულ-ჯემალი - ფადიშაჰ სულთან რეშადის დედა წარმოშობით ქართველი ყოფილა. „ჩვენ რომ გადმოვსახლდით, სულთან იყო აბდულ ჰამიდ მეორე, რომლის ცოლი ქარ-

თველი ბეზმი ალემ სულთანი იყო. მან მოგვცა დასასახლებლად გადმოსახლებულებს ეს ადგილები. 18 სოფელმა დაჯდა ამ ტყე-ებში. რაცხა ადეთი იყო აჭარაში, ის ადეთი გვაქ, არ შევშაღე-ვით. ადეთი არ მოგვიშლია ცეკვაში, საჭმელში. გვაქ საჭმელები: ქალაჯო, ფხალლობიაი, ჭიმური, ხავინი, ჰასუთა, ჟავე. ვიცით ნონოლაი. თურქებმა ეს არ იციან“ (მთხრობელი მემედ ქაია მა-კარაძე, ინეგოლი, 2014 წლის ივნისი).



ქართული კულტურის ცენტრი ინეგოლში. ცენტრში მეჭმედ მა-კარაძე (ფოტო მედეა ბერიძისა, ინეგოლი, 2014 წლის ივნისი)

მეჭმედი საინტერესოდ ყვება ომისა და მუჰაჯირობის ის-ტორიასთან დაკავშირებულ საკითხებს. „თურქიეს და რუსების ყავლა (ომი) რომ დამთავრებულა, ჩემი ერთი დედეს დემურალას ცოლი ბათუმში დარჩენილა - გოგნიაურში. ცოლს უთქვამს: ვე-ლარ დიგინახავ ამის მერეო. სალამოზე, თვის 14-15-ში თვარე დი-დი რომ გახდება, აქედან შენ შეხედე, იქიდან მე შევხედავ, თვარე სარკესავით იქნება და დიმიინახავო, უთქვამს დემურალ დედეს. ამას რომ ილაპარაკებდა ნენეი, იტირებდაო“- დაასრულა მუჰა-ჯირობის შესახებ საუბარი ჩვენმა მასპინძელმა (მთხრობელი მე-მედ ქაია მაკარაძე, ინეგოლი, 2014 წლის ივნისი).

იქაურ ქალთა მესხიერებაში დღემდეა შემორჩენილი გა-დასახლებასთან დაკავშირებული სირთულეები და მძიმე გან-ცდები, რაც გამოიხატა კიდევ ერთ-ერთ ლექსში:

„ავდგეთ, წევდეთ მუჰაჯირათ, რა ლამაზი დარია,  
ჩვენ რომ გემში ჩავჯდებით, ჩვენი გული კდარია“  
(ხალხური)

მთხრობელები განსაკუთრებით ხაზს უსვამენ იმ გარემოე-

ბას, რომ ისინი აქ არიან დამკვიდრებული და 130 წელზე მეტია საცხოვრებელი არ შეუცვლიათ მოვახდენ ციტირებას: „ამ ადგილას ჩვენ უკვე 130 წელია ვცხოვრობთ. არც წავსულვართ სადმე. მუდმივად ვცხოვრობთ აქ უკვე მერამდენე თაობაო“ (მთხრობელი მემედ ქაია მაკარაძე, ინეგოლი, 2014 წლის ივნისი).

წინაპრების მიერ გადმოცემული ისტორია მათი გადმოსახლების შესახებ სხვა ქალბატონებისაგანაც ჩავინერეთ. ერთერთი ქალბატონი გვიყვება: „ნენე გოგიტიძე იყო გოგნიაურიდან, ბაბოს თერეფი აღმედან, ჰელბეთ აბულაძე. ნენედან ვიცი, იქიდან რომ წამუელით, ექვსი წლის ვიყავიო. რუსის და ოსმალოს ჩხუბი რომ მოთავდა, სინორი (საზღვარი. თ. ფ.) გაავლეს და ხალხს უთხრეს: ვინცხას გინდათ, ოსმალოში წაით, ვინცხას გინდათ, რუსეთში დარჩით, რომ კარი ნა დეეძრასო (კარი უნდა დაიკეტოსო, თ. ფ.). ყოფილან სამი ძმა. დიდ ძმას უთქვამს: პანა ძმამ და დამ წაითო. დიდი ძმა ოსმანაი დარჩენილა გოგნიაურში. პანაი კი ბათუმიდან გემით წამოსულა. ჩამოსულან სამსუნში. იქ არ მოწონებთან დასაჯდომი ალაგი. იქიდანაც კონიაში ჩამოსულან. არც იქ მოწონებთან: არც ხეა, არც წყალიო და მერე ჩამოსულან ინეგოლში. იქიდან დაპანტულები ყველაი აქ მოყრილან. ნენეი იტყოდა: დაბლა ოფიზან ბარია (ინეგოლის უბანი), იქ დაჯექით - გვითხრესო, ჰამა იქ ბუზი, კოლო, ტალახი ყოფილა. არ მოწონებთან და ასულან სოფელ მეზითში (ინეგოლიდან 24 კმ-ში). ნენეი რომ გეიზარდა გამოთხოვდა სოფელ თუფექჩი ყონალში“ (მთხრ. ნაზიმე გულთექინი, სოფელი მეზითი, ბურსის ვილაიეთი, 2014 წ. ივნისი)

მთხრობელი მათზე თავსდატეხილ ყველა უბედურებას რუსებს უკავშირებს: „ნენეი იტყოდა: ჩვენ მუსლიმანები ვიყავით, ვლოცულობდით, ვკითხულობდით. რუსის ასკერები ჩამოდიოდენ და გვცემდენ. ჩვენ უჩუმალაი ვლოცულობდით. რუსები ჩვენ კაცებს რომ მოკლავდენ, პურის ბულულის ქვეშ შემოდებდენ ჩვენ კდრებს. იმას უკან ორთალულმა დაოლდაო (დანყნარდა), ჩვენ აქ წამოვედით და დევწყეთ ცხოვრებაო“, დაასრულა საუბარი რესპინდენტმა (მთხრ. ნაზიმე გულთექინი, სოფელი მეზითი, ბურსის ვილაიეთი, 2014 წ. ივნისი)

რუსეთ-თურქეთის ომისა და ომიშემდგომი მუჰაჯირობის შემდეგ დაგროვილი სევდა და ტკივილი მუჰაჯირთა შთამომავლებს გამოუხატავთ ალეგორიულ ლექსში, რომელიც გამოაქ-

ვეყნა პროფ. შუშანა ფუტკარაძემ (იხ. შ. ფუტკარაძე, ჩვენებურების ქართული, ბათ. 1993, გვ. 17). ეს ლექსი ჩვენც ჩავიწერეთ. მასში „თეთრი მამალი“ ალეგორიულად განასახიერებს სამშობლოზე ფიქრსა და ოცნებას, „ლამაზი ქალი“ კი მუჰაჯირთა შთამომავლებს. დრო გასულა. სამშობლოდან გადახვეწის შემდეგ ისინი ბედს შეგუებიან და აღარ ფიქრობენ დაბრუნებაზე. ამიტომაც აღარ ყივის თეთრი მამალი.

„გალმაში დარჩა ჩვენი სახლები,  
მოკდენ ძველები, დარჩენ ახლები  
ლამაზო ქალო, რატომ არ ტირი,  
თეთრო მამალო, რატომ არ ყივი“  
ხალხური

რესპონდენტ სევდიე თავდგირიძის თქმით, მუჰაჯირობის დროს არავინ ფიქრობდა საზღვრების ჩაკეტვაზე. ეგონათ, რომ ყოველთვის ექნებოდათ გადასვლა-გადმოსვლის შესაძლებლობა. ამიტომაც გადასახლებისას საბოლოოდ არ ემშვიდებოდნენ მშობლიურ მიწას: „ჩემი ნენეი მეტყოდა, რომ მის დედეს (ბაბუას) ეგონა, რომ კიდევ გადმუალთ გურჯისტანშიო., ჰამა რუსებმა კარი დააყაფანეს (დაკეტეს), არ გიგვიშვეს. გურჯისტანზე რომ ვილაპარაკებდით, ახლაც მახსოვს - ვტიროდით. ნენეი, ისე მოკდა, იმედი ქონდა საზღვარ გახსნიანო. ვერ მეესწრო. მისი ბადიშის შვილმა მუაფერა ბათუმ გადასლაო“ (მთხრობელი სევდა თავდგირიძე, ინტერვიუ, 2014 წ. ივნისი)



რესპონდენტი სევდა თავდგირიძე  
(ფოტო მედეა ბერიძისა, 2014 წ. მაისი)

მისი თქმით თურქეთში მცხოვრები მუჰაჯირები აჭარი-დან ნამოსულ-გადმოფრენილი ფუტკრის მართვეა. „რუსებმა იქიდან გადმოგვყარეს და აქ შემოვფრინდით, აქ გვეკეთეთ ბუდეები. ამაზე ნენემ სიმღერაც მასწავლა:

„შეფრენილო ფუტკარო, წადი სხუას უთხარო,  
გურჯისტანის შვილი ხარ, შვილო მოდი ჩემთანო“

(მთხრობელი სევდა თავდგირიძე, ინეგოლი, 2014 წ. ივნისი)

საველე მუშაობის პროცესში რესპონდენტებს ვთხოვდით, რომ დეტალურად მოეყოლათ - წინაპრებისაგან გადმოცემული ამბები ომისა და მუჰაჯირობის შესახებ, გაეხსენებინათ ბაბუა-ბებიების, მამის მონაყოლი გადმოცემები. ზოგიერთი მხოლოდ ზოგადად პასუხობდა დასმულ კითხვას, ზოგი გვიყვებოდა პირველსაცხოვრისში დარჩენილი ნათესავების შესახებ, ბევრს წინაპრებისაგან ახსოვდათ გადმოსახლების ამსახველი ცალკეული მოვლენები, თუმცა თავად რუსეთ-თურქეთის ომის შესახებ მათ ან არ სურთ საუბარი, ან არ იციან, ანდა გვესაუბრებიან თურქულ ისტორიოგრაფიაში გაბატონებული შეხედულებების შესაბამისად, თუმცა შევხვდით რამოდენიმე რესპონდენტს, რომლებიც საკმაოდ ობიექტურად საუბრობდნენ როგორც ოსმალეთის, ისე რუსეთის პოლიტიკის ნამდვილი მიზანდასახულობის შესახებ. სევდა თავდგირიძე მოგვითხრობს: „რუსებმა ბათუმი რომ დეიკავეს, ოსმალებთან ყავლა (ომი) დამთავრებულა. რუსები და ოსმალები შერიგებულან და ხალხისთვის უთქმან: გინდანან, თურქიეში წაით, გინდანან-აქ დარჩითო, ჰამა ჩვენი თავი არვის არ აინტერესებდა, არც რუსებს და არც ოსმალს“ (მთხრობელი სევდა თავდგირიძე, ინეგოლი, 2014 წ. ივნისი).

მათი ეს ტკივილი გამოიხატა ერთ-ერთ ხალხურ ლექსში, რომლის მიხედვითაც ერთ-ერთი ქალბატონი მიმართავს გულჩიჩეგს (გულჩიჩეგი ქალის სახელია):

„სად წევდეთ და ჰად დევკარქოთ,  
ოსმანლში თუ რუსეთში,  
ორნავ ჩვენი დუშმანია (მტერი, თ. ფ.),  
ველარ მიხდი გულჩიჩეგ?  
აქეთ რუსი მოგვდგომია, იქით თურქის ასკერი,  
გურჯისტანში ყოფნა მინდა, ანა-ბაბას სოფლებში“  
ხალხური

რესპონდენტმა ზეპირად იცოდა ალი ფაშა თავდგირიძეს-

თან დაკავშირებული ხალხური ლექსი. ცნობილია, რომ ალი ფაშა თავდგირიძე რუსეთ-თურქეთის ომის დროს არ იდგა ეროვნულ პოზიციაზე. ხალხმა იგი მოლაღატედ აღიარა და ლექსადაც გამოხატა თავისი დამოკიდებულება, მაგრამ რესპონდენტს ეს გადამუშავებული აქვს ოსმალური იდეოლოგიის ქურაში და თავისებურად ხსნის კიდეც ამ ლექსის შინაარსს. ჩვენი დაკვირვებით, ეს არ იყო გააზრებული ახსნა. იგი ცდილობდა დასმული კითხვისთვის გაეცა პასუხი და და ზოგჯერ ექსპრომტად, მექანიკურად პასუხობდა დასმულ შეკითხვებს:

ალი ფაშამ გვიღალატა, ჩაგვიყვანა კვირიკეში,  
იმან ფულები აილო, ჩვენ ჩაგყარა რუსის ხელში,  
კარგი მას არ დამართნია, ბანრით ჩათორიეს გემში,  
მისი ყვირილი ისმოდა, სუფსის გაღმა, ბაილეთში“.

მუჰაჯირთა შთამომავლებს განსაკუთრებული განცდები აქვთ ძველი საცხოვრისის მიმართ. „დრო არ გავა, რომ არ ვიფიქრო, როგორი ხარ ჩემო მემლექეთო. ნუთუ ისეთი ლამაზი ხარ, როგორც ნენეი გვეტყოდა? მინდა ჩვედე გურჯისტანში, მოვინახულო ის ადგილები, სადაც ჩემი წინაპრები ცხოვრობდნენ, მოვინახულო ისინი, მივეფერო მათ და ვუთხრა, ძალიან მიყვარს ისინი“ - გვეუბნება ერთი რესპონდენტი (მთხრობელი მუნურ გულთექინი, ინეგოლი, 2014 წ. ივნისი)

განსხვავებული ვითარებაა საკუთარ ეთნიკურ ტერიტორიაზე, მაგრამ თურქეთის პოლიტიკურ საზღვრებში მოქცეულ ტერიტორიებზე მცხოვრებ ქართულ მოსახლეობაში. თუ მუჰაჯირი ქართველების მეხსიერებაში ძირითადად გადასახლების ამსახველი ისტორიებია შემონახული, ტაო-კლარჯეთის მოსახლეობაში ძირითადი აქცენტი რუსეთ-თურქეთის ომზეა გატანილი, თუმცა ზეპირ ისტორიებში ჩანს ამ საკითხთან დაკავშირებული ცოდნის ფრაგმენტულობა, ცალმხრივობა და ტენდენციურობა. მათი დიდი ნაწილი თვლის. რომ აჭარა რუსეთმა ძალით წაართვა თურქეთს. ისინი გამოთქვამენ ქართველების ერთად ყოფნის სურვილს, მაგრამ თურქეთის შემადგენლობაში. ხევწრულელი ალიე შუბლაძე წუხს: „რუსებმა ომის მერე გაგვყეს, ცალ-ცალკე ჩვენ და თქვენ. თურქიები ჩვენ გვინდა თქვენთან ერთად ყოფნაო“ (მთხრობელი ალიე შუბლაძე, შავშეთი, 2010 წლის მაისი). ცხადია, აქ აშკარაა თურქული იდეოლოგიისა და პროპაგანდისტული მანქანის გავლენა.



ნიშანდობლივია, რომ საკუთრივ ომის მიმდინარეობის, ომში ქალების მონაწილეობის შესახებ მათ მეხსიერებაში თითქმის აღარაფერი აღარაა შემონახული. როგორც ზემოთ აღინიშნა, მათი ცოდნა ამ მიმართულებით მეტად მწირი და ფრაგმენტული, ხშირად კი დამახინჯებულია. რელიგიური თვალსაზრისით საქმე გვაქვს მონოკონფესიურ ერთობასთან. ომის დროისათვის უკვე დასრულებული იყო მოსახლეობის ისლამიზაცია. ამდენად, ამ თვალსაზრისით რაიმე განსხვავებული შეხედულებების დაფიქსირება ვერ შევძელით.

თურქეთის ქართველებში კვლევები ჩატარდა ძირითადად ისეთი კატეგორიის ქალბატონებთან, რომლებსაც უმაღლესი განათლება არ აქვთ მიღებული. ცნობილია, რომ უმაღლესი განათლების მქონე ქალთა რაოდენობა თურქეთის ქართველებში ძალზე ცოცხალია. საკუთრივ აჭარაში კი რესპონდენტები იყვნენ როგორც უმაღლესი, ისე საშუალო განათლების მქონე ქალები.

ჩვენს მიერ ჩატარებულმა კვლევებმა დაადასტურა, რომ აჭარაში მცხოვრები უმაღლესი განათლების მქონე ქალები ავლენენ როგორც რეგიონალურ, ისე გლობალურ ცოდნას მუჰაჯირობასა და რუსეთ-თურქეთის ომთან მიმართებაში. მათ მიანიჭათ, რომ აჭარის დაბრუნება თავისთავად იყო უმნიშვნელოვანესი მოვლენა ქართველი ხალხის ისტორიაში, თუმცა იგი იყო აგრეთვე გლობალური პოლიტიკის გამოხატულება, რომელმაც რუსეთის იმპერიას შესძინა ახალი ტერიტორიები. მათ მიანიჭათ, რომ რუსეთ-თურქეთის ომის შემდეგ „ცარიზმის თუ ოსმალური ფსევდო-მონოდეები და ტრიუმფალური ვიზიტები საქართველოში ვითომც ქართველ ხალხთან "მეგობრობისა და დახმარების მიზნით" ურცხვი თვალთმაქცობაა და საზოგადოების დეზორიენტაციას, დემორალიზაციასა და გათიშვას ისახავდა მიზნად“ (მთხრობელი ზინა ჯაფარიძე, სოფ. თხილნარი (აჭარა), 2014 წლის აგვისტო).

ქალთა ეს ნაწილი ეხება ომის სპეციფიკურ თავისებურებებსაც. მათი აზრით ეს ომი იმითაც იყო გამორჩეული, რომ მსოფლიო ნაკლებად შეკრული და დანაწევრებული ხდებოდა, ვიდრე წინა ეპოქაში იყო – და ეს საერთაშორისო მეტოქეობას უფრო ინტენსიურს და მწვავეს ხდიდა.

მათი აზრით, ომსა და მუჰაჯირობასთან დაკავშირებული ყველა ფაქტი და მოვლენა არ უნდა იქნას მიჩუმათებული, რათა

აიგოს აღნიშნული ისტორიული მოვლენის დასაბუთებული, მტკიცებითი და არანინალმდეგობრივი ინტერპრეტაციები. ეს ფაქტები იმ ეპოქის კონტექსტში უნდა შეფასდეს. ომსა და მუჰაჯირობასთან დაკავშირებული საკითხები თანამედროვეობის კონტექსტში უნდა იქნას განხილული, შესაბამისად წარსულის მოვლენები უნდა შეფასდეს ქვეყნებისა და ხალხების თანამედროვე და პერსპექტიული ინტერესების კონტექსტში. მათი აზრით არსებობს რუსეთის, საქართველოსა და თურქეთის მოსახლეობის პოლიტიკური კონიუნქტურისაგან დამოუკიდებელი ინტერესების ერთობა, რომლებიც ერთნაირად არიან დაინტერესებული მშვიდობაში, ხანგრძლივ სტაბილურობასა და წარმატებულ განვითარებაში. ამიტომ წარსულის მოვლენების, მათ შორის მუჰაჯირობასთან დაკავშირებული პრობლემები უნდა იქნას განხილული პოლიტიკური კონიუნქტურის გარეშე (მთხრობელი ნატალია ქიქავა, სოფელი ორთაბათუმი, 2014 წლის აგვისტო).

სრულიად სხვაგვარად ფიქრობენ საქართველოში მცხოვრები ის ქალები, რომლებსაც არ აქვთ უმაღლესი განათლება. მათ ნაწილს სწამთ, რომ რუსეთსა და თურქეთს შორის ომი აჭარის დაბრუნებისათვის დაიწყო და ისინი ამას მხოლოდ რუსეთის კეთილშობილურ ამოცანებს უკავშირებენ.

მოძიებული მასალების ანალიზი აჩვენებს, რომ ეს ომი დასაწყისიდან ბოლომდე სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მოსახლეობაში, მათ შორის ქალებში განიხილებოდა, არა „აღმოსავლეთის საკითხის“ კონტექსტში, არამედ საქართველოს გამთლიანებისათვის წარმოებულ ომად. ცხადია, ცარიზმის პროპაგანდა ამზადებდა მოსახლეობას იდეოლოგიურად, ნიღბავდა რა თავის ნამდვილ მიზანს იმპერიის საზღვრებისა და გავლენის სფეროების გაფართოებისა, მაგრამ ომის დასრულების შემდეგ მოსახლეობას იმედები გაუმიტყუნდა. მართალია მათ ცარიზმის ხელისუფლებას „დაუმტკიცეს“ თავისი ერთგულება, მაგრამ ცარიზმს მკვიდრი მოსახლეობის აყრა ჰქონდა გადანყვეტილი, რაც მუჰაჯირობის ერთ-ერთ განმაპირობებელ ფაქტორად იქცა.

რესპონდენტები ვერ გვისახელებენ საბრძოლო ოპერაციებსა თუ სხვა პროცესებში ქალთა აქტიურობის კონკრეტულ გამოვლინებებს, მაგრამ ზეპირგადმოცემების საფუძველზე გვეხმარებიან ზოგადი სურათის რეკონსტრუქციაში. მათი ინფორმა-

ციით, რუსეთ-თურქეთის ომში მონაწილეობის მისაღებად ქართველ მამაკაცებს სწორედ ქალები აგულიანებდნენ. ნიშანდობლივია, რომ ქალის სტატუსი იმ დროს რეგულირდებოდა ტრადიციული სამართლის ნორმებით (ადათებით, ტრადიციებით, მუსულმანურ ნაწილში - შარიათით). ჩვეულებრივ ქალი საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში და გადაწყვეტილების მიღებაში არ მონაწილეობდა. ამის მიუხედავად, ქალები, როგორც ჩანს აქტიურად მონაწილეობდნენ არა მარტო საოჯახო, არამედ საქვეყნო საკითხების გადაწყვეტაშიც. რესპონდენტი ნებილე სურმანიძე (80 წლის) გადმოგვცემს ბებულის მონათხრობს იმის შესახებ, რომ მისი წინაპარი სწორედ მეუღლის წაქეზებით წავიდა მოხალისედ ფრონტზე, რათა სამხრეთ-დასავლეთი საქართველო დაბრუნებოდა ისტორიულ სამშობლოს. მისივე გადმოცემით ქალებს მოუთხოვიათ სპეციალური ფონდის დაარსება ფრონტის ჯარისკაცების დახმარებისათვის, ბევრი ქალი საკუთარი ინიციატივით აგროვებდა ტანსაცმელს აღნიშნული მიზნებისათვის (მთხრობელი ნებილე სურმანიძე, სოფელი თხილნარი, 2014 წ. აგვისტო). სამწუხაროდ, რესპონდენტები ვერ გვისახელებენ კონკრეტულ ქალბატონებს და ზოგადი პასუხებით იფარგლებიან.

ამ კატეგორიის ქალები ძალზე უარყოფითად არიან განწყობილნი თურქეთის მიმართ, რადგანაც მათ მოახდინეს საქართველოს ამ ნაწილის დაპყრობა. დაპყრობილი ტერიტორიის მოსახლეობის ჩაგვრასაც ოსმალეთს უკავშირებენ. ცხადია, ნაწილობრივ ასეც იყო, მაგრამ ამ კატეგორიის ქალებში აშკარად ჩანს ცარიზმის, მოგვიანებით კი საბჭოთა იმპერიის იდეოლოგიური გავლენა.

რესპონდენტი ლიანა ფარტენაძე იხსენებს მისი ბებულის მონათხრობს, რომ თურქებს ომის შემდეგ შეუქმნიათ აგენტურის მასშტაბური ქსელი, რომლებიც დაშინებით, შანტაჟითა და დაპირებებით მოსახლეობას უბიძგებდნენ ოსმალეთის შიგა პროვინციებში გადასახლებისაკენ. მისივე თქმით, ამას აკეთებდნენ რუსებიც (მთხრობელი ლიანა ფუტკარაძე, სოფელი ჭარნალი, 2014 წ. აგვისტო).


ეს არის რესპონდენტის კვალიფიციური დამოკიდებულება, თუმცა იგი გადმოგვცემს მისი წინაპრის მონათხრობს, რომელსაც საერთოდ არ გააჩნდა უმაღლესი განათლება.

ერთ-ერთი რესპონდენტი ალთუნ ვაშაყმაძე (102 წლის)

პირდაპირ ჩამოთვლის იმ დანაშაულობებს, რომლებსაც ჩადი-  
ოდნენ როგორც თურქები, ისე რუსები. „დედაჩემისგან მახ-  
სოვს, რომ თურქები იყვნენ ჩვენი მჩაგვრელები, რომლებიც  
გვახდევინებდნენ გადასახადებს, გვართმევდნენ მიწებს, გასა-  
ქანს არ გვაძლევდნენ. დედაჩემის ბებიას უთქვამს: „სოფლის  
ქალები ვაქეზებდით ქმრებს, ნასულიყვნენ ომში თურქების წი-  
ნაალმდევ, წინდებიც მოვუქსოვეთ სოფლის ქალებმა მეომრებს  
და ტანსაცმელიც შევუკრიბეთ. ჩვენ ჩვენს ქართველებთან ერ-  
თად გვინდოდა ყოფნა“ (მთხრობელი ალთუნ ვაშაყმაძე, სოფე-  
ლი ახალშენი, 2014 წ. აგვისტო).

ძალზე საინტერესოდ გვეჩვენება ალთუნ ვაშაყმაძის მო-  
ნათხრობი „დედაბრული“, საიდუმლო დამწერლობის შესახებ,  
რომელიც ოსმალობის დროს ქართველმა ქალებმა შექმნეს ერ-  
თმანეთთან მიწერ-მონერის საიდუმლოების უზრუნველსაყო-  
ფად. „ნენი მეტყოდა, ჩვენ იმფერ ასოებით ვწერდით წერილებ  
ერთმანეთს, ვინმე ვერ წეიკითხავდა ჩვენს გარდაო“ (მთხრობე-  
ლი ალთუნ ვაშაყმაძე, სოფელი ახალშენი, 2014 წ. აგვისტო).

ნიშანდობლივია, რომ ქობულეთის მუზეუმში დაცულია  
კინტრიშის ისტორიულ ხეობაში, კერძოდ სოფელ ქობულეთში,  
მეგრელიძეების ოჯახში შემონახული XVII-XVIII და XIX სს. გან-  
მავლობაში შექმნილი დედაბრული ხელნაწერი.



**ქსეროასლი ქობულეთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმიდან**  
მთიანი აჭარისაგან განსხვავებით, უფრო მეტი ხსოვნა

ომისა და მუჰაჯირობის შესახებ შემორჩენილია ზღვისპირა ზოლში მცხოვრებ ქალთა მეხსიერებაში. ეს არცაა შემთხვევითი. იმ პერიოდის სისასტიკე და სიმძიმე ყველაზე მეტად იწვინა სწორედ ზღვისპირა ზოლის მოსახლეობამ. ციხისძირელი (ქობულეთის რაიონი) ქეთევან მონყობილი მოგვითხრობს: „დიდი ბებია გვიყვებოდა, რომ ომის დროს ქობულეთი გავერანებულა. ომის მერე კვირიკეში 160 ოჯახიდან მხოლოდ 23 დარჩენილა, მაგრამ ზოგიერთ სოფელში გამოჩნდნენ სახელოვანი ადამიანები, რომლებსაც ხალხი უსმენდა და ენდობოდა. ასეთი ყოფილა აჭყვისთაველი იუსუფ კომახიძე. მისი სოფლიდან არც ერთი ოჯახი არ წასულა მუჰაჯირად. ლექსიც იცოდა ამის შესახებ:

ხინო მუჰაჯირად წევდა, ჭახათს ატკივდა მუცელი,  
აჭყვისთაველებიც აპირებენ, წყავს რომ გაცვივა ფურცელი“

(მთხრობელი ქეთევან მონყობილი, სოფ. ციხისძირი (ქობულეთის რაიონი), 2013 წლის ნოემბერი).

ქეთევან მონყობილი საუბრობს ომის დროს ქალთა მონაწილეობის შესახებ სხვადასხვა სტატუსით. მისი გადმოცემით, ქალები ავადმყოფებსა და დაჭრულებს ეხმარებოდნენ, მკურნალობდნენ საოჯახო პირობებში, აგროვებდნენ ფულსა და ტანსაცმელს ქართველი მეომრებისათვის. „გოგონები ნაწნავებსაც კი იჭრიდნენ და ჰყიდნენ, შემოსული ფულით კი მეომრებს ეხმარებოდნენ“, დაასრულა თხრობა რესპონდენტმა (მთხრობელი ქეთევან მონყობილი, სოფ. ციხისძირი (ქობულეთის რაიონი), 2013 წლის ნოემბერი)



**რესპონდენტი ქეთევან მონყობილი (73 წლის) (ციხისძირი, ფოტო მარინა აროშიძისა, 2013 წ. ნოემბერი)**

ზეპირ გადმოცემებში ჭირს ომში მონაწილე ქალების სა-

ხელების დადგენა, თუმცა ორიოდ რესპონდენტმა მოწყალეების დეზზე საუბრისას დაგვისახელა ელენე ყაზბეგის სახელი, რომელიც მთელი ომის განმავლობაში თავდაუზოგავად შრომობდა, რათა შეემსუბუქებინა ტკივილები დაჭრილი მეომრებისათვის. ერთ-ერთ ოჯახში ინახებოდა ელენე ყაზბეგის სურათი, მაგრამ დაწვრილებითი ინფორმაცია მისი საქმიანობის შესახებ (გარდა იმისა, რომ იგი იყო მოწყალეების და), არ იცოდნენ.



**მოწყალეების და ელენე ყაზბეგი**  
(ასს, ფოტოფონდი, ან. 1, ფოტო 245)

იმავე ოჯახში ინახებოდა კიდევ ორი სურათი, რომლებშიც წარმოდგენილი არიან ომის პერიოდში მოწყალეების დეზად მომუშავე ქალბატონები. იგივე სურათები დაცულია აგრეთვე აჭარის საარქივო სამმართველოში (ასს, ფოტოფონდი, ან. 1, ფოტო 245)



**სანიტრების, მონყალების დებისა და დაჭრილების ჯგუფი. ოზურგეთი, 1877-1878 წწ. ომი (დ. ერმაკოვის ფოტო) (ასს, ფოტოფონდი, ან. 1, ფოტო 244)**

მეორე სურათშიც ნარმოდგენილია მონყალების დებისა და ექიმების ჯგუფი. მონყალების და ელენე ყაზბეგი ნარდს ეთამაშება მალინოვსკის. ფოტოზე ნარმოდგენილი არიან აგრეთვე კრაფჩენკო და სერგეევი (ასს, ფოტოფონდი, ან. 1, ფოტო 244).



**ნარდს თამაშობენ მონყალების და ელენე ყაზბეგი და და ექიმი მალინოვსკი.**

**ცენტრში კრაფჩენკო, მარცხნივ სერგეევი 1877-1878 წწ. ომი (დ. ერმაკოვის ფოტო) (ასს, ფოტოფონდი, ან. 1, ფოტო 244)**

ჩვენს მიერ წარმოდგენილი ზეპირი ისტორიები სქემატურობის მიუხედავად გვახსენებენ იმ სისხლიანი და რეპრესიული ეპოქის უმთავრეს ფაქტებს, რომლის მემორიალიზაციაც მართებს ქართულ სახელმწიფოს. და მაინც, რა უნდა გავაკეთოთ ჩვენ, როგორც საზოგადოებამ და როგორც ქვეყანამ, იმისათვის, რომ შევქმნათ ჩვენი ქვეყნის მიერ გადატანილი საშინელებების კოლექტიური ხსოვნა?

ქართველმა საზოგადოებამ ასე თუ ისე შეძლო შეექმნა ისტორიულ ფაქტებზე დაფუძნებული საერთო-ეროვნული თხრობა-ნარატივი, იგივე კოლექტიური ხსოვნა რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომის შემდეგ ამ ორი მტრული სახელმწიფოს მიერ განხორციელებული დანაშაულებრივი პოლიტიკის შესახებ, რასაც შედეგად მოყვა ხალხთა გადასახლება (მუჰაჯირობა). ეს მონაცემები საშუალებას იძლევა ობიექტურად გავიზაროთ რუსეთისა და თურქეთის საქართველოსთან დამოკიდებულების საკითხები ისტორიულ ჭრილში, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ქართველი საზოგადოების, მათ შორის ქალების იმ ნაწილს, რომლებიც თანამედროვე თურქეთის საზღვრებში ცხოვრობენ, აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით განსხვავებული წარმოდგენები აქვთ, რაც ცხადია თურქეთის მმართველი წრეების იდეოლოგიური გავლენით უნდა აიხსნას.

ოსმალური და რუსული ანტიქართული პოლიტიკა არაფრით ჩამოუვარდებოდა ერთმანეთს თავისი სისასტიკით. მათი შეთანხმებული პოლიტიკის წყალობით ათასობით ადამიანი იძულებული გახდა მიეტოვებინა მამაპაპისეული სამკვიდრო, რაც ემსახურებოდა ერთის მხრივ ოსმალეთის სამეურნეო და დემოგრაფიული ათვისების ამოცანებს, ამავე დროს მათი სახით თურქეთს ეყოლებოდა ანტირუსული განწყობის ძალა, რომელსაც გამოიყენებდა საჭიროების შემთხვევაში. მეორეს მხრივ კი ემსახურებოდა რუსეთის კოლონიურ ინტერესებს, დაცარიელებულ ტერიტორიებზე კოლონიზატორული ელემენტების ჩამოსახლების შორსგამოიზნულ გეგმებს.

ამიტომ სასურველია ოსმალური და ცარისტულ-საბჭოური დანაშაულობების აღიარება, ისტორიული სიმართლის დადგენა, რომლის საფუძველზეც უნდა შეიქმნას ისტორიის სასწავლო სახელმძღვანელოები საჯარო სკოლის მოსწავლეებისათვის და საქართველოს უმაღლესი სასწავლებლებისათვის, ასევე



თურქეთში მცხოვრები ქართული მოსახლეობისათვის.

უნდა შეიქმნას აგრეთვე რუსეთ-თურქეთის დროს დაღუპული უამრავი რიგითი ქართველისა თუ ეროვნული გმირის საერთო საძმო სასაფლაოები, მემორიალები, ძეგლები, დადგინდეს და დაფასდეს იმ ქალთა სახელებიც, რომლებმაც ხმა აღიმალღეს ოსმალური თუ რუსული აგრესიისა და მუჰაჯირობის წინააღმდეგ.

აუცილებლად უნდა დაწესდეს მათი ხსოვნის დღეები. საქართველოს ქალაქებსა და დაბებში ქუჩებს, სკოლებს, სკვერებსა და პარკებს მეტი ინტენსივობით ეწოდოს ომში დაღუპილი და მუჰაჯირობის წინააღმდეგ მებრძოლი გმირი ქალებისა და მამაკაცების სახელები;

ეროვნული გლოვის დღეებად გამოცხადდეს ოსმალების მიერ საქართველოს სამხრეთ-დასავლეთი ნაწილის დაპყრობის თარიღი; შესაბამისად, უნდა შეიქმნას ამ მოვლენების ამსახველი ისტორიული ნარკვევები, ისტორიულ-ანალიტიკური ნაშრომები, დოკუმენტური და მხატვრული ფილმები.

ყოველივე ეს ხელს შეუწყობს კოლაბორაციონისტული განწყობის ტრანსფორმაციას, რომელიც შიგადა შიგ იჩენს თავს საზოგადოების გარკვეულ ნაწილში, აამაღლებს ხანგრძლივი ოსმალურ-რუსული ოკუპაციის შედეგად დასუსტებულ ქართულ ეროვნულ ცნობიერებას და შექმნის ჩვენი ახალი და უახლესი ისტორიის ერთიან, საერთო თხრობა-ნარატივს, რაც თავის მხრივ, გააადვილებს საქართველოს განვითარებისა და ბრძოლის საერთო ეროვნული სტრატეგიის შემუშავებას. ეს საჭიროა თუნდაც იმის გასაცნობიერებლად, რომ კიდევ ერთხელ დავრწმუნდეთ: წარსულში არც ოსმალებსა და არც რუსეთს მოგობრული ინსტიქტები არ ამოძრავებდათ საქართველოს მიმართ. ამიტომ შეუძლებელია „მეგობრობის აღდგენა“, რადგან არ არსებობდა არასდროს ასეთი მეგობრობა. მაგრამ საჭიროა, ჩვენი შემდგომი ურთიერთობები დაეფუძნოს მეგობრობასა და თანასწორუფლებიანობის პრინციპებს, რის წინაპირობაცაა ყოფილი მჩაგვრელისა და მოძალადის მიერ ჩადენილი ისტორიული დანაშაულობების აღიარება.

### **გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:**

1. შ. ფუტკარაძე, ჩვენებურების ქართული, ბათ. 1993, გვ. 17
2. აჭარის სს (საარქივო სამმართველო), ფოტოფონდი, ან. 1, ფოტო 244
3. აჭარის სს, ფოტოფონდი, ან. 1, ფოტო 245
4. სტამბოლი, ქართული კულტურის ცენტრი. ფოტო მუსტაფა იაკუთისა, 2014 წლის ივნისი.
5. ოილათი (ინეგოლის რაიონი), ფოტო მედეა ბერიძისა, 2014 წლის ივნისი
6. ინეგოლი, კავკასიური კულტურის ცენტრი. ფოტო იბრაიმ არასისა, 2014 წლის ივნისი
7. ციხისძირი, ფოტო მარინა აროშიძისა, 2013 წ. ნოემბერი
8. დედაბრული დამწერლობის ნიმუში. ქსეროასლი ქობულეთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმიდან

#### *რესპონდენტები:*

1. იბრაიმ მაკარაძე, (საველე ექსპედიციის დღიური, ინეგოლი, 2014 წ. ივნისი)
2. სელმან მამულაძე (საველე ექსპედიციის დღიური, ინეგოლი, 2014 წ. ივნისი)
3. ისმინაზ იავუზი (საველე ექსპედიციის დღიური. სოფ. ჰილმე, ინეგოლის რაიონი, 2014 წ. ივნისი)
4. სულთან ტაკიძე, (საველე ექსპედიციის დღიური. ინეგოლი, 2014 წლის ივნისი)
5. მემედ ქაია მაკარაძე (საველე ექსპედიციის დღიური. ინეგოლი, 2014 წლის ივნისი)
6. მედინე ოსკოჯუ, (საველე ექსპედიციის დღიური. სოფ. აჰმედიე, ინეგოლის რაიონი. 2014 წ. ივნისი)
7. ნაზიმე გულთექინი, ((საველე ექსპედიციის დღიური. სოფელი მეზითი, ბურსის ვილაიეთი, 2014 წ. ივნისი)
8. სევდა თავდგირიძე, (საველე ექსპედიციის დღიური. ინეგოლი, 2014 წ. ივნისი)
9. ალიე შუბლაძე, (საველე ექსპედიციის დღიური. შავშეთი, 2010 წლის მაისი).
10. ზინა ჯაფარიძე, (საველე ექსპედიციის დღიური. სოფ. თხილნარი (აჭარა) 2014 წლის აგვისტო)

11. ნებილე სურმანიძე (საველე ექსპედიციის დღიური. სოფელი თხილნარი, 2014 წ. აგვისტო)
12. ლიანა ფუტყარაძე (საველე ექსპედიციის დღიური. სოფელი ჭარნალი, 2014 წ. აგვისტო)
13. ალთუნ ვაშაყმაძე (საველე ექსპედიციის დღიური. სოფელი ახალშენი, 2014 წ. აგვისტო)
14. ქეთევან მონყოზილი (საველე ექსპედიციის დღიური. სოფ. ციხისძირი (ქობულეთის რაიონი), 2013 წლის ნოემბერი).

***Tamaz Putkaradze  
Kakha Putkaradze***

***The women memory of the 1877-1878 years Russia-Turkish  
war and post war Exile***

***Summary***

Woman and war issues become very topical in XX-XXI centuries in the contest of ethno-national movement. This article presents women's memory about war, their participation in the war and post war socio-political processes. In article by using of field materials is discussed about the women memory of the 1877-1878 years Russia-Turkish war and post war exile.

## ლაზური სოფლები თურქეთის შიდა პროვინციებში (საქარია)

თურქეთელი ქართველების და მათ შორის მუჰაჯირთა



შთამომავლების კომპაქტური დასახლებები თურქეთის ბევრ პროვინციაშია. ქართველები სახლობენ ართვინის, ბალიქესირის, ბურსას, ბოლუს, გირესუნის, დუზჯეს, თოქათის, ორდუს, რიზეს, სამ-

სუნის, ტრაბზონის, საქარიას, სინოპის, ქოჯაელის და სხვა პროვინციებში.

საქარიას პროვინცია თურქეთის მარმარილოს ზღვის რეგიონს ეკუთვნის. ტერიტორია 4,895 კვ. კმ-ა, მოსახლეობა 1 206 000 ადამიანს შეადგენს. იგი გამოირჩევა ქართველების კომპაქტურ დასახლებათა სიმრავლით.

თუ თურქეთში მცხოვრებ ქართველებს თვითდასახელების საფუძველზე დავაჯგუფებთ, მაშინ უნდა ვთქვა, რომ ქვემოთ წარმოდგენილი სტატისტიკა მეტ-ნაკლებად გულისხმობს როგორც გურჯების, ასევე ლაზების მონაცემებს, თუმცა, მოცემულ ნაშრომში ძირითადად ლაზურ დასახლებებს შევეხებით.

უნდა აღინიშნოს, რომ თურქეთის შიდა პროვინციებში მცხოვრებ ქართველთა ძირითადი ნაწილი 1877-78 წლების რუსეთ-თურქეთის ომის შემდგომ, ბერლინის ტრაქტატის საფუძველზე სამხრეთ საქართველოდან გადასახლებულ ქართველ მუსლიმანთა შთამომავლებია. თუმცა ამკარაა, რომ მიგრაცია მე-20 საუკუნეშიც გრძელდებოდა. კიდევ ერთი (მაგრამ უფრო მცირე) ტალღა გადასახლებისა ათიან წლებზე, პირველი მსოფლიო ომის პერიოდზე მოდის; ერთიც - გასაბჭოების შემდგომ პერიოდზე, უფრო - ოციან წლებზე. გასათვალისწინებელია ისიც, რომ თურქეთის შემადგენლობაში მოქცეული საქართველოს დაბა-სოფლებიდან ქვეყნის სამრეწველო რაიონებში ინტენსიური მიგრაცია განსაკუთრებით მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში

გაძლიერდა, დღესაც გრძელდება. და უფრო შიდა პროვინციების დიდი ქალაქებს ავსებს ქართული მოსახლეობით.


მუჰაჯირთა შთამომავლებს შორის მკრთალად ჩანს აგრეთვე ფენა იმ ქართველ მუსლიმანთა შთამომავლებისა, რომლებიც მე-19 საუკუნის ოთხმოციან წლებში აჭარიდან და, შე-

N	რაიონი	სოფლების რაოდენობა
1	ჰენდექი	22
2	საფანჯა	15
3	გეივე	5
4	ქოჯაალი	4
5	აქიაზი	4
6	ქარაფურჩექი	4
7	ქარასუ	1
8	საქარია	1

საძლოა, ლაზეთიდანაც, ლივანაში გადავიდნენ და გადასახლებულთა ნაფუძარზე დამკვიდრდნენ, ხოლო შემდეგ, ათიან თუ ოციან წლებში მეოცე საუკუნისა, თურქეთში გადასახლდნენ.

რაც შეეხება საქარიას პროვინციას, აქ სულ 13 რაიონია. ამათგან 8 „ქართულია“. ყველაზე მეტი ქართული დასახლე-

ბული პუნქტი ჰენდექშია - 23. მათგან 9 მხოლოდ გურჯებისა, 10 - შერეული, სამი - ლაზებისა. ნიშანდობლივია, რომ ჰენდექში 10 აფხაზური სოფელია.




ჰენდეკში ძირითადად კლარჯ მუჰაჯირთა შთამომავლებია. საფანჯას რაიონის ქართულ მოსახლეობაშიც სჭარბობს ლივანელ მუჰაჯირთა შთამომავლები. აქ აჭარისწყლის ხეობიდან გადასულებიც ცხოვრობენ ალაგ-ალაგ, მაგრამ უმრავლესობა მარადიდის, კირნათის, ხებას, ბელღევანის მუჰაჯირებია. ზოგი იმასაც იტყვის - ბათუმიდან მოვსულვართ ბელღევანს და იქიდან წამოვსულვართ მუჰაჯირადო, მაგრამ აქ იშვიათად ჟღერს ასეთი.

გვივეს სოფლებში ძირითადად მარადიდიდან ან ახლო-მახლო მიდამოებიდან არიან.

უმეტესად ჭოროხის ქვედა წელიდან გადასახლებულთა შთამომავლები არიან ყარასუსა და ქოჯაალის ქართველები - უფრო მირვეთი, კირნათი, გვარა, ქედქედი, მახო, სიმონეთი, თხილნარი, ასევე ქედა.

რაც შეეხება ქარაფურჩექსა და აქიაზს, აქ უკვე ქვემო აჭარასთან ერთად ჩნდებიან ზემო აჭარიდან გადასახლებულებიც. აქიაზში არის ჭოროხის ზედა წელიდან - იუსუფელის თუ პარხლისწყლის მიდამოებიდან გადასახლებულთა სოფელი - შერიფი. ამსოფლელებმა ცუდად, მაგრამ მაინც იციან ქართული. სა-



მაგიეროდ შავშელთა სოფელ ბელდიბში წინაპართა ენა დაუვიწყნიათ, ხსოვნაც წინაპრების შესახებ მკრთალად შემორჩენილა...

სურათის სისრულისთვის ქვემოთ წარმოვადგენთ ჰენდექის რაიონის (ილჩეს) რუკას:

რაც შეეხება საკუთრივ ლაზებს, მართალია, ისინი მეტ-ნაკლები რაოდენობით საქარიას პროვინციის ყველა რაიონში ცხოვრობენ, მაგრამ მათი კომპაქტური დასახლებები ჰენდექის და საფანჯას რაიონებშია.

რაიონი	ლაზური დასახლება	შერეული დასახლება
ჰენდექი Hendek	აქჩაირი Akçayir	სერვეთიე Servetiye
	აქოვა Akova	ჰამითლი Hamitli
	გოქსუ Göksu	იენიქოი Yeniköy
		ქიზანლიქ Kızanlık
		სულეიმანიე Süleymaniye
		ნურიე Nuriye
		ჰუსეინშეიჰი Hüseyinşeyh
		იეშილვადი Yeşilvadi
საფანჯა Sapanca	ფევზიე Fevziye	აქჩაი Akçay
	ჰაჯიმერჯანი Hacimercan	ქირქვინარი Kırkpınar
	იქრამიე İkramiye	იანიქი Yanık
	ბალკაია Balkaya	
	ყარაგოლი Karagöl	

ლაზების საერთო რაოდენობას მოცემულ რეგიონში 10-15 ათასამდე ვვარაუდობთ, თუმცა, არ გამოვრიცხავთ, მეტიც რომ იყოს. ლაზებს ერთმანეთისგან ძირითადად ლაზურთან დამოკიდებულების მიხედვით განასხვავებენ. გურჯები ენის მცოდნე (ძირითადად ხოფის, არჰავის, არდაშენის...) ლაზებს „ჩვენ ლაზებს“, „ქომოხტი ლაზებს“, „ჭანებს“ უწოდებენ და მიჯნავენ ტრაპზონელი (ზოგჯერ მათ „რუმებსაც“ უწოდებენ) ან რიზელი ლაზებისგან. ლაზების (უფრო „ქომოხტი“ ლაზების) ნაწილი გურჯებთან ნათესაობას აღიარებს, თუმცა, როგორც წესი, ქართველს და ლაზს სხვადასხვა ეთნიკურ ერთეულად მიიჩნევენ.

ჩვენ მიზანმიმართულად ვეძებდით სარფელი ლაზების კვალს. მაგრამ ჯერჯერობით სარფელ მუჰაჯირთა კვალი აღმოვაჩინეთ მხოლოდ დუზჯეს პროვინციის აქჩაკოჯას რაიონში. აქ ისინი დასახლებებს ქმნიან ხოფიდან და მაკრიალიდან გასულელებთან ერთად. აქ სახლობს რამდენიმე ოჯახი გაღმა სარფიდან. გამოღმა სარფს რაც შეეხება, როგორც ამბობენ, აქაურების ნაწილი წავიდა წავიდა მუჰაჯირად, მაგრამ თითქმის ყველა დაბრუნდა და ამიტომაც ძნელად იძებნება სარფელ მუჰაჯირთა კვალი.

ისევე, როგორც გურჯებთან, ლაზების ახალ თაობაში, მშობლიური ენა აღარ ისმის. ძირითადი მიზეზი ისაა, რომ ლაზურის ენის საარსებო სივრცე შევიწროებულია და პრაქტიკული აუცილებლობა არ არსებობს. გარდა ამისა, პერიოდი, თურქეთში დღემდე მწარედ ახსოვთ ნაციონალურ უმცირესობათა დევნა-შევიწროების პერიოდი.

ენის დავიწყების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია თანამედროვე გარემო და ცივილიზაციის მონაპოვრები: სოფლები ახალგაზრდობისგან დაცლილია, იდილიური საღამოები და მშვიდი ხელსაქმე, ნადი და შაირები ურბანულმა გარემომ შეცვალა, ტელევიზორმა თუ კომპიუტერმა ჩაანაცვლა. წინაპართა ენასთან ცოცხალი ურთიერთობისათვის ამათი გამოყენებაც შეიძლება, მაგრამ სურვილი აღარ არსებობს. შედეგი ყველაფრისა კი ისაა, რომ 20-30 წლის შემდეგ წინაპართა ენის მცოდნე თითებზე ჩამოსათვლელი თუ იქნება.



*Malkhaz Chokharadze*

*Lazian villages in inland provinces of Turkey (Saqaria)*

*Summary*

In Turkey many province There are many settlements of Georgians living Turkey and including descendants of Muhajir. The article discusses from Lazica to Marmara Sea region Saqaria province exile descendants of Muhajir villages. Laz people are living in all districts of Saqaria province, but their settlements are in Hendeqi and Saphanja districts. In Hendeqi there are three Saint Lazian villages, eight-mixed. In Saphanja there are five Lazian villages, three-mixed. In new generation of Laz people, the native language is not heard. It led to both subjective and objective factors.

## დალი ფუტკარაძე

### **ქალის როლი საოჯახო ყოფაში სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მასალების მიხედვით**

საქართველოს სიძლიერე ოდითგანვე იყო დამყარებული ოჯახის ინსტიტუტის სიძლიერეზე. ყოველი ქართული ოჯახი იცავდა და ინახავდა საუკუნეების მანძილზე დამკვიდრებულ იმ ტრადიციებსა და კულტურულ მინაპოვარს, რაც ოჯახის წევრთა ურთიერთდამოკიდებულებასა და ურთიერთპატივისცემაში გამოიხატებოდა, საერთო ჯამში კი აისახებოდა ერის ზნეობრივ აღზრდა-განვითარებაზე.

ოჯახი საზოგადოების უმნიშვნელოვანესი სოციალური უჯრედია და უდიდეს როლს ასრულებს პიროვნების აღზრდაში, მის სოციალიზაციაში, საზოგადოების განვითარებაში, ეთნიკური ტრადიციების თაობიდან თაობაზე გადაცემაში.

უმთავრესი როლი ოჯახის აღმზრდელობითი ფუნქციის შენარჩუნებაში ეჭირა ქალს, დედას და მისი უმთავრესი დანიშნულება იყო ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნება. სწორედ ეს უმთავრესი ფუნქცია იტვირთა აჭარელმა ქალმა იმ შავზნელ სამასწლიან პერიოდში და ძალ-ღონე არ დაუშურებია მამა-პაპეული წეს-ჩვეულებებისა და საოჯახო ტრადიციების გადასარჩენად.

ისლამმა და შარიათმა, ბუნებრივია, გარკვეული გავლენა მოახდინა აჭარელი ქალის საზოგადოებრივ და საოჯახო ყოფაზე. ქალს 13-14 წლიდან ჩადრი უნდა ეტარებინა, ეკრძალებოდა მამაკაცთა საზოგადოებაში უჩადროდ გამოჩენა. ალბათ, ამიტომ მე-19 საუკუნის ბოლოსა და მე-20 საუკუნის დასაწყისის მკვლევარები წერდნენ აჭარელი ქალის კარჩაკეტილი ცხოვრების წესზე, მის დაბეჩავებულ ყოფაზე, თუმცა, როგორც სავსე ეთნოგრაფიული მასალების კვლევით დგინდება, საზოგადოებრივ და საოჯახო ყოფაში აჭარელი ქალის უფლებები არც ისე შეზღუდული და უგულვებელყოფილი იყო (ბეჟაია, 1974: 98). პირიქით, აჭარულ ოჯახში, გარდა ზემოაღნიშნული ეროვნულ-აღმზრდელობითი ფუნქციისა, ქალს გამორჩეული როლი ეკისრებოდა საოჯახო საქმეების მართვა-გამგეობის საკითხებში.

აჭარულ ოჯახში ქალს გამოკვეთილი უფლებები ჰქონდა.

ასაკით უფროსი ქალი ანუ დედა ქალი შრომის განმანაწილებლისა და განმკარგულებლის მეტად საპატიო მოვალეობას ასრულებდა და ამ ფუნქციის უნარიან შესრულებაზე დიდად იყო დამოკიდებული საოჯახო ცხოვრების ბედ-იღბალი (აჩუგბა, 1986: 91).

ოჯახის უფროსი ქალი თავის საქმიანობაში ძირითადად სოლიდარობის პრინციპით ხელმძღვანელობდა. ოჯახის სრულწლოვან წევრებთან შეთანხმებით ხდებოდა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების დაწყება-დამთავრება, შრომისუნარიან წევრებზე სამუშაოების განაწილება. ყოველდღიურ საოჯახო საქმეებში ბავშვების ჩართვა. პატარების მიერ შესასრულებელი შრომის სახეები საბავშვო საქმეებად იყო ცნობილი და მათ შესრულებაში მონაწილეობას უდიდესი მნიშვნელობა ქონდა როგორც ბავშვთა შრომითი აღზრდისათვის, ასევე, ხალხური შრომითი ტრადიციების მემკვიდრეობით გადაცემისათვის.

ზემო აჭარაში, მსგავსად სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სხვა კუთხეებისა, ქალის ხვედრითი წილი მაღალი იყო მესაქონლეობასა და მიწათმოქმედებასთან დაკავშირებულ შრომაში. ქვემო აჭარულ ოჯახში ქალი ოჯახის გარეთ ნაკლებ შრომობდა. რაც შეეხება ბოსტანში შრომას, როგორც საქართველოს დანარჩენ მხარეებში, იგი ქალის საქმიანობათა რიგს ეკუთვნოდა (ხარაძე, რობაქიძე, 1965: 73).

ქალთა შრომის ორგანიზაცია განსაკუთრებით რთული იყო დიდ ოჯახში, სადაც ქალები რამდენიმე ჯგუფად იყოფოდნენ. ეს იყო სხვადასხვა თაობის რძლები და გაუთხოვარი გოგონები. მათ შორის შრომის გამანაწილებელი და სურსათ-სანოვანის გამგებელი იყო დედა ქალი, რომელსაც ებარა სურსათ-სანოვანა. მისი ნებართვის გარეშე ოჯახის ვერც ერთი წევრი, მათ შორის, ოჯახის უფროსი მამაკაციც კი, ვერ გაასხვისებდა მარცვლეულს, რძის პროდუქტს, ვერც პირუტყვს გაყიდდა (მგელაძე, 1973: 111).

ოჯახის უფროს ქალს ბარდებოდა ანგარიში ნაყიდ-ნავაჭრის შესახებ, რომელიც, თავის მხრივ, ნავაჭრ საქონელს უნაწილებდა ოჯახის წევრებს. როგორც ა. ფრენკელი წერდა: „აჭარაში ქალი გვევლინება ოჯახის მეთაურად ის არის ყველას და ყველაფრის პატრონი და მას ყველა უსიტყვოდ უნდა ემორჩილებოდეს“ (Френкель, 1879: 21).

დედა ქალი, გარდა საერთო ხელმძღვანელობისა, თავადაც შრომობდა ფიზიკურად. ეს იყო მზარეულობა და მემთევრეობის მეტად შრომატევადი, საპასუხისმგებლო და საპატიო მოვალეობები. მესაქონლეობით დანიინაურებულ ოჯახებში მემთევრის შრომაზე დიდად იყო დამოკიდებული ოჯახის მომარაგება რძის პროდუქტებით, რასაც განსაკუთრებული ადგილი ეჭირა აჭარული ოჯახის კვების რაციონში.

ქალთა შრომის განაწილებისას დედა ქალი ითვალისწინებდა ასაკსა და ფიზიკურ შესაძლებლობებს, მაგრამ იყო საქმეები, რომლებსაც ქალები ერთიანი ძალებით ასრულებდნენ. ეს იყო: მატყლის, სელისა და კანაფის დამუშავება, რთვა-ქსოვა, თიხისაგან სხვადასხვა სახის საოჯახო ჯამ-ჭურჭლის დამზადება და ა. შ. (კახიძე, 1975: 102).

აჭარაშიქალის მაღალ უფლებებზე მეტყველებს ეთნოგრაფიული ცნობები იმის შესახებაც, რომ იგი საოჯახო თათბირის უცვლელი მონაწილე იყო. საოჯახო თათბირზე წყდებოდა ოჯახისათვის მნიშვნელოვანი ყველა საკითხი. „ცეცხლაპირთან“ ანუ კერასთან, სადაც იმართებოდა საოჯახო თათბირი, დედა ქალს საპატიო ადგილი ქონდა მიჩენილი და სახლის „დედეს“ შემდეგ მის ხმას ყველაზე მეტი წონა ქონდა. (აჩუგბა, 1986: 91).

გარდა შრომითი საქმეების განაწილებისა, ქალთა ხელმძღვანელის ფუნქციებში შედიოდა ქალიშვილების შრომითი და ზნეობრივი აღზრდა, კონტროლი და თვალ-ყურის დევნება ქალთა ყოველდღიური ცხოვრებისადმი, ახალგაზრდების დაქორწინება-გათხოვების საკითხებზე. ხშირ შემთხვევაში ქალების უფროსი წინამძღოლისა და დედის გარეშე ახალგაზრდების გაბედნიერების საკითხს მამაკაცები ვერ წყვეტდნენ. ამ მხრივ საინტერესო მასალას იძლევა აჭარული ფოლკლორული პოეზია. მაგალითად, ერთ-ერთ ლექსში ვაჟი თხოვს სასიდედროს მის ქალიშვილზე დაქორწინების ნებართვას:

მაღლა სერზე ავედი,  
გადმოვდენე ხარები.  
აბლახანუმ, გოგო მომე,  
სამ დლეს მოგეხმარები”.

მეორე შემთხვევაში, ქალი ითხოვს ნებას სადედამთილო-

საგან მითხოვდეს მის ვაჟს:

დედამთილო დედაო,  
შენ ამოგძვრა ენაო,  
შენი ბიჭი ჩემთან დადის,  
შენგან მინდა ნებაო” (მსხალაძე, 1969: 123).

როგორც ზემოთ აღინიშნა, ქალების უფროსის ფუნქციაში, სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად, შედიოდა შვილებისა და შვილიშვილების აღზრდა. მას განსაკუთრებული კონტროლის ქვეშ უნდა ყოლოდა გასათხოვარი ქალიშვილები და რძლები. დედა-ქალი პასუხისმგებელი იყო ოჯახისა და სანათესაოს წინაშე ქალების ზნეობრივ და შრომით აღზრდაზე. ამიტომ მას ძალ-ღონე და გამოცდილება არ უნდა დაეშურებინა რომ ოჯახის ახალგაზრდა ქალებსა და ბავშვებში აღეზარდა მამა-პაპური წეს-ჩვეულებებისა და ტრადიციებისადმი ერთგულება.

ქალი – წინამძღოლი ასწავლიდა გოგონებსა და ახალგაზრდა რძლებს ქცევის გარკვეული ნორმების დაცვას. კერძოდ, მათ ოჯახის უფროს ნევრთა თანდასწრებით აკრძალული ქონდათ თმის დავარცხნა, სახელოს დაკაპინება მაჯის ზემოთ, თავლია და ფეხშიშველა გავლა, ზურგშექცევით ჯდომა, ხმამაღალი სიცილი და ლაპარაკი, მამაკაცთა საუბარში ჩარევა და ა. შ.

აჭარულ ოჯახში ქალის უფლებრივი მდგომარეობა კარგად ჩანს მის ქონებრივ უპირატესობაშიც. ისე როგორც მთელს სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, კოლექტიურ – საოჯახო საკუთრებაში მყოფი ქონებისაგან გამიჯნული იყო მზითვი და სათავნო, რაზეც ქალს გააჩნდა საკუთრების უფლება. როგორც მზითვეი, ისე სათავნო, მემკვიდრეობით ქალიშვილებს გადაეცემოდათ და ოჯახის გაყრის დროს განაწილებას არ ექვემდებარებოდა.

აჭარაში ქალის მაღალი ქონებრივ-უფლებრივი მდგრალობა უნდა აიხსნას სხვა ქართული ტრადიციების მდგრალობითაც, რომელთაგან ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი იყო დედისადმი, უფროსი თაობის ქალისადმი პატივისცემა. „შვილისაგან დედის პატივისცემა აჭარაში სწორედ რომ სამაგალითოა” – ვკითხულობთ გაზეთ „ივერიაში” (გაზ. „ივერია”, 1899: №205). სწორედ ქალის დამსახურებაა, რომ ოსმალთა სამასწლიანი ბატონობის მიუხედავად, აჭარაში არ მოიშალა ეროვნული ტრა-

დიციები, ძველქართული ყოფისათვის დამახასიათებელი წეს-ჩვეულებები.

ეთნოგრაფიული მასალებით დგინდება, რომ ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნებაში აჭარელი ქალის როლი განუზომელია. ქართველობის სიმბოლოდ ქცეულ ჯვრის გამოსახულებათა შემნახველი ოსმალთა ბატონობის პერიოდში იყო აჭარელი ქალი, რომელიც თმას ჯვრის ფორმით იწნავდა; კეცს, რომელსაც ტრადიციულად ქალები ამზადებდნენ, ფსკერზე ჯვრის გამოსახულებას უღარავდნენ და ასეთ კეცზე გამომცხვარ მჭადს ჯვარი ეხატებოდა (გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1901, № 1347). ასევე, აჭარაში დღემდეა შემორჩენილი კეცზე დაკრულ მჭადზე ზემოდან ჯვრის გამოსახვის ტრადიცია. ცნობილია ის ფაქტიც, რომ აჭარელი ქალები მამაკაცებისაგან მაღლულად ჯვარს ატარებდნენ.

აჭარელი ქალების ეროვნული თვითშეგნების მაღალ დონეზე მიუთითებს ის ისტორიული ფაქტებიც, რომ ქართული დამწერლობის შესანარჩუნებლად მტრის თვალის ასახვევად მათ ვითომც ახალი დამწერლობა შექმნეს და მას „დედაბრული“ უწოდეს. სინამდვილეში კი ქართულ ასო-ბგერებს ცოტა სხვა ფორმა მისცეს, რამდენიმე ახალი ასო-ნიშანიც დაუმატეს და ასე აწარმოებდნენ მიმოწერას, თითქოსდა არაქართული ანბანით. ეს ისტორიული ფაქტები უტყუარი დასტურია აჭარელი ქალის მაღალეროვნული მრწამსისა და ამ მრწამსის შენარჩუნებაში მისი უდიდესი როლისა.

ასევე, უდიდესი იყო ქალის როლი მოზარდი თაობის ფიზიკური და გონებრივი აღზრდის საქმეშიც. ქალები პატარა ასაკიდანვე აჩვენებდნენ და ასწავლიდნენ ბავშვებს შრომის უნარჩვევებს, აგრეთვე ასწავლიდნენ ისეთ ტრადიციულ თამაშობებს, რაც განავითარებდა მათ არა მარტო ფიზიკურად, არამედ გონებრივაც, უვითარებდა ფანტაზიას, შემოქმედებით უნარს, მოქნილობას, ორიენტაციას.

ასეთი იყო ძველი ხალხური თამაშობები: „ქორობია“, „მანაკოდალა“, „თაფლის გაყიდვა“, „კენჭობილა“, „ენრობილა“, „ბუზბუზი“ და სხვა. ეს თამაშები ძირითადად, სიუჟეტიანია და მოქმედებები გამოხატავს გარკვეულ სიუჟეტს (მამუჭაძე, 1965: 273). აღნიშნული თამაშების შენარჩუნებას ქონდა უდიდესი

კულტურულ-ეთნიკური მნიშვნელობა, რადგან მათში ასახულია ხალხის ადათ-წესების ელფერი.

აჭარული ხალხური თამაშობანი დაკავშირებული იყო მეურნეობის ამა თუ იმ დარგებთან, რელიგიასთან, ფიზიკური ძალის განმავითარებელი თამაშობანი კი, რომლებსაც ბავშვები მამაკაცებისაგან სწავლობდნენ, - სამხედრო საქმესთან. ყველა ეს თამაშობა რაიმე მოვლენის განზოგადებას წარმოადგენდა და ამიტომ შემოქმედების ნაყოფი იყო. აქედან გამომდინარე, აჭარელი ქალის დამსახურებით თაობიდან თაობას გადაეცემოდა ის უძველესი ხალხური თამაშობანი, რომლებიც ხალხური შემოქმედების ერთ-ერთ დარგს განეკუთვნება და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს კულტურის ფონდში შედის.

ქალის საპატიო ოჯახური მდგომარეობა ამოიკითხება აგრეთვე სამკაულების ტარების წესებში, რასაც მხატვრულ-ესთეტიკური დანიშნულება ქონდა. ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით, აჭარელი ქალები ძირითადად ვერცხლის სამკაულებს ატარებდნენ. მათ ყოველდღიურ თავსაბურავს შინ და გარეთ წარმოადგენდა ოქრო-ვერცხლის მონეტებითა და მძივებით მოკაზმული ლეჩაქი (სამსონია, 1985: 74). ქალი ხელიდან არ იცილებდა მინის მძივებსა და მარჯნის სამაჯურებს, ხოლო უფროსი ასაკის ქალების აუცილებელი ატრიბუტი იყო ქარვის მძივები.

აჭარელი ქალის ასეთი დიდი უფლებები წარმოადგენდა არა მარტო ოჯახის წევრთა შორის დემოკრატიული ურთიერთდამოკიდებულების გამოხატულებას, არამედ იგი აგრეთვე ხელს უწყობდა ქალის როლის ზრდას ეროვნული მეობის, ქართული ენის, ეროვნული სამოსის, ეთნიკური თვითმყოფადობისა და ეროვნული კულტურის შესანარჩუნებლად.

ამგვარად, აჭარაში, ისე როგორც სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს დანარჩენ კუთხეებში, ძველთაგანვე გამორჩეული ადგილი ეჭირა ქალს. იგი სათუთად ინახავდა და თაობიდან თაობას გადასცემდა მშობლებისადმი პატივისცემის, ბავშვებისადმი სათუთი დამოკიდებულების, სტუმართმოყვარეობისა და სხვა ტრადიციებს. აჭარელი ქალის დამსახურებაა, რომ ოსმალთა ბატონობის პერიოდში ისლამის დოგმების ზეგავლენის მიუხედავად, აჭარული ოჯახი ბოლომდე ქართული ბუნებისა დარჩა, ეს კი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პირობა იყო აჭარელთა

ეთნიკური მეობისა და თვითმყოფადი ქართული კულტურის შესანარჩუნებლად.

### **გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები:**

1. **აჩუგბა, 1986:** - აჩუგბა თ., „ქალის უფლებები აჭარულ ოჯახში“, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ყოფა და კულტურა, თბ., 1986;
2. **ბექაია, 1899:** - ბექაია მ., ძველი და ახალი საქორწინო ტრადიციები აჭარაში, ბათუმი, 1974;
3. გაზ. „ივერია“, 1899: №205;
4. გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1901, № 134;
5. **კახიძე, 1975:** - კახიძე ნ., ხელოსნობა მაჭახლის ხეობაში, 1975;
6. **მამუჭაძე, 1965:** - მამუჭაძე ზ., ხალხური თამაშობანი აჭარაში, ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, 1965;
7. **მგელაძე, 1973:** - მგელაძე, ვლ., აჭარის სოფელი ძველად, ბათუმი, 1973;
8. **მსხალაძე, 1969:** - მსხალაძე ა., აჭარის საოჯახო სანესრულებო პოეზია, ბათუმი, 1969;
9. **სამსონია, 1985:** - სამსონია ი., ქალის საკაული აჭარაში, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ყოფა და კულტურა, თბ., 1985;
10. **Френкель , 1879:** - Френкель А., Очерки Чырук-Су и Батуми, Тифлис, 1879;
11. **ხარაძე, 1965:** - ხარაძე რ., აღ. რობაქიძე, მთიულეთის სოფელი ძველად, თბ., 1965.

### ***Dali Putkaradze***

#### ***The role of woman in family (by South-West Georgia materials)***

##### ***Summary***

Georgia women's role in family life in the historically is infinitely large. In this regard, it is interesting to study and acquaint Ajarian family's traditions. The studies referred to in the issue of Ottoman rule, the influence of Islam and Sharia law, women powerless



and dejected condition, however, ethnographic field study of the materials and the oral tradition of picture in front of the other. This paper deals with the issue of women's role in family life,, south-west of the materials. "

The study of these materials show a woman honored place in the family of Adjara. Management of older women in the family and in some cases even the right to vote was decisive. In the upbringing and development of children in care, the woman in charge of the family's moral standards, traditions and preservation of national values., Which he was responsible for the relatives.

Expressed distinct division of labor and women's rights within the family Ajarian stewards of the honorable performance of duty. Family life is greatly dependent on the ability to perform this function, fate, family economic status and place in the society.

If not for Adjarian women's high national consciousness, in the three hundred years of domination by the enemy as a result of not keeping the native language, alphabet, Georgian national traditions and customs.

Thus, in this work „the role of women in family life of south-west of the materials of the"ethnographic materials, field research and oral traditions of the displayed Ajarian family of a woman, as a mother, grandmother, family head and immeasurable role in the nation's pier.

# ენათმეცნიერება

გურამ ჩაგანავა

## ეთნონიმ “ჰალიძონების” ეტიმოლოგიის ცდა

ა. ურუშაძე წერს: “ილიადაში” პირველადაა მოხსენიებული კოლხური ტომი ვეცხლის სამშობლო ალიბეს მკვიდრი **ჰალიძონები (ხალიბები)** (ურუშაძე, 1964:16).” ილიადას” თარგმანში ა. ურუშაძე მიუთითებს: “ხოლო **ჰალიძონებს** მოუძღოდნენ ოდიოსი და ეპისტროფოსი შორეული ალიბედან, სადაც არის ვერცხლის სამშობლო (ურუშაძე, 1964:170). აქვე მოგვყავს ა. ურუშაძის ნაშრომში თარგმნილი ევსტათი თესალონიკელის „განმარტებანი“-დან, ის ადგილები “ილიადას” განმარტებანიდან, სადაც ავტორი ცდილობს დააზუსტოს ჰომეროსის ეპოსში დასახელებული ჰალიძონების სახელწოდება და გარემოებები: “ამ {ჰალიძონების} გარშემო ძველებთან ფრიად დიდი ორჭოფობაა. აი ამიტომ გეოგრაფოსი {სტრაბონი}, ამ ტომის გარკვევისა და ცხადი შეცნობისათვის რაკილა დიდ სიძნელეს ნააწყდა, ამბობს, რომ პოეტმა მოიხსენია რომელიღაც უცნობი {ტომი}... ხან არის “ალიბედან”, ზოგიერთები წერენ “ალიბებიდან”, ზოგიერთები – “ხალიბებიდან”, სხვები კი – “ალოპედან”, ან მენეკრატეს მიხედვით, - “ალობედან” და აგრეთვე - “ხალიბედან”... იმასაც ამბობს, რომ აქ შეიძლება სავარაუდო იყოს სახელის შეცვლა “ალიბებისა” “ხალიბებად”. ამიტომ სადღაც წერს კიდევ, რომ პოეტმა {ჰომეროსმა} ჰალიძონები უწოდა ხალიბებს და რომ იგულისხმებოდა ხალიბებში მოხსენიების ღირსი და სახელგანთქმული ვერცხლის საბადოების ოდესღაც არსებობა ისევე, როგორც ახლა რკინის საბადოებია. ამბობს იმასაც, რომ ზოგიერთები “ჰალიძონების” ნაცვლად წერენ არა მარტო “ოლიძონების”, არამედ აგრეთვე “ჰალაძონების” და რომ ზოგიერთები ჰალიძონებად სკვითებს გულისხმობენ (ურუშაძე, 1964:180-181). აქ “**ჰალიძონების**” პარალელური, კერძოდ: “**ოლიძონების**”, “**ჰალაძონების**” ფორმები დასტურდება. საფიქრებელია, რომ ეთნონიმი “**ჰალაძონების**” შეიძლება სიტყვა **ლაზონასთან** იყოს დაკავშირებული.

სიტყვა **ლაზონა** ლაზურად ლაზეთს ნიშნავს და მასზე შეიძლება გავრცელდეს სიტყვა **ლაზის** ეტიმოლოგია. ს. ჯანაშია ამ სიტყვაში გამოყოფდა სვანურ პრეფიქს **“ლა”**-ს და ფუძეს **“ზან”**-ს. ასეთი ეტიმოლოგიის საფუძველი იყო ის, რომ დღესაც სვანები მეგრელებს სიტყვა **“ზანი”**-თ აღნიშნავენ.

ბოლო დროს ძალიან საინტერესო მოსაზრებებს ავითარებს მიტროპოლიტი ანანია (ჟურნალი “სვეტიცხოველი, 2011, №2, გვ. 249-264). ის წერს, რომ სიტყვა **“ლაზიკა”**, ჩანს, ისევეა ნაწარმოები, როგორც, მისი ახლო პროვინციების სახელები, მაგალითად, კორჩაიკი (კორდუენა), პარსფაიკა(ნორშირვანი), ბერძნები **ლაზიკას** უფრო **“ლაზივს”**, **“ლაზონს”**, **“ლაზიას”** უწოდებდნენ”. მიტროპოლიტი ანანია აგრძელებს, რომ “სახელწოდებაში **“ლაზიკა”** ფუძე **“ლაზ”** რომაა, იქიდანაც ჩანს, რომ მისგანაა ნაწარმოები ლაზეთი და ლაზისტანი.” შემდეგ ის წერს, რომ ზემოთ მოყვანილ სიტყვებში გამოიყოფა “სომხური სუფიქსები-“კ”, “კა”, “იკა”, რომელიც იგივეა, რაც ქართული “ეთი”.

ანანია ჯაფარიძე წერს: ამ მხრივ მნიშვნელოვანია სტრაბონის ცნობა და ასევე ვრცელი მსჯელობა იმის შესახებ, რომ **ხალიბების (ქალდების)** ძველი სახელწოდება ასევე იყო **“ალაზონები”** ან **“ალიზონები”(ალაძონები, ალიძონები)**. ეს სახელწოდება, აგრძელებს ავტორი, – ნაწარმოებია ფუძისაგან – ალზ-ალძ. ეს ფუძე “ალძ-ალზ” უნდა იყოს იგივე “არძ-არზ”, რომელიც შეიძლება “გურძ-გურზ” სახელშიც ჟღერდეს, რადგანაც სწორედ ასე უწოდებდნენ ალზის სამეფოს მეზობლად მცხოვრები სირიელები ქართველებს. მდ. არაჯანის სახელი, პ. ინგოროყვას აზრით, ჟღერდა როგორც არანანი, შესაძლოა ის ჟღერდა, როგორც **“არაზანი ანუ “ალაზანი”** (ქართული სუფიქსი “ანი”, “ონი”). მნიშვნელოვანია აგრეთვე ის, რომ მიტროპოლიტი ანანიას თვალსაზრისით: “ალზ-იკი” უნდა იყოს, საფუძველი მისგან ნაწარმოები სახელისა **“ლაზიკა”** (ალზიკა-ლაზიკა), რამდენიმე თანხმონის გაადგილებით სიტყვის ფუძეში”.

მიტროპოლიტი ანანიას მსჯელობა შეიძლება შემდეგნაირად განვითარდეს. უპირველეს ყოვლისა მივაქციოთ ყურადღება იმ ფაქტს, რომ ცნობილი **“ალაზონები”/“ჰალაძონები”** ხშირად წარმოდგენილია მხოლოდ **“ჰალიძონების”** ან მხოლოდ **“ჰალაძონების-ს”** სახით, იმ დროს როდესაც ძველბერძნულ ლი-

ტერატურაში ორივე ფორმა დასტურდება. ამიტომ ვფიქრობთ, რომ ალაზონების/ალიზონების სახელწოდება ჯერ უნდა ყოფილიყო ჰალაზონები//ჰალიზონების და ყველაზე ადრე გალაზონები//გალიზონების სახით. აქედან გამომდინარე საფიქრებელია, რომ სიტყვა “ლაზონას” სრული ფორმა უნდა ყოფილიყო **გალაზონა (ჰალაზონა)**. ამრიგად უნდა ვივარაუდოთ, რომ ჰომეროსის **ჰალიძონების** სახელწოდება დაკავშირებულია თანამედროვე **ლაზონასთან**.

როგორც ჩანს დროთა განმავლობაში “ჰ-ანი” იმდენად დასუსტდა ქართველურში (შეიძლება ხანმეტობისა თუ ჰაემეტობის შედეგად), რომ მივიღეთ პირველად **ალაზონა**, რომელიც კიდევაც აისახა მდინარე **ალაზანის** სახელწოდებაში, ხოლო შემდეგ უკვე ჩამოყალიბდა **ლაზონა** (ლაზივა, “ლაზია). უნდა ვივარაუდოთ, რომ სიტყვა **ლაზონას**, ისევე, როგორც სიტყვა **ლაზის** ფუძე უნდა იყოს **გალ/ჰალ** და შეიძლება მათი ვარიანტია აგრეთვე **ხალ** (ანუ აქაც იგივე ხანმეტობასთან გვაქს საქმე). ამიტომ სავსებით დამარწმუნებელია ქართველურ სამყაროსთან **ჰალიზონების** დაკავშირება. ა. ურუშაძის თვალსაზრისით: “ილიადაში” პირველად არის დასახელებული **ჰალიძონების პელაზგიურ-კოლხური ტომი**. **ჰალიძონები** ტროას დასაცავად შორეული აღმოსავლური ვერცხლის ქვეყანა ალიბიდან მოვიდნენ. **ჰალიძონების** ტომს სტრაბონი აიგივებდა **ხალიბების** ძველქართველურ (კოლხურ) ტომთან (Уршадзе, 1980: 21-28).

მიტროპოლიტი ანანია წერს, რომ ამოსავალი ფუძე ხალ//ჰალ - შეიძლება დადასტურებული იყოს მდინარე ჰალისის სახელშიც; ხალ-დ-, ჰალ-ის- და ხალ-იბ- ფორმებში. ქართველური ენობრივი სამყაროს გარეთ საკვლევი დარჩება მხოლოდ – „იბ“ - სუფიქსის საკითხი, თუკი გამოირიცხება რომ – „იბ“ არ მომდინარეობს ქართველური -ებ- კრებითობა-მრავლობითობის სუფიქსისგან (\*ხალ-ებ-ი > ხალიბი); შდრ.: ხალ-დ-/ქალ-დ- ფუძეში -დ-/-ად- კუთვნილობითობა-კრებითობის ისეთივე მანარმოებელი შეიძლება იყოს, როგორც -ლ-/-ალ-/-ელ-, -ბ-/-ან-/-ენ-, -ს-/-ის-/-ეს- და სხვ.. შდრ., აგრეთვე: ხალ-/ხარ- ფუძე ხალდი/ქართუ – მამრობითი ღვთაება; არ გამოირიცხება არც ქალ- (დედა-კაცი) ფუძე (ღვთაების სახელი ხარის თუ ქალის კულტს უკავშირდება?

ხალდეები//ქალდეები ცხოვრობდნენ ვანის ტბის მიდამოებში; ურარტუს დაცემის შემდეგ ამ ტერიტორიის ნაწილი დაიპყრეს მოსულმა არმენებმა. როგორც ჩანს, ამ პერიოდში ხალიბთა ცენტრი გადმოდის შავიზღვისპირეთში,- ასე ამთავრებს აქ მიტროპოლიტი ანანიას.

მიტროპოლიტ ანანიას მოსაზრებებთან დაკავშირებით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ ის გამოყოფს უძველესი ქართველური ტომების სახელწოდებებში ფუძეებს: **ხალ-/ჰალ-ს; ქალს**. ამ საკითხთან დაკავშირებით, საყურადღებოა, რომ ნახურელები მდინარე ალაზნის რეგიონს უწოდებენ „გალ“-ს (Нагиев,2013). ამრიგად ჩვენ ვფიქრობთ, რომ მდინარე **ალაზნის** სახელწოდებაც სიტყვა **გალაზონთან** უნდა იყოს დაკავშირებული, **ხოლო** ნახურულმა შეინარჩუნა ამ რეგიონის (**კახეთი**) ძველი ქართველური სახელწოდება –**გალ**-ი( თავისთავად დგება საკითხი ქალაქ **გალის** ეტიმოლოგიისა). ამრიგად ძალიან მნიშვნელოვანია სიტყვა **ალაზნის (გალაზონას)** ფუძის **გალ/ჰალ/ის** წარმომავლობა, რომელმაც შეიძლება საშუალება მოგვცეს გავიგოდ არა მხოლოდ ქართველური მოდემის ამჟამინდელი **ლაზების** წარმომავლობა, არამედ აგრეთვე მათ სახელწოდებასთან ლინგვისტურად დაკავშირებული ქართველების ისეთი სახელწოდება, როგორიცაა მიტროპოლიტ ანანიას თვალსაზრისით სიტყვა **“გურძ-გურზ”**. როგორც ზემოთ იყო აღნიშნული ეს ფუძე(gal-hal )ცალკეც გამოიყენება ალაზნის ველის, რეგიონის აღსანიშნავად. ასეთ შემთხვევაში სიტყვა **ლაზონას(ლაზის-ს)** პირვანდელი, აღდგენილი ფორმა **გალაზონი/ჰალაზონი** კანონზომიერად დაუკავშირდება სხვა ქართველურ სატომო სახელწოდებებს, სახელდობრ უცხოელების მიერ ქართველების ისეთ გავრცელებულ სახელწოდებას, როგორიცაა **გურჯი**. საყურადღებოა მიტროპოლიტ ანანიას თვალსაზრისი, რომლის მიხედვით **ალძენა-არძენადან - არენა (რძ-რ) - “არენა”** შეიძლება მიღებული იყოს არიან-ქართლი, ანუ ალზის ქვეყანა და ასევე **ალძიკა ანუ ლაძიკა-ლაზიკა**. აქედან შეიძლება ვივარაუდოთ, რომ სიტყვა **“არიანის” (“არიან-ქართლის”)** თავდაპირველი ფორმა იყო **არჯიანი-არძიანი-არზიანი (არზიან-ქართლი)( იხილეთ მიტროპოლიტ ანანიას ნაშრომიდან ამონარიდი)**.

მიტროპოლიტი ანანიას თვალსაზრისით, ფუძე **გალ-ი** შეიძლება დაკავშირებული იყოს ფუძეებთან: ხალ;ჰალ; ქალ;ხარ; ქარ;გარ;ჰარ; გარ;ლარ; ღალ;ღოლ; ღორ; ხოლ;ხორ; ჰოლ;ჰორ;; ქოლ; ქორ; გორ;გოლ. ამავე დროს დასაშვებად უნდა მოვიჩინოთ აგრეთვე ისეთი ფორმის არსებობაც, როგორიცაა, მაგალითად, **“გარ”** ძირისაგან „გარკვეულ პოზიციებში უმლაუტის გზით მიღებული **“გერ”** ფუძე (ფენრიხი,სარჯველაძე, 1990:74). ფუძე **“გალ”-ის** ფონეტიკური უღერადობის ანალოგიების მოძიებამ მიგვიყვანა კარგად ცნობილ კელტების ლათინურ სახელწოდებასთან galli, რომელიც კელტურად „მეომრულ“-ის მნიშვნელობით საკუთრივ კელტურ gal ფუძეს უკავშირდება. „მეომრული“ თვისება შეესატყვისება კელტების ისეთ ზოგად თვისებას, როგორიც არის **გამბედავეობა და ომისადმი** ლტოლვა. ბერძნებმა ადრე შეითვისეს სიტყვა „კელტი“ და გამოსცემდნენ ამ სიტყვას **„გალატი“**-ს ფორმით, რომელიც უფრო ახლოს არის ლათინურ სიტყვასთან „galli“ (Гельмгольт, 1904: 148). **გალ (გოლ)** საშუალო ირლანდიურში ნიშნავს „დიდება“-ს . ამ სიტყვასაგან წარმოიშვა **call** ( დაძახება, დიდების მიკუთვნება) და **glory** (დიადი),**gloire** (დიადი-ფრანგულად). ამის გარდა ცნობილია, რომ გალების ქვეყნის სომბოლად მიჩნეულია მამალი(gallus- ლათინურში)([http: alternative-view.info/digest/](http://alternative-view.info/digest/). კარგად არის ცნობილი, რომ (Гамкредидзе,Иванов,1994: )მეომრული სულისკვეთება, დიდება ინდოევროპულ მითოლოგიაში დაკავშირებულია მგლის კულტთან, რაც ბუნებრივად გვაძლევს საშუალებას ვიფიქროთ, რომ ფუძე **gal-** აგრეთვე მგლის კულტთან უნდა იყოს დაკავშირებული. ასეთი ვარაუდის არსებობაზე კიდევაც მიუთითებენ ლიტერატურაში (Трусов, 2012). არსებობს მოსაზრება, რომლის მიხედვით ტერმინი **ე-გერ-ი**( “ეგრისი”) დაკავშირებულია მგლის ტოტემურ სახელთან **გერ**-თან, რაც მეგრულად მგელს ნიშნავს (ვერულავა, 2009; მორგოშია, 2012). საყურადღებოა, რომ თუ მეგრულში მგელი სიტყვა **გერი-თ** აღინიშნება(ქობალია,2010:95), ლაზურში **მგელი** სიტყვა **მგერი-თ**(თანდილავა,2013:419), **მგეი-თ** (თანდილავა,2013:419), ან კიდევ **მგვერი-თ** (თანდილავა,2013:419) აღინიშნება. სიტყვა მგე-

ლის ასეთი მრავალვარიანტობა საშუალებას გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ, როგორც ჩანს, ძველად ზანურში მგლის სახელწოდება ფუძე **“გალ”**-თან ახლო მდგომი სიტყვით უნდა ყოფილიყო აღნიშნული. ცნობილია, რომ ქართულში და მეგრულში (საერთოდ ზანურში) მგლის სახელწოდება ალბათ ნასესხებია სომხურიდან(Гамკრელიძე, Иванов, 1994 ) სადაც ის **გაილ(gayl)** ფორმით დასტურდება (Антонов Антон –<http://www/czudovo.ru/word.php>.), რაც ჩვენს ვარაუდს სანდოობას მატებს. ზურაბ ჭუმბურიძე წერს:“ვარაუდობენ, რომ ეგრისი და გურია ნაწარმოებია ერთი და იმავე სატომო სახელისაგან – **გურ** - ისაგან (ჭუმბურიძე,1978:179-180). თვითონ ფუძე **გურ-ის** ეტიმოლოგია არ არის მოცემული. ამ დროს კი, თუ ფუძე **„გალ”** შეიძლება დაკავშირებული იყოს ფუძე **“გორ”-თან** (იხილე ზემოთ) და აქედან მგლის სპარსულ სახელწოდებასთან (**გორგ**) , მაშინ ფუძე **“გურ”** შეიძლება დაკავშირებული იყოს მგლის ქურთულ სახელწოდებასთან – **“გურ”-ი** (Курдоев, 1961)( თუმცა ქურთულში აგრეთვე არსებობს იმავე სიტყვის ვარიანტი **გორ – gor**). როგორც ზემოთ აღინიშნა სპარსულში მგელი წარმოდგენილია ფორმით **gorg**(<http://ru.wikipedia.org/wiki/>). მგლის სპარსულ სახელწოდებას უკავშირდება მეფე ვახტანგის ზედწოდება – **გორგასალი**, რაც **ვახტანგი მგლის თავს**(Гамკრელიძე, Иванов, 1994:496)უკავშირდება. ზოგიერთ ავტორს მიაჩნია, რომ აქ საუბარია მგლების მეთაურზე, წინამძღოლზე, თავზე. ამავე დროს თვითონ **ვახტანგი** –ს ეტიმოლოგია შეიძლება უკავშირდებოდეს სპარსულს “მგლის სხეულის მქონე”-ს(Гамკრელიძე , Иванов, 1994:496).

თუ ზემოთ მითითებულ **გალ/ ხალ** ფუძეების ნაირსახეობას მივიღებთ მხედველობაში, მაშინ გასაგები იქნება, რომ სიტყვა **გალაზონასაგან/ ჰალაზონასაგან/ ნაწარმოები** ხალხის აღმნიშვნელი სიტყვა გალაზონების/ ჰალაზონების/ ან მის ვარიანტს **ჰალიძონების/ გალიზონების/ გალაზონების** ფუძე ნამდვილად უნდა იყოს **ტოტემური ცხოველის –მგლის სახელწოდებიდან ნაწარმოები**. ამავე დროს საყურადღებოა, რომ მრავალი სხვა ერის წარმომადგენლის მიერ ქართველების გავრცელებული სახელწოდებების (წერეთელი,1993; ჩხეიძე; 1993)

დიდი ნაწილი წარმომამლობით მგლის ტოტემთან არის დაკავშირებული. მაგალითად, სიტყვა **იბერი** უკავშირდება სპარსულ სახელს **veruč(i)ya**-ას, რომელიც ბერძნულში **‘Ιβηρος**-ად **იბერი** - **ად** გადაიქცა. თვითონ სპარსული სიტყვა **veruč(i)ya** (მგლის მოდგმა )კი სპარსულში უკავშირდება სიტყვა მგელს- **virk**. ქართლის სახელწოდება სპარსულში **vrkan** აგრეთვე მგლის სახელთან არის დაკავშირებული და მგლის ქვეყანას აღნიშნავს. რეალურად სპარსულად **მგლის** სახელწოდებას უკავშირდება მოგვიანო სპარსული **გურჯი**-ი (гурү, гурүян), ბერძნული **ჰურკანია** ((‘Υρκανία),სომხური **ვირქი: ვრკან**, არაბული **ჯურჯან** (jurjan), ასირიული **გურზიან** (gurziyān), იტალიური **ჯორჯი** –(georgi), რუსული **გრუზინ** (грузин) (წერეთელი,1993; ჩხეიძე; 1993).

მიტროპოლიტ ანანია ჯაფარიძის ლინგვისტორიულმა გამოკვლევებმა საშუალება მოგვცა გაგვევითარებინა მისი ვარაუდები და დამატებითი ეთნოისტორიული მასალების გამოყენების საფუძველზე მივსულიყავით დასკვნამდე, რომ სიტყვების - **“ლაზონა”, “ლაზიკა”, “ლაზი”,** - ფორმები უკავშირდება ისტორიულად დაფიქსირებულ ჰომეროსის ( ჰეროდოტეს, სტრაბონის ) **ჰალიზონებს**. ამ შემთხვევაში გამოიყოფა სიტყვის ფუძე, რომელიც, ისევე, როგორც ქართველების მიმართ უცხოელების მიერ გამოყენებული სხვა მრავალი სახელწოდება – **გურჯი, გრუზინ, გეორგი** და სხვა უკავშირდება ძველქართულ ტოტემს – **მგელს**( სპარსულად **virk**) იმ განსხვავებით, რომ ლაზების ძველი სახელწოდების –**ჰალიზონები/ჰალაზონები,-** ფუძეში **გალ/ჰალ** შემორჩენილია ძველქართული ტოტემის –ჩვენს მიერ სავარაუდოდ აღდგენილი მგლის სახელწოდებაში( **გალი**). მეორე მხრივ, მეგრელთა მხარის ერთ-ერთი სახელწოდებაში **ე-გერი-ი(“ეგრისი”)**აგრეთვე დასტურდება მგლის სახელწოდება – **გერი**. ორივე ეს ტერმინი უკავშირდება ქართველურში სომხურიდან ნასესხებ (**Гамкрелидзе, Иванов, 1994:** ) მგლის აღმნიშვნელ სიტყვა **გაილ** – ს. ამავე დროს **ჩვენს მიერ აღდგენილი მგლის აღმნიშვნელი სიტყვა ძველქართულში თურ-ი(შემდგომში ტაბუირებული)** რელიქტიური კონსტრუქტების სახით შემორჩენილია ქართულ ფოლკლორში, ეთნოგრაფიაში, ისტორიაში (ჩაგანავა, 2007:103-127; ჩაგანავა, 2011:199-203; Чаганова, 2007: 356-357).



### ლიტერატურა:

1. თ. ვერულავა, სამეგრელოს ეტიმოლოგია, ბურუსი. 05/05/2009.
2. ა.თანდილავა, ლაზური ლექსიკონი,გამომცემლობა “საარი”, თბ., 2013.
3. ბ. მორგოშია, გერ-ის ეტიმოლოგია. 2012.
4. ა. ურუშაძე, ძველი კოლხეთი არგონავტების თქმულებაში. თბილისის უნივერსიტეტის გამოცემა. თბ., 1964.
5. ჰ. ფენრიხი, ზ. სარჯველაზე, ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 1990.
6. ა. ქობალია, მეგრული ლექსიკონი, ”არტანუჯი”, თბ., 2010.
7. გ. წერეთელი, ”საქართველოს ირანულ სახელწოდებათა ისტორიისათვის”, კრ.:”საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი უცხოური და ქართული ტერმინოლოგია” - თბ., 1993
8. ზ. ჭუმბურიძე, რა გქვია შენ, გამომცემლობა “განათლება”, თბ., 1978.
9. გ. ჩაგანავა,, ლ. ტულუში., ე.ხეცოიძე., მგლის კულტის პარალელები ინდოევროპულ, თურქულ და ქართველურ ცივილიზაციებში. – კრ.: სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზეპირსიტყვიერება, XII, გამომცემლობა “ბათუმის უნივერსიტეტი”, ბათუმი, 2007
10. გ. ჩაგანავა, ბა-პრეფიქსის ფსიქოლოგიური დიფერენცირების ფუქციები ზანურში. კრ.: ლინგვოკულტუროლოგიური ძიებანი. გამომცემლობა “შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი”, ბათუმი, 2011.
11. თ. ჩხეიძე, ”საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი ტერმინები საშუალო სპარსულსა და პართულ ენებში”, კრ.: ”საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი უცხოური და ქართული ტერმინოლოგია” - თბ., 1993.
12. მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე, თავი XIV., არიან-ქართლი. სიტყვა “ქართველის” ეტიმოლოგია, სვეტიცხოველი, 2011, № 2
13. Антонов Антон–<http://www.czudovo/ru/word.php>.)
14. Гамкрелидзе Т. В., Иванов Вяч., Вс. Индоевропейский язык и индоевропейцы. Тб., 1994.
15. Гельмгольт Г.(ред.), История человечества. Всемирная история. Шестой том, Средняя и Северная Европа, « Просвещение», СПб., 1904.

16. Курдоев К.К., Курдский язык, издательство восточной литературы, М., 1961.  
<http://www.ashkimsin.ru.chayxana/lofiversion/index/php>.
17. Нагиев Ф., Ономастика Кавказкой Албании, 2013,  
<http://www.nagiev-clan.ru/search/>
18. Трусов С.В. Варианты этимологий этнонима. 2012 .«галлы».  
[rtkorr.com/news](http://rtkorr.com/news).
19. Урушадзе А. В., Страна волшебницы Медеи. в сб.: Кавказ и Средиземноморье. Тбилиский университет. Тб., 1980.
20. Чаганова Г. О некоторых картвело-тюркских параллелях культа волка. Материалы Международной научной конференции «Археология, этнография и фольклористика Кавказа». Издательский дом «Эпоха», Махачкала, 2007.

## *Guram Chaganava*

### *Attempt to Etymology of the Etonim “Halizona”*

#### *Summary*

The attempting to etymology the etnonim “**Halizona**” gives us the possibility to make the conclusion that this etnonim is connected with the word “Lazona”. The origin of the words “Lazona”, “Lazika”, “Lazi” is interested long ago by the scientists. The most common explanation is that the word “Lazi» («Lazona”. “Lazika”) can be prefixed with “La” and “take root” of a “**zan-i**”, because the word matches this root with Svanian (ethnographic group of the Georgian highlanders in western Georgia) word that is used to call and even now is used to name the megrels (ethnographic group of the Georgian people in western Georgia). Linguistic and historical survey had fulfilled by Metropolitan Anania Japaridze has allowed us to develop his assumptions and based on additional material the author come to the conclusion that the primary form of the word “Lazona”. “Lazika”, “Lazi» goes back to the historically recorded “Halizona” of Homer (Herodotus, Strabo). In this case, the root (“gal”/”hal”) of the word, which is also, like many other names of Georgians (used by foreigners to call Georgians), George, Gurdži, Gruzin etc. go back to old Georgian Wolf Totem, with the difference that the root of the “Gal”/”Hal” ( with the meaning of a wolf ) originally preserved in the name of some Georgian ethnographical groups (Lazians, Megrelians) and beside of that the old cartvelian name of the totem of the wolf was restored by us in the form –“tur”, which is well preserved in the Georgian folklore, ethnography and history.

**უცხო ენოზრივი დაფენება ლაზურში**

მე-16 საუკუნიდან ლაზეთი თურქთა დამპყრობლური პოლიტიკის შედეგად საქართველოს ჩამოშორდა. ოსმალეთის ხელისუფალთა ძალდატანების მიუხედავად, ლაზებში არასოდეს შენელებულა იმის შეგნება, რომ ლაზეთი ისტორიული საქართველოს ნაწილია და ლაზური მათი მშობლიური ენაა. ზ. ჭიჭინაძე წერდა: „ლაზს კარგად ესმის, რომ თუმცა სჯულით ოსმალთა, მაგრამ ტომით ლაზია ქართველის მონათესავე. ლაზი თავის ენას დიდხანს არ დაჰკარგავს, თუმცა ყველგან გარშემო ოსმალური ენაა გამეფებული (ჭიჭინ., 1927:31) და მართლაც ლაზურმა ენამ, მიუხედავად იმისა, რომ იგი საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში უცხო ენების – ბერძნულისა და თურქულის გავლენას განიცდიდა, მაინც შეინარჩუნა საკუთარი გრამატიკული წყობა და ძირითადი ლექსიკური ფონდი. მაგრამ საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ პროვინციებში თურქული ენის ოფიციალურმა ბატონობამ აჭარელთა მეტყველების მსგავსად, ლაზთა მეტყველებასაც მძლავრი დალი დაასვა. ეს გავლენა განსაკუთრებით მკვეთრად წარმოჩნდა ენის ყველაზე ცვალებად ნაწილში ლექსიკის სფეროში. ამის შედეგად დაიკარგა საკუთრივ ლაზური სიტყვები და მის ნაცვლად ლაზთა გაბმულ მეტყველებაში იხმარება თურქული ან თურქულის გზით შემოსული აღმოსავლური წარმომავლობის ლექსემები, რომელიც თანდათან ლაზურის საკუთრებად იქცა. ასეთებია:

ა თ მ ა ჯ ა (თ. atmaca) მიმინო. „ათმაჯა თოლი საი, მაქვალი სქანი გჷი“ – მიმინო თვალყვითელა, კვერცხია შენი კერძი (კარტ., 1972:22).

ა ლ თ უ ნ ი (თ. altin) ოქრო. „ალთუნიქ კოჩი იმხორს, კოჩის ალთუნი ვა აჭკომენ“ – ოქრო კაცს ჭამს, კაცი ოქროს ვერ შეჭამს.

ა რ ზ უ ა ლ ი (არაბ. arzuhal) არზა, თხოვნა, განცხადება. „დოჭაუ არზუალი (ჟღ., 1938:178) – დანერა განცხადება.

ა ჯ ა ბ ა (არაბ. acaba) ნეტავი. „აჯაბა მითის მუთუ ათქვენი“ – ნეტავი ვინმე რამეს იტყვის?!

ბ უ ზ ი (თ. buz) ყინვა. „გალე ბუზი ქენ“ – გარეთ არი ყინვა.

ბ უ ლ უ თ ი (თ. bulut) ღრუბელი. „ცას ქებთენ ბულუთი“...(კარტ., 197:212) ცაზე ამოსულა ღრუბელი.

ბ უ ძ უ ღ ი (თ. büyüǧ) უღვაში. „ბუძული ქანიშქვეენ“ – უღვაში მოუშვია.

ბ უ რ ე ღ ი (თ. börek) ღვეზელი. „ბეეფე ოკობთეს დო ბურელი იქიფან“ – ბავშვები შეიკრიბნენ და ღვეზელს აკეთებენ (ასათ., 1974:44).

გ ე მ ი ჯ ი (თ. gemici) მეზღვაური. „გემიჯი გავა დო არმას ეფთარე“ (ჟღ., 1938:167) მეზღვაური.

გ ე ჯ ე ლ უ ღ ი (თ. gecelik) საღამური, პერანგი. „ეუბნება ახლა პერანგი არა მაქესო“ (ასათ., 1974:106).

გ ძ უ ლ ი (სპ. güll) ვარდი. „გძული მენილუფტაში დაძი ვა მეგაციგას“ – ვარდის მოწყვეტისას ეკალი არ შეგერჭოს.

გ ძ უ მ ი შ ი (თ. gümüş) ვერცხლი. „გძუმიში ტეფსი, დოლოხე ალთუნიში მამული დო დადული იქთენ“ (კარტ., 1972:77) – ვერცხლის ხონჩა, შიგნით ოქროს მამალი და დედალი ბრუნავს.

გ ძ უ ნ ა ხ ი (სპ. günah) ცოდვა. „სო ილარე ჩქიმი გძუნახი?“ (ჟღ., 1938:182) – სად წაიღებ ჩემს ცოდვას?

დ ე კ ი კ ე (არაბ. dakika) წუთი. „ოხორჯას არ დეკიკე მოსვაჯინუ ვა უღუნ“ – ქალს ერთი წუთი მოსვენება არა აქვს.

დ ე რ ს ი (არაბ. ders) გაკვეთილი. „კაი დერსი ქომეჩუ“ – კარგი გაკვეთილი ჩაუტარა.

დ ო ლ რ უ (თ. doǧru) მართალი. „კაი კოჩიქ დოლურ ნენა თქვასი-ნონ“ – კარგმა ადამიანმა მართალი სიტყვა უნდა თქვას.

დ უ მ ა ნ ი (თ. duman) ნისლი, კვამლი. „ხოლოთი ქოგოლადუ რაკანეფეს ღუმანი“ (ყიფშ., 1938:91) – ისევ ჩამონვა გორაკებზე ნისლი.

ე ს ბ ე რ ი (სპ. hesber) ზეპირად. „ბეეს მთელი შეი ესბერი უჩქიტუ“ – ბავშვმა ყველაფერი ზეპირად იცოდა.

ე ტ რ ა ფ ი (არაბ. etraf) ირგვლივ. „ოხოიში ეტრაფის მთელი ფუქიეფე უღუტუ რგეი“ – სახლის ირგვლივ სულ ყვავილები ჰქონდა დარგული.

ე ქ ვ ა ლ ა (თ. eyvallah) მადლობა. „ეძვალა ოთქუში ვახთი ვა მაყუ“ – მადლობის სათქმელი დრო არ დამრჩა.

ვ ა თ ა ნ ი (არაბ. vatan) სამშობლო. „მთელის მუში ვათანი უნონ“ – ყველას მისი სამშობლო უნდა.

ვ ა ხ თ ი (არაბ. vahti) დრო, ჟამი. „ვახთი მუში მოხთაში, მთელი შეი ქოდიგურს“ – დრო როცა მოვა, ყველაფერს ისწავლის.

ვ ე ს ი ე თ ი (არაბ. vesyet) ანდერძი. „ქადობგორაქა, ვესიეთი დოპაქა“ – იმას შევირთავო, ანდერძს შევასრულებო (ასათ., 1974:101).

ზ ა ვ ა ლ ი (თ. zavalli) საცოდავი. „ზავალი ცხენი! საჩმა ყუჯიკალა მატერეტუ“ (ჩიქ., 1929:91) – საცოდავი ცხენი! ტყვია ყურთან მოხვედროდა.

ზ ა ნ ა ა თ ი (არაბ. zanaat) ხელობა. „ზანაათი სქანი მუქენ“ (მარი., 1910:83) – რა არის შენი ხელობა?

ზ ე ნ გ ი ნ ი (თ. zengin) მდიდარი. „ზენგინიში ქესე გუინ-ნკეტაშა, დუკარას შუი ქქუხთებსქა“ (კარტ., 1972:227) – მდიდრის ქისის გახსნამდე, ღარიბს სული ამოხდებო.

ზ ე ნ ჯ ი ლ ი || ზ ე ნ ჯ ი რ ი (სპ. zincir) ჯაჭვი. „ზენჯირი ქოგძუდვანა, ხოლო მეჭკოლომს“ (ჟლ., 1938:170) – ჯაჭვით რომ დააბა, მაინც აინყვეტს.

ზ ი ნ დ ა ნ ი (სპ. zindan) ბნელეთი, ციხე. „სქანი ჭკულებ დულქა ჩქიმი ზინდანი“ (ჩიქ., 1938:151) – შენს შემდეგ ჩემი საქმე ბნელეთი.

თ ე მ ბ ე ლ ი (თ. tembel) ზარმაცი. „ქიმოლი დიდო თემბელი ტეენ“ (ჩიქ. 1929:36) – ქმარი ძალიან ზარმაცი ყოფილა.

თ ო ფ ა ლ ი (თ. topal) კოჭლი. „არ ფათიშაის თოფალი ბიჭი უყოუნტეენ“ – ერთ ხელმწიფეს კოჭლი ბიჭი ყავდა.

ი ო ნ ი (არაბ. izni) ნებართვა. „აზინეი ბეეფეს იზნი მეჩანა, დუნქა გძოქთაფან“ – ეხლანდელ ბავშვებს ნება თუ მიეცი, ქვეყანას დაანგრევენ.

კ ი შ ი (თ. kiş) ზამთარი. „მთვირიქ, ბერეჩქიმი, კიშიშენი ლეტას ქოლანი უჭაფს“ (ჩიქ. 1929:104) – თოვლი, შვილო ჩემო, ზამთრისთვის დედამინას საბანს უკერავს.

კ უ რ შ უ მ ი (თ. kurşum) ტყვია. „გუი ძარალი მილუნ, კურშუმი მოტალი“ (კარტ., 1972:205) – გული ტყვიით დაჭრილი მაქვს.

კ უ ს უ რ ი (არაბ. kusur) ნაკლი. „კუსუის ვა გემინკედა, ბერე ჩქიმი!“ – ნაკლზე არ დამიხედო, შვილო ჩემო!

მ ე ძ ვ ე (სპ. meyva) ხილი. „მა დიდო მეძვა კაი მომწონს“ (მარი., 1910:22) – მე ბევრი ხილი მომწონს.

მ ე ქ თ უ ბ ი (თ. mektup) წერილი. „ფათიშაიქ მექტუბი მუჭაელენ“ – ხელმწიფეს წერილი მოუწერია (ასათ., 1974:153).

ო ზ ი (თ. oz) საკუთარი. „ოზი მუში კულანითი უყოუნტუ“ – თავისი საკუთარი გოგოც ყოლია (ასათ., 1974: 105).

რ ა ხ ა ტ ი (არაბ. rahat) სიმშვიდე, სიმყუდროვე. „არ ძეის რახატი ქოდოხედი“ – ერთ ადგილას მშვიდად დაჯექი.

ს ე ვ გ ძ უ ლ ი (თ. sevgili) საყვარელი, ძვირფასი. „სევგძული ოსმანი! სქანი მექტუბი დოვიკითხით“ (ჩიქ., 1929:48) – ძვირფასო ოსმან! შენი წერილი წავიკითხეთ.

ს ე რ ს ი (თ. sesi) ხმა. „ბაბამუშიში სერსი ოგნაფს“ (კარტ., 1972:201) – მამამისის ხმა ესმის.

ქ ი თ ა ბ ი (არაბ. kitab) წიგნი. „ლაზუი ქითაბი გიძიუნი?“ – ლაზური წიგნი გინახავს? (ასათ., 1974:100)

ქ ძ ო ი (არაბ. köy) სოფელი. „ქძოის არ ფათიშაი ტეენ“ (კარტ., 1972:22) – სოფელში ერთი მეფე ყოფილა.

შ ე ი თ ა ნ ი (არაბ. şeytan) ეშმაკი. „შეითანის გური ქომუხთუ“ (ჩიქ., 1938:49) – ეშმაკი გაბრაზდა.

შ ე ე რ ი (სპ. şehir) ქალაქი. „ანინეი ქენიეთმეფეს შეერი უნონან, ქძოი მითის ვა უნონ“ – ეხლანდელ ახალგაზრდებს ქალაქი უნდათ, სოფელი ვინმეს არ უნდა.

ჩ ე თ ი ნ ი (თ. çetin) ძნელი. „ჩეთინი ტუ, ანი ოხომანონუ“ (ჟლ., 1938:164) – ძნელი იყო, ეხლა გავიგე.

ხ ე ზ მ ე ქ ძ ა ი (თ. hezmekiyar) მოსამსახურე. „არ აღას არ ხეზმექძაი უყოუნტუ“ (ჩიქ., 1938:9) – ერთ ბატონს, ერთი მოსამსახურე ყავდა.

ჰ ე ს ა ბ ი (არაბ. hesap) ანგარიში. „ნანდიდის ჰესაბი დიდო კაი უჩქიტუ“ – ბებომ ანგარიში ძალიან კარგად იცოდა.

ჰ უ ქ უ მ ე თ ი (თ. hukumat) მთავრობა. „ჰელბეთთე ემ ვახთის ჰუქუმეთი აშო ტუ“ (ჩიქ., 1929:48) – ალბათ იმ დროს მთავრობა ასეთი იყო.

ძ ა ზ ი (თ. yaz) ზაფხული. „ძაზი მულუნ, ნოდეფე ივა-სენ“ (ჟღ., 1938:171) – ზაფხული მოდის, ნადებიც ხდება.

ძ ა ს თ უ ლ ი (თ. yastığı) ბალიში. „სანდულის კილა ჩქიმი ძასთულის მეშაძიგას“... (კარტ., 1972:206) – ჩემი სკივრის გასა-ღები ბალიშის ქვეშ იდოს.

ძ ე თ ი მ ი (არაბ. yetim) ობოლი. „ჩქინ სივთე ძეთიმეფე დო ფუკარაში ბეეფე ძებზდიფთ“ (ჩიქ., 1929:82) – ჩვენ პირვე-ლად ოზლებსა და ღარიბთა შვილებს ვღებულობთ.

ძ ო ლ ა ნ ი (თ. yorğan) საბანი. „ძოლანი ოჭუ მუთუ ჩეთი-ნი ვარ ტეენ“ – საბნის შეკერვა არც ისე ძნელი ყოფილა.

ხშირად ლაზური ტერმინების გვერდით გვხვდება აღმო-სავლური წარმომავლობის ლექსემებიც. ისინი პარალელურად იხმარებიან ლაზთა გაბმულ მეტყველებაში და საფრთხეს უქ-მნიან საკუთრივ ლაზურ ტერმინებს.

ა ქ ა რ დ ა შ ი (akardaş – ამხანაგი, მეგობარი) „დუბალუნ აკონარი, აღანიშ აქარდაში“ – საკმარისია ამდენი ახალი მეგო-ბარი; ლაზურში მ ა ნ ე ბ რ ა – ამხანაგი, მეგობარი. „არ კატუ დო არ მკჷაფუ მანებრა დიყვეს“ – ერთი კატა და ერთი ტურა მეგობრები გახდნენ.

გ ე ლ ი ნ ი (gelin – რძალი) „გელინი კაი მოხვადუ“ – რძა-ლი კარგი შეხვდა. ლაზურში ნ ი ს ა – რძალი. „ძა ნდლაშკულე ნისა დიკაუ“ – იმ დღიდან რძალი მორჩა.

თ ი ლ ქ ი (tilki – მელია) „თილქი მენდახტუ“ – მელია წა-ვიდა. ლაზურში მ ე ლ ი – მელია. „მელიქ ჩუმერს“ – მელია ელო-ღება.

ი ნ ა დ ი (inadçı – ჯიუტი) „აკო ინადინა ტი, ვა მიჩქიტუ“ – ასეთი ჯიუტი რომ იყავი, არ ვიცოდი. ლაზურში მ ე კ ი პ ა ი | | მ ე კ ი პ ა ა – ჯიუტი. „ოხორჯა მეკიპაა მოგხვადაში, დიდო ჩე-თინი ძენ“ – ქალი როცა ჯიუტი შეგხვდება, ძალიან ძნელია.

კ ა ზ ი (kaz – ბატი) „კაზის საები ბიჭი ქომოხთუ“ – ბატის პატრონი ბიჭი მოვიდა. ლაზურში ლ ო რ ლ ო ნ ჯ ი – ბატი. „ზამა-

ნის ბიბი დო ლორლონჯი დიდო უყოუნტეს“ – ძველად იხვი და ბატი ბევრი ყავდათ.

კ ი ტ მ ი რ ი (kitmir – ძუნნი) „კიტმი კოჩიკალა ოსქედინუ დიდო ჩეთინი ქენ“ – ძუნნ ადამიანთან ცხოვრება ძნელია. ლაზურში ხ ო რ ა ტ ე – ძუნნი. „ხჩინი დიდო ხორატე ტუ“ – დედაბერი ძალიან ძუნნი იყო.

კ ი ს მ ე ტ ი (kismet – ბედი) „კისმეტი მუში ვარ ტუ“ – მისი ბედი არ იყო. ლაზურში ბ ე დ ი. „კულანი ბედიგოჭვეი მუჭო დოსქიდუ“ – გოგონა ბედდამწვარი როგორ დარჩა.

კ ო ნ ქ შ ი (komsu – მეზობელი) „კონქშეფე კაი მიყოუნ“ – მეზობლები კარგი მყავს. ლაზურში მ ა ნ ძ ა გ ე ი, მ ა რ თ ე – მეზობლები. „ოჭკომალე დო ოშუმუში მართეფექ მუმელან“ – საჭმელი და სასმელი მეზობლებს მოაქვთ. „მან მანძაგეიშა მეკაულუ“ – მე მეზობელთან გადავდივარ.

ნ ა ი (nar – ბრონეული) ლაზურში ბ ე რ წ ე უ ლ ი. „ბერწეული ხოფაკელე დო ნოლედისკელე მიგნაფუნ, სარფის ნაი ვუნუმეთ“ – ბრონეული ხოფაში და ნოლედისკენ გამიგონია, სარფში ნაის ვეძახით.

ა ლ უ (aği – სანამლავი) „ლენგეის გეძინ ალუ, ნენა მოთ დოლოგალუ“ – სინზე დევს სანამლავი, ენა რატომ ჩაგივარდა. ლაზურში ღ უ რ ძ უ ლ ი „ღურძულითენ კოჩი დოლუინუ“ – სანამლავით კაცი მოკლა.

ე ვ ლ ა დ ი (evlat – შვილი) „ნანა-ევლადი ვა ოკვანკეს“ – დედა-შვილი ვერ გათიშეს. ლაზურში ს ქ ი რ ი – შვილი. „ე, სქიი ჩქიმი, მუ ფთქვა დო მუ გინვა“ – ე, შვილო ჩემო, რა ვთქვა და რა გითხრა.

თ რ ა ნ გ ი (tanrı – ღმერთი) „თრანგიქ რახატლული მეგჩას“ – ღმერთმა სიმშვიდე მოგცეს. ლაზურში ღ ო რ მ ო თ ი – ღმერთი. „ღორმოთის ვახვამეფ“ – ღმერთს ვეხვეწები...

ხ ე ზ ა ი (hizar – ხერხი) „ხეზაითენ ოხერხუმი ქენ დიშქა“ – ხერხით დასახვევია შეშა. ლაზურში ხ ე რ ხ ი. „ხერხი მოჟადვალეი დალიშა იდუ“ – ხერხი გადადებული წავიდა ტყეში.

ხ ი ს ი მ ი (hisim – ნათესავი) „მთელი ქეიშენ ხისიმეფე ქოკუიბდეს“ – ყველა ადგილიდან ნათესავები შეიკრიბნენ. ლაზურში ნ ო თ ა ს ე – ნათესავი, ნაშიერი. „ნოთასე ჩქიმი ქომოხთუ“ – ნათესავი ჩემი მოვიდა.



ქ ა ლ ა ნ ჩ ი (yalançı – მატყუარა) „ქოდობსქიდი ხვალა ქალანჩი დუნქას“ – დავრჩი მარტო მატყუარა ქვეყანაზე. ლაზურში მ ც უ დ ე ლ ა – მატყუარა. „დიდო მცუდელა კორი ქენ“ – ძალიან მატყუარა კაცია.

ქ ე ნ ი ი ლ ი (yeniyill – ახალი წელი) „ქენილის მთვიი მულუნ ბაზიქეე“ – ახალ წელს ზოგჯერ თოვლი მოდის. ლაზურში ა ლ ნ ე ნ ა ნ ა – ახალი წელი. „აღნე წანას კაი გქაეფე ვიქიფტი“ – ახალ წელს კარგ კერძებს ვამზადებდით.

ქ ო ლ უ რ თ ი (yoğürt– მანონი) „მზოლა ქოღურთი დიყვეეტუ“ – ზღვა მანონი გამხდარიყო. ლაზურში მ ე ყ ვ ა ფ ე რ ი – მანონი. „მეყვაფერის მჭკიდი მუხთებს“ – მანონს მჭადი უხდება.

ქ ა ფ ა ლ ი (yapak – მატყლი) „სთველიში ქაფალი კაი ქენ“ – რთველის მატყლი კარგია. ლაზურში მ ო ნ ტ კ ო ი – მატყლი. „კულანის მონტკოიში შილთე დოუჭი“ – გოგოს მატყლის ლები შევუკერე.

ტ ა კ ლ ა (takla – თავდაყირა) „ბეე ტაკლა მუიქთუ“ – ბავშვი თავდაყირა გადაბრუნდა. ლაზურში თ ი კ უ ნ დ ა ლ ე. „თიფლიზიშა იდაში ზოპონი, აქნა მოხთი, ეგერე ვა ზოპონნა სი თიკუნდალე გეხთი“ – თბილისში როცა წახვალ, იტყვი აქ რომ მოხვედი? თუკი აღარა იტყვი, თავდაყირა წახვედი.

ურ თ ი (ortü – გადასაფარებელი, სახურავი) ლაზურში მ ო ყ ა ნ ფ ი ნ ა ლ ე, მ ა ქ უ დ ა ლ ე. „ურთი თურჩე ქენ, ლაზუი მაქუდალე უნუმელან“ – ურთი თურქულია, ლაზურად მაქუდალეს ეძახიან.

ფ ა რ ა (para – ფული) „ფარა დიდო მეჩუ“ – ფული ბევრი მისცა. ლაზურში გ ე ქ ა ე ლ ი – ფული. „ბეეს გეჭაელი ვა მეჩაგინონ“ – ბავშვს ფული არ უნდა მისცე.

ქ ო კ ი (kök– ძირი, ფესვი) „ქმოქის ლეტა კაი გუბლაგინონ“ – ფესვს მიწა კარგად უნდა შემოაყარო. ლაზურში ქ ა პ ი. „ჭკემი ლეტას იბაენ დო ჭაპი ქოდოდუმეს“ – თესლი მიწაში სივდება და ფესვს გამოიღებს.

ვ ა თ ა ნ ი (vatan – სამშობლო) „ვათანი ჩქიმიშა ვიდამიონონ“ – ჩემს სამშობლოში უნდა წავიდე. ლაზურში დ ო ბ ა დ ო ნ ა. „დობადონა ჩქიმიშა გოიქთამინონ“ – ჩემს სამშობლოში უნდა დავბრუნდე.

გვხვდება ლაზური აფიქსებით გაფორმებული აღმოსავ-

ლური წარმომავლობის სიტყვები. გ ძ ო ზ ლ უ ღ ო ნ ი – სათვალისანი, თურქ. Gözlük – სათვალე; მ ჩ ა ლ ი შ ა ნ ე – მშრომელი, ი ჩ ა ლ ი შ ე ფ ს – მუშაობს, თურქ. Çalışmak – მუშაობა, შრომა; დ ი ზ ე ნ გ ი ნ უ – გამდიდრდა, თურქ. Zengin – მდიდარი; დ ვ ა დ უ შ მ ა ნ უ – გადაემტერა, სპ. Duşman – მტერი; დ ი კ ი ტ მ ი უ – გაძუნდა, თურქ. Kitmir – ძუნნი; დ ი ს ე რ ს ე მ უ – გასულელდა, არაბ. Sersem – სულელი...

თვალშისაცემია, რომ ლაზურში ზოგიერთი კომპოზიციის კომპონენტად აღმოსავლური წარმომავლობის სახელი გვხვდება.

ბ ო რ ჯ ი გ ე დ ვ ა ლ ე ი (თ. Borc–ვალი + გედვალეი–დადებული) – ვალდადებული. „ბორჯიგედვალეი იდუ ემ დუნძაშა“ – ვალდადებული წავიდა იმ ქვეყნად.

თ ო ლ ი ქ ძ ო რ ი (ლაზ. თოლი–თვალი + თ. Kör–ბრმა) – თვალეზაბრმავებული, ბრმა. „თოლიქძოი კულანი მინდიყონუ ოხოიშა“ – ბრმა გოგო წაიყანა სახლში.

ნ უ ნ კ უ ე ს მ ე ი (ლაზ. ნუკუ–სახე + თ. esmer–შავგრემანი) – შავგრემანსახიანი, შავგრემანი. „ნუკუესმეი ოყოოფონი კულანი ქომუყონენ“ – შავგრემანი საყვარელი გოგო მოუყვანია.

ქ ძ ო ქ ი მ ო ნ კ ი მ ე ი (თ. kök–ფესვი + ლაზ. მონკიმეი–ამოგდებული) – ფესვამოგდებული. „ინკრახიში, ქძოქიმონკიმეი მუჭო მემოდგითუ ნეკნას“ – საძულველი, ფესვამოგდებული, როგორ მომადგა კარზე.

გვაქვს ისეთი კომპოზიციებიც, როცა ორივე კომპონენტი აღმოსავლური წარმომავლობის სიტყვებია: ქენაი-ქძოშე – კუთხე-კუნჭული, დუნძა-მემლექეთი – მსოფლიო-მამული, ძარალ-ფარალი – დაჭრილ-დაფლეთილი...

თურქული კალკები ლაზურში იძლევიან მრავალფეროვან ენობრივ მასალას:

1. კუსუსის ვა გემინკედათ – ნუ დამძრახავთ. „კუსუსის ვა გემინკედა გელინი ჩქიმი“ – ნუ დამძრახავ რძალო ჩემო. უთუოდ კალკია თურქული გამოთქმისა: kusuruma bakmayiniz.

2. ძიცინერი-ძიცინერი – სიცილ-სიცილით. „ფარა ქეზდუშკულე ძიცინერი-ძიცინერი ოხოიშა იგზალუ“ – ფული რომ აიღო, სიცილ-სიცილით წავიდა სახლში (თურქ. güle- güle).

3. ანბაი ქომეჩუ – შეტყობინება გაუგზავნა. „ფადიშაიქ ანბაი ქომეჩუ“ – მეფემ შეტყობინება გაუგზავნა (თურქ. Haber verdi).

4. მუ თქვალა ენ – რა თქმაა. „მეკვათეი ვარ ტუ, მუ თქვალა ენ გირჩინი“ – გადაჭრილი არ იყო რა თქმაა იცი? თურქულის კალკია ne demek.

5. მამცუდალე დუნდა – მატყუარა ქვეყანა თურქული გამოთქმის yalançı dünya–ს კალკია.

6. პარასკე დლა – პარასკევი დღე. „პარასკე დლას ქომოხთით“ – პარასკევ დღეს მოდით. ლაზურში დღის სახელებს რომ „დლა“ სიტყვა აქვს დართული, თურქულის კალკია pazar günü.

7. ლაზურში არ არის გარჩეული „ყიდვა“, „ნაყვანა“, „აღება“ ზმნები და ყველგან გამოიყენება „აღება“ ზმნა. ესეც თურქულის კალკია, რადგანაც თურქულში „აღება“ ზმნას შეძენილი აქვს „ყიდვის“, „შერთვის“ მნიშვნელობა.

თურქული ენის გავლენით, ლაზურში რთული ან შედგენილი ზმნების შემადგენელ ნაწილად აღმოსავლური სიტყვები წარბოხს. ასე მაგალითად: „ბედუა მოლოდუ“ – დამწყველა, „ხჩინიქ ბედუა მოლოდუ“ – დედაბერმა დამწყველა; „დუა მოლოდუ“ – დამლოცა, „ბადიქ დუა მოლოდუ“ – ბერიკაცმა დამლოცა; „ინადი ყუ“ – გაჯიუტდა, „ბეექ ინადი ყუ“ – გაჯიუტდა ბავშვი; „თესტიკი ვიქიფ“ – ვამტკიცებ, „მთელი შეი თესტიკი ვიქიფ“ – ყველაფერს ვამტკიცებ; „აფი გოლოდაფს“ – გაპატიებს, „ნანაქ ბეეს აფი ოლოდაფს“ – დედა შვილს აპატიებს...

ლაზურმა თურქულისგან შეითვისა ორიოდე კავშირი: -ქი (=ქართ. რომ); ჰემ (=ქართ. თან); ჰამა (=ქართ. მაგრამ, მაინც)...

„ნანაქ თქუ-ქი“... – დედამ თქვა რომ...

„ჰემ კაი შეეფე გინონ, ჰემ ფარა ოხარჯუ ვა გინონ“ – თან კარგი ნივთები გინდა, თანაც ფულის დახარჯვა არ გინდა.

„კულანი კაი ტუ, ჰამა კორეფე მუში“... – გოგო კარგი იყო, მაგრამ მისი ხალხი...

ცნობილია, რომ ლაზეთს ისტორიულად მჭიდრო კულტურული ურთიერთობა ჰქონდა ბერძნულ ეთნიკურ სამყაროსთან, რის შედეგადაც ლაზურში შეინიშნება საკმაო რაოდენობის ბერძნული ნასესხობანი: დულძა – საქმე, „დულძა დიდო მიღუნ“

– საქმე ბევრი მაქვს; შილძა – ათასი, „შილია ბორჯი ულუნ“ – ათასი ვალი აქვს; თონი – სკამი, „ეგერე მომწონდუნა, თონი მეფჩაფ ქურქონი“... – თუკი მომწონება, სკამს მივცემ ბენვით დაფარულს...; კორდელა – ბაფთა, „კორდელა გეკიელი, გინძე თომაფემუში“ – ბაფთით შეკრული მისი გრძელი თმები... ორა – დრო, „სერი ემ ღრას თანუნ, მამულიქ დიყიაში“ – ღამე იმ დროს თენდება, მამალი რომ იყივლებს (ვან. თანდ. 1964:157); ოფიდი – ნარბი, „გულინკედი გიძია, მუჭო ოფიდი გილუნ“ – მოიხედე და-გინახო, როგორი ნარბები გაქვს (ვან. თანდ. 1964:160); პაპუნნი – ქალის ფეხსაცმელი, „კაი მსქვა პაპუნნის თელი ღალის ქოდულუ-ლეენ“ – კარგი ლამაზი ქოშის ცალი ღელეში ჩავარდნია (ასათ. 1974:106)...

ლაზურში სასიძოს, საქმროს ეძახიან „ნოლამე“-ს: „ნოლამენა მოხთუ, კულანის ონჯლოე აყუ დო დონტკობუ“ – სასიძორომ მოვიდა, გოგონას შერცხვა და დაიმალა... ასევე, დედოფალი, პატარძალი „ნოლამისა“-დ იწოდება. „მელე-მოლე ოკობინკედათ ბაზი, ნოლამისას მოგოლაფანში კაზი“ – გაღმა-გამოღმა შევხედოთ ზოგჯერ ერთმანეთს, როცა დედოფალს გადაგახურავენ თხელ თავსაფარს (ჟღ. 1938:168)

ნო-ე (ნო-ლამ-ე) მიმღეობის მანარმოებელი ლაზური კონფიქსია. ვფიქრობთ, ნო-ლამ-ისა სახეცვლილი ფორმა უნდა იყოს კომპოზიციისა ნოლამ+ნისა. [ლამ] ფუძე ბერძნული წარმოშობისაა და ამ ფუძით გვხვდება მთელი რიგი ბერძნული ტერმინებისა, რომელიც მთლიანად ქორწინებას უკავშირდება (Хориков, Малев 1980:205).

### **გამოყენებული ლიტერატურა:**

1. ბსკიდა – ბათუმის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის დი-ალექტოლოგიური არქივი №20, №25, №36, №53, №61.
2. ასათიანი ირ., ჭანური (ლაზური) ტექსტები, თბ., 1974.
3. ვანილიში მ., თანდილავა ა., ლაზეთი, თბ., 1972.
4. კარტოზია გ., ლაზური ტექსტები, თბ., 1972.
5. ჟღენტი ს., ჭანური ტექსტები, ტფ., 1938.
6. ყიფშიძე იოს., ჭანური ტექსტები, ტფ., 1939.
7. ჩიქობავა არნ., ჭანური ტექსტები, ტფ., 1929.
8. ჩიქობავა არნ., ჭანურის გრამატიკული ანალიზი, ტფ., 1936.

9. ჭიჭინაძე ზ., ლაზისტანი, თბ., 1927.
10. ჯიქია ს., თურქულ-ლაზური ენობრივი ურთიერთობიდან, თბილისის სუ შრომები, ტ. №108, 1964.
11. Турецко-Русский Словарь, М., 1977.
12. Хориков И. Г., Малев М. Г., Новогреческо-Русский Словарь М., 1980.

***Tsiala Narakidze***

***Foreign Language Layers in Laz Dialect***

***Summary***

Foreign language elements have a certain place in Laz vocabulary. Laz dialect were impacted at first by Greek and then Turkish languages. Many words from Greek and of the East origin are now possession of Laz vocabulary. Such as: dulya – business, shilya – thousand, kordela – ribbon, yazi – summer, kishi – winter, kyoi – village...

## ნანული ნოლიდელი

### პედიატრიასთან დაკავშირებული ზოგიერთი ტრადიცია და ლექსიკა აჭარაში

ხალხური მედიცინის ლექსიკური მასალების ძიებამ აჭარაში ხალხის მეხსიერებაში დაუნჯებული მრავალი წეს-ჩვეულება და შესანიშნავი სიტყვიერი ნიმუშები წარმოაჩინა. მის თვალსაჩინო მაგალითად გამოდგება მედიცინის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დარგის - პედიატრიის დიალექტური ლექსიკაც.

როგორც მკურნალობის ხალხური ლექსიკიდან ჩანს, ბავშვები დიდი მზრუნველობით იყვნენ და არიან გარემოსილნი. ახალდაბადებულ ბავშვს უნინ პირველად ახლობელი ადამიანის (დედის, მამის, და-ძმის. . .) პერანგში გაახვევდნენ. იტყოდნენ, „ვის პერანგსაც ჩააცვამ პირველად, მასავით ჯანმრთელი და ბედნიერი იქნებაო“. ადრე, როცა ქალი სახლში მშობიარობდა, ბავშვის ამყვან ბებია ქალს – **ნენეს, ებეს** (თურქ. მეანი) შვიდ დღეს უნდა მოეწყო მშობიარისა და ახალშობილისათვის. ბავშვს თავდაპირველად **ხოჩინში** (შდრ.საბა, ხოჭიჭი) აწვენდნენ. **ხოჩინი** ხის (უმეტესად, ბლის) გამხმარი ქერქისგან კეთდებოდა. იგი ვარცლივითაა ამოღრმავებული და **საგებში** შეხვეული პანია მოხერხებულად თავსდება შიგ.

დაბადებიდან რამდენიმე დღის შემდეგ ბავშვს უკვე აკვანში ჩაანვენდნენ. ბავშვი აკვანში გადაჰყავდათ ხუთშაბათს ან ხუთშაბათის გასვლის შემდეგ, აუცილებლად სავსე, მაგარ მთვარეზე - ბავშვი მთვარესავით მაგარი და თან ჯანმრთელი იქნებაო.

**ნენეს//ებეს**, რომელიც ქალს და ბავშვს უვლის, აჩუქებენ ტანსაცმელს, ფულს. უნინ აძლევდნენ ერთ **ყალიბ საპონსაც**.

ახალშობილთან შემსვლელმა „ცეცხლზე უნდა მეიაროს, რომ რამე არ მიყვეს ბაღანასთან“. აკვნის ქვეშ იცოდნენ ცოცხისა და დანის დადებაც, „თვალი არ წაკრასო“. აკვანზე **თვალის მძივს, სათვალის, ჩანჩხურას** შეუბამენ, - „თვალმკვეთარის თვალი მასზე გადავა და **ბაღვს//ბაღანას** თვალი არ ეცემაო“.

ტერმინ თვალისცემის სინონიმებია: **თვალის წაკვრა, გაზაკვა** (შდრ. მაგ., საბა, ზაკუა, ზაკვა – მზაკვრობა, თვალთმაქცობა, ცბიერება), **თვალყვა**.

თვალისცემას მრავალი დაავადების მიზეზად თვლიდნენ. როცა პატარა ჭირვეულობდა ან შეუძლოდ იყო, პირველყოფილსა, ნათვალევის ლოცვას უკითხავდნენ. მისი ერთ-ერთი ვარიანტი ასეთია:

სახელითა ღვთითა, მამითა, ძითა, სულითა წმინდითა,  
ლოცვა თვალწაკრულისა.  
ზეციდან მოზრძანდებიან სამი ანგელოზები ღვთისანი,  
ზეთა ეწერა სამი სიტყვანი ღვთისანი,  
ხოლო ბაბილოსანი, ქვეშ გველი იწვა,  
ერთი თვალი ედგა წყლისანი და მეორე ცეცხლისანი.  
გასკდა წყალი, გადიერო ცეცხლს,  
დეიფსო ცეცხლი, დაშრა წყალი.  
რავაც იგი დეიფსო და დაშრა,  
ისემც თვალყამსა ვაი და ვუი, ქვაი და რკუი,  
გულთან ლახვარი, თვალთან ნაცარი,  
დიემართა გადუცდელი პაპასკირი,  
დაჰკრა თავი ქვაზე, ენა გველის ფხასაზე,  
მუცელი სამართებელზე.

მე ვარ მლოცავი, ღმერთი მარგებელი (ამ ლოცვას, საჭიროებისამებრ, უკითხავდნენ მოზრდილებსა და, საერთოდ, ყველა სულიერს).

ხალხის შეხედულებით, ბავშვი შეიძლება დაავადოს **უჟმური-მაც**. ამ შემთხვევაში ამბობენ: **-უჟმური აყვა, დაუჟმილიაო**. უჟმური აჭარაში ავსულად და მისგან შეყრილ ავადმყოფობად წარმოედგინათ.

**უჟმური** თუ აყვა ბავშვს, ბავშვი თუ **უჟმურიანი უნდომია** (ავადმყოფი), მცენარეთა აბაზანებით და მათი დანანვაფი ბოლის შეხრჩოლებით (შებოლება) უმკურნალებენ, თან აუცილებლად შეულოცავენ. მაგ.:

სახელითა ღვთითა, მამითა, ძითა, სულითა წმინდითა,  
ლოცვა უჟმურის, თვალუჩინარის.  
უჟმურო, უჟმურო, გამოდი, გამიეშორე, შორ წადი,  
სადაც არ იყურებოდეს ძალლის ყეფა, კაცის უპუი,  
მამლის ყივილი.  
იქ გასუმენ, იქ გაჭუმენ, იქ გაპატივებენ.  
გამოდი უჟმურო, გამიეშორე,

თვარა აგჭრი ანითა, მანითა, შავტარიანი დანითა,  
გრძელტარიანი წალდითა.  
გაგიტან ცხრა მტას იქით, ჩაგრი რვალის ქოთანში,  
გადულებ და გაქაფქაფებ,  
გაგადენ წყალსავეთ, გაგაქროლებ ქარსავეთ.

ნათვალევისა და უჟმურის მსგავსად ხალხში ძალიან იყო გავრცელებული შეშინებულის მკურნალობა ბალახეულითა და შელოცვით. ამ შელოცვას ბავშვებში იყენებდნენ უცაბედი ნერვიული აღგზნების, გაჟინებული ტირილის, უძილობის და სხვა ნერვიული მოშლილობის დროს. ასევე, იყენებდნენ მას მოზრდილებშიც.

შეშინებას **დახელვას**, **დაზაფვრას** ეძახიან. **დახელილს** (მდრ. აბულ., ხელი – გიჟი; გახელემა – გაჯავრება, გაბრაზება), **დაზაფვრულს** (მდრ. საბა, ზაფრა – მწითური ნალღველი) შეულოცავდნენ. შელოცვის ერთი ვარიანტი ასეთია:

აშინა, მაშინა, გულო, რამ შეგაშინა,  
გულო, არაფერია, სულო, არაფერია,  
გულო მოდი გულთანა;  
სულო, მოდი სულთანა,  
აჯავ, მოდი აჯასთანა;  
ცნებავ, მოდი ცნებასთან,  
ძარღვო, მოდი ძარღვთანა;  
სისხლო, მოდი სისხლთანა.  
უშველე და ულხინე;  
შეშინებავ, გარ გამოდი.  
მამალი ჟდა ზე ბუდესა,  
დედალი ჟდა ზე ბუდესა,  
უშველე და ულხინე, შეშინებავ, გარ გამოდი.

ულოცავდნენ შვიდჯერ. ყველა შელოცვისას გულზე სამჯერ დაადებდნენ ხელს. შელოცვასთან ერთად დაალევიებდნენ წყალში გახსნილ **ზაფრანის** ნაყენს.

პანია ბავშვებს ხშირად ანუხებთ მუცლის ტკივილი. ამ დაავადებას ზოგან **თათრახანს** ეძახიან. საქართველოში თათრახანი მამაკაცის სახელადაცაა ცნობილი. იგი მიღებული უნდა იყოს სიტყვიდან **თათრახანი**. ეს დაავადება მოვლითი, შეტევი-თი ტკივილებით ხასიათდება. ბავშვი ამ დროს **სანტალეებს**



(მდრ. შაბა, სანტალა – მნუთხე, მეტად მლაშე), **სამარტალებს, ინმასნება** (ნ.აბულ., წმასნა – თხზვა, ხლართვა) - იგრიხება. მკურნალობენ ბალახებით, დათვის ნალველით, **ბარუთიანი** (დენთიანი) წყლით, **ცეცხლის გულით** (საცეცხლურიდან ამოიღებენ ცოტა ცხელ მინას ან აიღებენ ნაკვერჩხალს, დაასხამენ წყალს და მიღებულ სითხეს ბავშვს დააღვინებენ).

ბავშვებს ხშირად ანუხებთ **სამარტვილო, საყმანვილო**. იგი ბავშვთა ტუბერკულოზის გამოვლენის ერთ-ერთი ფორმა ან კალციუმის ნაკლებობით გამოწვეული დაავადებაა. „პანა ბალანამ გაჟინებული ტირილი თუ იცის, **სამარტვილო პნკნისო**” – იტყვიან.

**მარტვილი** ძველ ქართულში მონამეს აღნიშნავს, სამარტვილე კი მარტვილთა სახელობის ან აღსრულების ადგილია ნაგებობით (ნ.აბულაძე, საბა). სიტყვამ, როგორც ჩანს, თანდათან დიალექტებში მოიკიდა ფეხი. საბასთან უკვე მითითებულია, რომ „მარტვილს მესხნი ყრმას უწოდებენ”. ასევეა აჭარულშიც. თვითონ სიტყვა **მარტვილი** აქ ბავშვის, ყმანვილის მნიშვნელობით შელოცვებში შემორჩა. იგი, ასევე, დაცულია სიტყვაში **სამარტვილო**, რომელიც სემანტიკით საყმანვილო დაავადების სახელს დაუკავშირდა. ამ შემთხვევაში სიტყვის გადატანითი მნიშვნელობით გამოყენება უდაოა. ეს დაავადება ხანგრძლივად მიმდინარეობს და აწვავს, აწამებს ბავშვებს. სხვა დაავადებათა მსგავსად, სამარტვილოსაც ულოცავენ:

სახელითა ღვითთა, მამითა, ძითა, სულითა წმინდითა,  
ლოცვა სამარტვილოსი.

- სამარტვილო, სამარტვილო, სა მიხვალ?
- მარტვილთან სისხლის სასმელად, ხორცის საჭმელად, ფერვანის ასაკრეფლად.
- რა არი მისი წამალი?
- სელის ზეთი, ღორის ქონი, ქათმის დუმა,  
ლილა-ქარვანა, მარიამხელა, ძენნისა ჩხირი,  
უი, რა ვთქვი, ჩემი თავისა ჭირი ...

სამარტვილო თუ გართულდა, როგორც ამბობენ, - „თუ მოერია ბავშვს”, **მატავრად** გადაიქცევა. მატავრიან ბავშვს **ფუთხოებს, ფუთხუჯებს** (მდრ. შაბა, ფუთხი – მშრალი სიქაჩლე) აყრის. **მატავრა** ქუნთრუშაა. მას ასევე ეძახიან **ყელმოსნრო-**

**ბილს, უსახელოს, პილწ ქარს. ყელმოსწრობილი** კრუპისა და დიფტერიის სახესხვაობებია და ასეთი ავადმყოფი ბავშვი ძველად, უმეტესად, განწირული იყო.

**პილწი** ძველ ქართულში უწმინდურს აღნიშნავს და სიტყვა **ქართან** ერთად კარგად ახასიათებს ამ დაავადებას. ძველ სამედიცინო ლიტერატურაში (და ხალხურ მედიცინაშიც) მრავალი დაავადების სახელს ახლავს თან ცნება **ქარი** (ნ.აბულაძე): **თია-ქარი, ფერდის ქარი, წითელი ქარი** ... ლ.კოტეტიშვილის მოსაზრებით, ქართული მსოფმხედველობა ამ ცნებით გამოხატავს ორი საწყისის, ორი მამოძრავებელი ძალის არსებობას და მიაჩნია, რომ ამ ძალების ურთიერთჰარმონიის მოშლა იწვევს ავადმყოფობასა და სიკვდილს.

სიტყვა **უსახელო** აჭარულში, ისევე, როგორც ბევრგან საქართველოს სხვა კუთხეებშიც, გამოიყენება ტაბუირებული საგნის ან მოვლენის აღსანიშნავად. ამ შემთხვევაშიც, ხალხურად რომ ვთქვათ, „ავადმყოფობამ რომ გზა არ ისწავლს“, ავადმყოფობით დაშინებულნი მის სახელს (**მატავრას**) არ ახსენებენ და პირობითად **უსახელოს** უწოდებენ.

ბაშკები ავადდებიან **რაქიტით**, რომელსაც აჭარაში **გოჟოს** ეძახიან. იგი გვხვდება ფონეტიკურად სახენაცვალი **გოჯო, გოჯა, გვეჯო** ფორმებითაც (ნ.ჯ.ნოლაიდელი). **გოჟოს** მკურნალობენ მცენარეთა აბაზანებით. ასრულებენ სხვადასხვა წესს და ულოცავენ კიდევ:

სახელითა ღვთითა, მამითა, ძითა, სულითა წმინდითა,  
ლოცვა გოჟოისა.

გოჟოვ, გოჟოველავ, ღანკავ, ღანკიველავ,  
არხალაკო, მარხალაკო, პანაი (სახელი) ფათარაკო.  
ალი მონადირობდა, მელი მოლას ცდილობდა,  
ის რომ ჭამდა რკინასა, როგორ ხრავდა ქვიშასა,  
დამბადებელმა გუჟუნყრა, გეიპარა გოჟო დილასა.

გოჟოს მკურნალობის ერთ-ერთი წესი ასე სრულდებოდა: რაქიტისანი ბავშვის თავს ზევით ერთი ვინმე დაიჭერს წყლიან ჭურჭელს. ჭურჭლის თავზე მაკრატლით დაიჭერენ კვირის-თავს. კვირისთავის ხვრელში ჩაასხამენ გამდნარ სანთელს. სანთელი ჩაელვენტება წყლიან ჭურჭელში. სანთლის ნალვენთი წყალში გაცივდება და გამოსახულებას მიიღებს. დააკვირდები-

ან, დაახლოებით რა გამოსახულებაც გამოჩნდება, „ბავშვი მისი მიზეზით იქნება ავად. თვალი აქ, გოჯა აქ, დეინახავ. ამას სამჯერ რომ გააკეთებენ, რაითაცაა ავად, რომ გამოჩნდება სანთელში, იგი უნდა იშონო: თევზი, ცხოველი ... რაცხაის ხორცი. იმაზე ფეხი უნდა დაადგმო ბალანას სამჯერ, მერე გზაჯვარედინზე ჩაფლა და იმაზეც სამჯერ ფეხი დაადგმო”.

ყმანვილობის ასაკში ბავშვები ხშირად ავადდებიან სხვადასხვა ინფექციური სნეულებით, როგორცაა: **წითელა, წითურა, ყბაყურა, ყივანახველა, ჩუტყვავილა**.

**ყბაყურას** (ყბისა და ყურის შემაერთებელი ჯირკვლის ანთება) აჭარაში იცნობენ სხვა სახელებითაც: **ყაყვირა** და **ღაბუჯა** (შდრ. ლაზ. ღვაბურჩა).

წითელას, წითურას, ყივანახველას, ჩუტყვაველას ხალხი **ბატონებსაც** უწოდებს. **წითელბატონები, ყვავილბატონები, ხვალბატონები, წყალბატონები**. ბატონებს **მოსახადსაც** ეძახიან. ბატონები თუ დაემართა ბავშვს, ამბობენ, - **ბატონები შეხვდა** ან **დაუბრძანდაო**.

ბატონებიან ავადმყოფს ძალიან უფრთხილდებიან, ეფერებიან, ცდილობენ არ გააჯავრონ, არ გააღიზიანონ, განსაკუთრებით უფრთხილდებიან წითელაშეყრილ ბავშვებს. ხალხის თქმით: „წითელა თუ გააკუჭე (გააბრაზე), შენს მტერს შეხდეს წმინდა გზაში. ზოგს თვალს უფსებს, ზოგს – ყურს; შექცევა, შებრუნება იცის! თუ შეაქცია, იტყვიან, „წითელამ შეანყინაო!”.

**ყივანახველა** თუ დაემართა ბავშვს, ამბობენ, „ხველამ დეიკავაო”. ეს დაავადება აჭარაში ცნობილია სახელებით: **ხველბატონები, კოკოცა, კონინა, კოკინა**. იგი ორმოც დღეს მიმდინარეობს, „ზოგი იეფად (ადვილად) იხდის, ზოგი – ძნელად”. ორი კვირის შემდეგ გაჟინებულ ხველას ყვილის მაგვარი ხმა მოსდევს. მაშინ ამბობენ, - ამოაყივლაო. კონინიან ბავშვს ნიგვზის ფესვებში გააძვრენენ ან ნიგვზის სკივრში ჩაანვენენ. სიტყვა **კონინი (კოკინა, კოკოცა)** ზანიზმია აჭარულში.

**ჩუტყვავილა**, გარდა **წყალბატონებისა**, აჭარაში ცნობილია სახელებით: **წყალა, ყვავილწყალა, შრატა, ჩლატა, ჩლარტა**. ყველა ეს სახელი სითხეს, წყალს, შრატს უკავშირდება. მას მართლაც ახასიათებს სითხიანი გამონაყარი. გარეგნული ნიშნებით იგი ჩამოჰგავს საშიშ ინფექციურ დაავადებას, ყვავილს, მაგრამ

შედარებით მსუბუქად მიმდინარეობს და ძალიან იშვიათად მთავრდება ტრაგიკულად. ამიტომაც სახელწოდება **ჩუტყვაკი-ლატ** კარგად ესადაგება მის ბუნებას: **ჩუტი** აღნიშნავს ფუჭეს, ცარიელს, ტყუილს.

საინტერესოა **წითურას** ხალხური სახელწოდება **დიკა**. დიკა საქართველოში ძველთაგანვე ცნობილი საგაზაფხულო ხორბლის ჯიშია. ეს დაავადებაც, როგორც უმეტესად ყველა ბატონები, ძირითადად, გაზაფხულზე იჩენს თავს. ახასიათებს წვრილი, დიკის მარცვალისებრი უხვი გამონაყარი. „დიკა ბაღვს წვიტად გამოუყარის და ცხრა დღეში გუჟარს“. დიკა ძველად აჭარაშიც მოჰყავდათ. ახლა ეს კულტურა გადაშენებულია. სახელი დიკა კი დაავადების სახელწოდებად დიალექტმა შემოგვინახა.

აჭარაში პედიატრიასთან დაკავშირებული დიდძალი ეთნოლოგიური და ლექსიკური მასალის აქ წარმოდგენილ მცირე ნაწილს დიდი მნიშვნელობა აქვს ქართული ხალხური მედიცინის მდიდარი ტრადიციებისა და ისტორიის შესწავლისათვის. მიუხედავად ხალხური მედიცინისადმი ამ ბოლო დროს გამოჩენილი ყურადღებისა, დღითიდღე მაინც ღარიბდება ის დიდი ემპირული ცოდნა, რაც ხალხში ტრადიციულად იყო შემონახული.

*Nanuli Noghaideli*

### ***Some of tradition and vocabulary connected with pediatric in Ajara Summary***

This article discusses some of tradition connected with pediatric and magic traditional ways, by which were treated children diseases, also is discussed appropriate vocabulary.

## თემურ ავალიანი

### **შეფასებითი კომპონენტი ნატურფაქტების ნომინაციის სისტემაში**

#### **(ქართული ხალხური ფიტონიმიის მაგალითზე)**

მეცნიერულ-ტენიკურმა პროგრესმა დიდი ხანია დასვა დღის წესრიგში ცალკეულ ენათა თვითმყოფადობისა და თავის-თავადობის შენარჩუნებასთან დაკავშირებული პრობლემები, რომლებიც სულ უფრო მეტ სიმწვავეს იძენენ თანამედროვე ყოვლისმომცველი გლობალიზაციის ტენდენციების ფონზე. დღითიდღე ძლიერდება უცხო, ძნელად გასაგები სიტყვების ნიადაგარით შემოდინების არასასურველი, მაგრამ სრულიად ბუნებრივი პროცესი, რისი დღის წესრიგიდან მოხსნაც ვერასდროს მოხერხდება და მისკენ სწრაფვა არცაა საჭირო, რადგან ეს მარადიული პრობლემაა. ამ თვალსაზრისით ნიშანდობლივია რუსი ენათმეცნიერის ნ. ზაბინკოვას სიტყვები: „იქმნება პარადოქსული მოვლენა: ცნობილი ბოტანიკოსები ცდილობენ სამამულო ტერმინების მაქსიმალურად დამკვიდრებას, ბოტანიკური ტერმინოლოგია კი საპირისპირო მიმართულებით ვითარდება“ (Забинкова 1966: 389) (აქაც და შემდგომშიც ციტატები უცხო ენაზე მითითებული ლიტერატურიდან ჩემი თარგმნილია. თ. ა.). მაშასადამე, ისეთ დიდ ენასაც კი, როგორიც რუსულია, აწუხებს უცხოენოვანი ლექსიკის შემოტევა, ძნელი წარმოსადეგი არაა, თუ რა მდგომარეობაში აღმოჩნდებიან ე.წ. „პატარა ენები“.

ამ ფონზე ძირეულად შეიცვალა 21-ე საუკუნის ლინგვისტური პარადიგმის განვითარების ძირითადი ვექტორი. წინ წამოინია ენის ანთროპოცენტრულობის იდეა, ანუ ვ. მასლოვას სიტყვებით რომ ვთქვათ, მკვლევართა ინტერესი შემეცნების ობიექტიდან სუბიექტზე გადაირთო: **„შეისწავლება ადამიანი ენაში და ენა ადამიანში“** (Маслова 2001: 6). ისევ დადგა დღის წესრიგში გარე სამყაროს ამა თუ იმ „ენისეული სურათის“ შესახებ ვ. ფონ-ჰუმბოლდტისა და ჰუმბოლდტიანელთა შეხედულებანი და ისინი ახალი ასწლეულის ლინგვისტიკის თეორიულ საფუძვლად იქცა: „21 საუკუნის ლინგვისტიკა აქტიურად ამუშავებს მიმართულებას, რომელიც ენას განიხილავს როგორც არა

უბრალოდ შემეცნებისა და კომუნიკაციისა იარაღს, არამედ როგორც *ერის კულტურულ კოდს.*“ (Маслова 2001: 3). ამასვე აღნიშნავს ცნობილი ქართველი ენათმეცნიერი თ. გამყრელიძეც: *„ენა მარტო ურთიერთობის საშუალება კი არა არის, არამედ მთელი ხალხის მსოფლმხედველობის, მისი კულტურის განუყოფელი ნაწილია. ენა ეროვნული თვითდამკვიდრების საშუალებაა“* (გამყრელიძე 1990: 112). ამ შეხედულებათა თანახმად „ყველა ენა გარკვეული „მსოფლაღქმის“, სამყაროს გარკვეული „ხედვის“ მატარებლად გვევლინება, ანუ იგი არის ხატი გარე თუ შიდა სამყაროს სპეციფიკური – ენის შემქმნელი ერის თვალთახედვის გამომხატველი სეგმენტაციისა“ (ნიშნინიძე 1983: 141). მაშასადამე, „ენა სინამდვილის ფოტოგრაფირება და ასლი არ არის, *ყოველი ენა სხვადასხვაგვარი გადაღებაა სინამდვილისა*“ (რამიშვილი 1978: 109). ნომინაციის დონეზე ეს ნიშნავს ყურადღების გამახვილებას არამარტო ნომინაციის ობიექტზე, არამედ სუბიექტზეც, ე.ი. სიტყვა განიხილება როგორც საგნის (მოვლენის, პროცესის და ა.შ.) სუბიექტისეული „ხედვა“, „საზრისი“. გავიხსენოთ ვ. ფონ-ჰუმბოლდტის სიტყვები: *„სიტყვა არის არა ეკვივალენტი საგნისა, არამედ საზრისია მასზე“* (ციტირებულია ნიგნიდან: რამიშვილი 1978: 161).

სამყაროს სუბიექტისეული „ენობრივი ხედვა“ უშუალოდ აისახება ნომინაციის პროცესზე. იგი ვლინდება სიტყვის „გამჭვირვალე შინაფორმაში“ მოტივირების ნიშნის სახით. ამიტომაც სიტყვის შინაფორმა სრულიად სამართლიანადაა მიჩნეული მისი მნიშვნელობის ერთ-ერთ აქტუალურ ნაციონალურ კომპონენტად (Хомерики 1986: 56; Мечковская 1996: 55), რასთანაც უშუალო კავშირშია ისეთი უაღრესად საინტერესო და აქტუალური პრობლემის წინა პლანზე წამოწევა, როგორცაა გარემომცველი სამყაროს ფრაგმენტთა *ნომინაციის განხილვა კონკრეტული ენისა თუ ენების ეროვნული თვითმყოფადობისა და თავისთავადობის გამოვლინების ასპექტში.*

ამ თვალსაზრისით უაღრესად საინტერესო სურათს იძლევა ბუნებრივი ობიექტების ანუ ე. წ. ნატურფაქტების (მდრ.: არტეფაქტები) სახელწოდებები (ბუნების ლექსიკა), რომელთა დიდი უმრავლესობაც ხალხურია, ე.წ. ხალხური ნომინაციის პროდუქტია და მაქსიმალურად ავლენს „სამყაროს ეთნოენობ-

რივ ხედვას“. სწორედ ამით არის განპირობებული წინამდებარე სტატიის განხილვის ობიექტად ბუნების ლექსიკის ერთ-ერთი თემატური ჯგუფის – **ხალხური ფიტონიმიის** არჩევა, ოღონდაც არა მთლიანი ფიტონიმიისა, არამედ იმ სახელწოდებებისა, რომლებიც მოტივირებულია მცენარისადმი ადამიანის დადებითი ან უარყოფითი დამოკიდებულების საფუძველზე. შესაბამისად, ამ ტიპის სახელწოდებები ახდენენ აღსანიშნი მცენარის არა მხოლოდ სახელდებას, არამედ მის დადებით ან უარყოფით შეფასებასაც. ამის უაღრესად საინტერესო, ორიგინალური და უნიკალური ნიმუშია, მაგალითად, რუსული ფიტონიმი МАТЬ-И-МАЧЕХА, რომელიც მცენარეს შეერქვა როგორც დადებითი, ისე უარყოფითი შეფასების საფუძველზე: „Тёплая на ощупь, мягкая, словно ласкающая нижняя поверхность листа „МАТЬ“ противопоставляется у этого растения холодной, гладкой и голой верхней стороне „МАЧЕХЕ“ (Головкин 1986: 8).

როგორც მოცემული მაგალითიდან ჩანს, აღსანიშნი მცენარისადმი როგორც ნეგატიური, ისე დადებითი დამოკიდებულების საფუძველია მისთვის დამახასიათებელი ესა თუ ის ნიშან-თვისება, რომელიც **თავისთავად არც კარგია და არც ცუდი**. ასეთად მას აღიქვამს და აფასებს მისი სახელმძღვანელო სუბიექტი, სწორედ მისთვისაა ესა თუ ის მცენარე კარგი ან ცუდი, რასაც აფიქსირებს კიდევ სახელის დარქმევის მომენტში. ხალხური ნომინაციის შემთხვევაში ეს არის არა სპეციალისტი ბოტანიკოსი (ან სპეციალისტთა ჯგუფი), რომელიც მიზანმიმართულად დანვრილებით, სკურპულოზურად შეისწავლის მცენარეს და ისე არქმევს მას სახელს, არამედ ეს არის ეთნომენტალოგის მატარებელი ანონიმური ინდივიდი (გლეხი, მეცხვარე, მონადირე და ა.შ.), ე.წ. „კოლექტიური სუბიექტი“, რომელმაც საკუთარი, ყოფითი, ცხოვრებისეული გამოცდილებისა და შთაბეჭდილების საფუძველზე ოდესღაც დადებითად ან უარყოფითად შეაფასა რა მცენარე, დაარქვა მას ამ შეფასების შემცველი სახელი. ასეთია, მაგალითად, ქართული ხალხური ფიტონიმები: **გიჟანა, ხემყრალი, აფეხი ვაზი, უყმურის ბალახი, ყანის ქლეჩი, თხიფსელა, ძაღლაფსელა, ძაღლყურძენა, ძაღლის ია, დედინაცვლის ენა, კატაყვერა ქლიავი, დათვიფანჩარი, ბოთე ხე, ქოთია ხე, ცუანა სოკო, ტურიპროჭა, იუდას ჯავი, ეშმა-**

**კისფება, ტილჭირი, ტკიპა ლობიო, ლენცოფა** და სხვ. აშკარაა, რომ ისინი აღსანიშნი მცენარის უარყოფითი მახასიათებლები არიან, და პირიქით, დადებითად აფასებენ აღსანიშნ მცენარეს ფიტონიმიები: **ლამაზა, ზიზილა, მარგალიტა, ყუყუნა, პირლამაზა, საკადრისა, ხასიათა, უხრავი, ულპობელი, სუნელა, დედოფლის კაბა, ანგელოზა, სამეფო ვაშლი, ქრისტეს ცერის დანაბიჯი, ქრისტესბუჭედა, ქრისტესისხლა, ქალბატონები, ხობხისმკერდა, მტრედო, მწყერიო, არწივის ხე** და სხვა.

რა შემთხვევაში არქმევდა ქართველი კაცი მცენარეს მსგავს სახელებს?

რა თქმა უნდა იმ შემთხვევაში, თუ აღსანიშნ მცენარეს ახასიათებდა მკვეთრად გამორჩეული და თვალში საცემი ისეთი უარყოფითი ან დადებითი თვისებები, როგორცაა ერთის მხრივ, შხამიანობა, საკვებად უვარგისობა, ეკლიანობა, სარეველობა, არასასიამოვნო სუნი ან გემო და ა.შ., ან პირიქით, გამორჩეულად კარგი საკვები ღირებულება, სილამაზე, მიმზიდველობა, ვარგისიანობა და სხვა ძვირფასი თვისებები. უაღრესად საინტერესოა ამ თვისებების გამო მცენარისადმი უარყოფითი/დადებითი დამოკიდებულების გადატანითი, მეტაფორული გზით გამოხატვა, რაშიც მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ამა თუ იმ ცხოველისადმი დამოკიდებულების მცენარეზე გადატანასა და შესაბამისად ფიტონიმის სტრუქტურაში ზოონიმების გამოყენებას. საერთოდ, „**ცხოველი – მცენარე**“ მიმართების ამსახველი ფიტონიმების შესახებ უნდა ითქვას, რომ ეს მოდელი შეიძლება გადმოგვცემდეს ან მსგავსებას გარკვეული ნიშან-თვისების (ფორმა, ზომა, ფერი) საფუძველზე, ან კიდევ მოცემულ შემთხვევაში ჩვენთვის საინტერესო მინიშნებებს მცენარის საკვებად ვარგისიანობა-უვარგისობაზე, შხამიანობაზე, სამკურნალო ღირებულებებზე და ა.შ. (Меркулова 1967: 158). ამ შემთხვევაში ადგილი აქვს ნათლად გამოკვეთილ შემდეგ ფაქტორებს:

1. ადამიანისათვის მკვეთრად გამოხატული საზიანო ან უსარგებლო თვისებების მქონე მცენარისათვის სახელის შერჩევისას ქართველი კაცი მიმართავდა ისეთი ცხოველის (ფრინველის, მწერის) სახელს, რომლის მიმართაც ის ასევე ნეგატიურად იყო განწყობილი. ასეა შექმნილი ფიტონიმიები: **ძალღაფსე-**



ლა, *ძალყურძენა, ძალლაქინდა, დათვიფანჩარი, ტურიპროჭა, ღორის სოკო, ღორის ბირკა, გველის ია, გველის სურო, გველის მარწყვი, გველის გვიმრა, გუგულის ცრემლები* და სხვ. როგორც სხვა ენების მასალიდან ჩანს, ეს არის არა მხოლოდ ქართული ან ენათა რომელიმე ჯგუფისათვის დამახასიათებელი სპეციფიკა, არამედ უნივერსალური ტენდენცია, რასაც სახელდების პროცესის ბუნებით ხსნიან და ტიპოლოგიური ხასიათის კანონზომიერებათა რიცხვს მიაკუთვნებენ. (Мечковская 2001: 30-31). ეთნოენობრივი ხედვის სპეციფიკა კი ვლინდება შესადარებელი ცხოველის სახელის შერჩევაში, თუმცა აქაც აქვს ადგილი საერთო და უნივერსალურ ტენდენციებს. ასე მაგალითად, ქართულ ხალხურ ფიტონიმიაში გამოკვეთილად თვალში საცემია უკიდურესად უარყოფითი შეფასებით-ემოციური დატვირთვის კონცენტრირება, რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, ზოონიმში „*ძალღი*“. ამითაა განპირობებული ისეთი ქართული გამონათქვამების არსებობა, როგორიცაა „ჩაძალღა“, „ძალღის შვილი“, „ძალღი მიაკვდა საფლაგში“, „ძალღ იყოს თქვენი მკვდრისადა“ და სხვ. ქართულ ხალხურ ფიტონიმიაში ამ პრინციპითაა მოტივირებული *ძალლაფსელა, ძალყურძენა, ძალლაქინდა ძალღის ია, ძალღის ენძელა, ძალლათუთა* და უამრავი სხვა.

უნდა ითქვას, რომ ძალღისადმი უარყოფითი დამოკიდებულება თითქმის უნივერსალურია, რის გამოც ე.წ. „ძალღური“ ფიტონიმები ყველგან უკიდურესად უარყოფითი შეფასებითი დატვირთვის მატარებლები არიან. როგორც გ. ნიბახაშვილი წერს, ეს ცხოველი ადამიანის ერთ-ერთი უერთგულესი მეგობარია უხსოვარი დროიდან, ასე რომ ადამიანი კარგად იცნობს მის უარყოფით თვისებებსაც: ავია, იკბინება, ძალიან ხშირად მყრალია, ყოველთვის არ არის სანდო და ა.შ. (ნიბახაშვილი 2000: 68). ძალღისადმი მკვეთრად გამოკვეთილი უარყოფითი დამოკიდებულება უხსოვარი დროიდან მოდის, ასე მაგალითად, ბერძნულ ენაში „ძალღი“, როგორც სალანძღავი და დამამცირებელი სიტყვა, ჯერ კიდევ ჰომეროსის დროს იყო დაფიქსირებული (Феофраст 1954: 576).

რაც შეეხება დამოკიდებულებას *მგლისადმი* და ე.წ. „*მგლური*“ ფიტონიმების შეფასებით მხარეს, აქ განსხვავებუ-

ლი სურათია. როგორც ბ. გოლოვკინი წერს, „Прозвище „вочье“ относится к несъедобным и ядовитым растениям и родилось когда-то в Саратовской губернии (Головкин 1986: 62). ცხადია, მგელი რუსეთის გაშლილ ტრამალებში ხანგრძლივი ზამთრის პირობებში გაცილებით სახიფათოა ადამიანისთვის და შიშის ზარს სცემს მას, ვიდრე საქართველოში. ჩვენთან ის მთებისა და უღრანი ტყეების ბინადარია და დასახლებულ პუნქტებში იშვიათად თუ გამოჩნდება ხოლმე. ალბათ, ამიტომაც ქართველისათვის სიტყვა „მგელი“ გაცილებით სუსტი უარყოფითი კონოტაციის მატარებელია, ვიდრე რუსეთის, კერძოდ, სარატოვის გუბერნიის მცხოვრებთათვის. ამის დასტურია ქართული გამოთქმები: „მგლისმუხლა“, „ალგეთის მგელი“ და სხვ. როგორც გ. ნიბახაშვილი წერს: „ამ ხასიათის გამოთქმები არის რუსულშიც. თითქოს ეკვივალენტი მოძებნილია, მაგრამ – არა. რუსული „тамбовский волк“, „брянский волк“ ადამიანის შეფასებისას ყოველთვის უარყოფითი შეფერილობისაა. „ალგეთის მგლის ლეკვები“ კი ამ შემთხვევაში შურიმაძიებლობისა და გამირობის აღიარებაა“ (ნიბახაშვილი 2000: 68). ამით შეიძლება აიხსნას ის გარემოებაც, რომ ალ. მაცაშვილის „ბოტანიკურ ლექსიკონში“ სულ რაღაც ოთხი ქართული ე.წ. „მგლური“ ფიტონიმია დაფიქსირებული, მაშინ როცა ანალოგიური ე.წ. „ძალღური“ ფიტონიმების რაოდენობა ორმოცზე მეტია.

თითქმის საყოველთაოა უარყოფითი დამოკიდებულება **ლორის** მიმართაც. ამ თვალსაზრისით ნიშანდობლივია ლენცოფას ლათინური სახელწოდება HYOSKYAMOS (პირდაპირი თარგმანი - „ლორის ცერცვი“), რომლის მოტივაციაშიც ვკითხულობთ, რომ სიტყვა HYOS (ლორი) ბერძნულში ყოველთვის დამამცირებელი მნიშვნელობით გამოიყენებოდა. ცხადია, ამით უნდა აიხსნას ქართული ფიტონიმებიც: **ლორის სოკო**, **ლორის ჩაი**, **ლორის ბირკა**, **ლორიხოკა** და სხვა.

საყოველთაოა აგრეთვე შიში და სიძულვილი **გველის** მიმართაც. ამიტომაც აქვს სიტყვა „გველს“ ქართულში გადატანითი მნიშვნელობა „ბოროტი, გაიძვერა, საზიზღარი ადამიანი“. ასეთია გამონათქვამიც „გველის წინილა“ და სხვ. ასე, რომ ფიტონიმები **გველის მარწყვი**, **გველის ია**, **გველის გვიმრა**, **გველის ხე** და სხვ. უარყოფითი შეფერილობის მატარებელ სახელწოდებ-

ბებად უნდა იქნეს მიჩნეული. ნაკლებად საკამათოა უარყოფითი დამოკიდებულება **თავვის, ბაღლინჯოს, ტკიპას და ტილისადმი**, შესაბამისად, ნაკლებად სავარაუდოა, რომ დადებითი კონოტაციის მატარებელი იყოს ფიტონიმები: **თავვის ნუში, თავვის ცერცველა, თავვნიორა, ბაღლინჯო, ტილჭირი, ტკიპა ლობიო** და სხვ.

ცალკე შეიძლება გამოიყოს ფიტონიმის უარყოფით მახასიათებლად ანთროპონიმის გამოყენება კონკრეტული ადამიანისადმი უარყოფითი დამოკიდებულების მცენარეზე გადატანის საფუძველზე. სავარაუდოდ ამ პრინციპით უნდა იყოს მოტივირებული ქართული დიალექტური ფიტომიმები **ყაზახა** და **დათიას ხე**. ამ დასკვნის გაკეთების საფუძველს შეიძლება გვაძლევდეს პარალელის გავლება ეკლიანი, ყოვლად უსარგებლო და გამოუსადეგარი ბალახის **ბრტყელეკალას** რუსულ სახელწოდებასთან **татарник**, რომლის მოტივაციაშიც ვკითხულობთ: „Мотивировка названия уходит глубокими корнями в те времена, когда с племенами татар были связаны горькие страдания русского народа“ (Никишаева 1974: 59). ანალოგიურად ქართულ ხალხურ ფიტონიმ **ყაზახას** უარყოფით შეფერილობაზე უნდა მიგვანიშნებდეს, ერთის მხრივ, მისი დიალექტური სინონიმები: **ძაღლის ია, გველის ია, გუგულის ცრემლები** და მისივე რუსული ეკვივალენტები: **гадючий лук, мышинный гиацинт**. აშკარაა, ზემოთ ნახსენები რომ **ყაზახაც** უარყოფითი დამოკიდებულების გამომხატველი უნდა იყოს, რაც მე-19 საუკუნეში დამკვიდრებული რუსი „საღდათების“ ანუ „ყაზახებისადმი“ სიძულვილით უნდა იყოს განპირობებული.

რაც შეეხება ლეჩხუმურ ფიტონიმს **დათიას ხე**, მისი სხვა დიალექტური სახელწოდებებია: **ქოთია ხე, ბოთე ხე, მყრალი ხე, გველიხე, ყროლი, მყრალი, მყრალი კოპიტი, მყრალური ჭანდარი**. როგორც ვხედავთ, ყველა მათგანი უარყოფითი მახასიათებელია, რის საფუძველზეც უნდა ვივარაუდოთ, რომ ანალოგიურია ფიტონიმი **დათიას ხეც**. ოდესღაც ლეჩხუმში უნდა ყოფილიყო ვინმე დათია, რომლის მიმართაც დამოკიდებულება უნდა ყოფილიყო უკიდურესად ნეგატიური.

და ბოლოს, კიდევ ერთი ნათელი მაგალითი იმისა, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია შეფასებითი ფაქტორის როლი მცენარის

სახელწოდების სწორად ახსნისა და მის მიართ სწორი დამოკიდებულების ჩამოყალიბებაში. ჩვენის აზრით, ასეთად შეიძლება ჩაითვალოს საჭმელი სოკოს ქართული სახელწოდება **ხარისფაშვა**. აღნიშნული ფიტონიმ-კომპოზიციის მეორე ნაწილი აშკარად უარყოფითი კონოტაციის მატარებელია, რაც ძალაუვნებურად გადადის მთლიან ფიტონიმზე. ფაშვი (ანუ შიგნეული) და ჩლიქები თუნდაც **ხარისა**, რომლის მიმართაც დამოკიდებულება ყველგან და ყოველთვის უაღრესად დადებითია, „საქონლის ე.წ. უვარგის ნაწილებს წარმოადგენდა“ <http://kuluaruli.wordpress.com/2011/01/18/ხაშის-ისტორია/>. ასე, რომ თითქოს ყველაფერი ცხადი და ნათელი იქნებოდა, რომ არა ერთი მნიშვნელოვანი მომენტი: ხარისფაშვა საჭმელი სოკოს სახელია და არა შხამიანისა, ამიტომ ის უარყოფითი შეფასებითი დატვირთვის მატარებელი არ უნდა იყოს. ვფიქრობთ, ეს მართლაც ასეა, რის დასტურადაც შეიძლება ჩაითვალოს საქართველოში კარგად ცნობილი ქართული წვნიანი კერძი – **ხაში**, რომელიც საქონლის ჩლიქებიდან და ფაშვიდან მზადდება. შევადაროთ ერთმანეთს ხაშიში მოთავსებული ფაშვის ნაჭერი და ხარისფაშვას დანაოჭებული ზედაპირი (იხ. ნახ.1.) და ვფიქრობ, არ გაგვიძნელდება იმის ახსნა, თუ სად უნდა დაკვირვებოდა საქონლის ფაშვს, რატომ უნდა შეედარებინა ის ხსენებული სოკოსთვის მისი დანახვისთანავე, რატომ უნდა შეერჩია მისთვის ეს ორიგინალური სახელი და რატომ უნდა შეემოსა ის დადებითი ემოციურ-შეფასებითი დატვირთვით **ხალხს, რომლის კულტურაშიც არის ხაში**.

ნახ.1



ხარის ფაშვი ხაშიში. სოკო ხარისფაშვა

ამრიგად, შეფასებითი კომპონენტის შემცველი ბუნების ლექსიკა (ამ შემთხვევაში ხალხური ფიტონომია) ნატურფაქტების ეთნოენობრივი ხედვისა და ამ ლექსიკის შემქნელი ხალხის ეთნომენტალობის გამოვლენის ერთ-ერთი უაღრესად საინტერესო სფეროა. ის ნამდვილად შეიძლება ჩაითვალოს ჩვენი ერის კულტურულ კოდად და მსოფლმხედველობის, მისი კულტურის განუყოფელი ნაწილად. ამ მიმართულებით კვლევების კიდევ უფრო გააქტიურება, და გაღრმავება, მითუმეტეს აჭარასა და სამხრეთ საქართველოს ისტორიულ ქართულ რეგიონებში, უამრავი უნიკალური და უნივერსალური ტენდენციის გამოვლენის საშუალებას მოგვცემს.

### **გამოყენებული ლიტერატურა:**

1. **ავალიანი 2002** - ავალიანი თ. მოტივირებისა და ეკვივალენტობის პრობლემები არამონათესავე ენებში (ქართული და რუსული ფიტონომიის მაგალითზე). თბ. 2002. საკამდ. დის. (ხელნაწ. უფლებით).
2. **ნიშნიანიძე 1983** - ნიშნიანიძე ნ. ენათა „დიფერენციალური ფსიქოლოგიის“ კვლევის ონომასიოლოგიური მეთოდი და მისი განხორციელების ცდა მორფოლოგიაში – ჟურნ.: მაცნე. თბ., 1983, № 3, გვ. 141-156.
3. **რამიშვილი 1978** - რამიშვილი გ. ენის ენერგეტული თეორიის საკითხები. თბ., 1978.
4. **ნიბახაშვილი 2000** - ნიბახაშვილი გ. თარგმანის თეორიისა და პრაქტიკის საკითხები (დამხმარე სახელმძღვანელო). თბ., 2000.
5. **Головкин 1986** - Головкин Б. Н. – О чём говорят названия растений. М., 1986.
6. **Забинкова 1966** - Забинкова Н. Н. – Некоторые вопросы происхождения и правописания русской ботанической терминологии – Ботанический журнал, 1966, № 3, с. 389-395.
7. **Маслова 2001** – Маслова В. А. Лингвокультурология. М., 2001
8. **Меркулова 1967** - Меркулова В. А. Очерки по русской народной номенклатуре растений (травы, грибы, ягоды). М., 1967.
9. **Мечковская 1996** - Мечковская Н. Б. Социальная лингвистика. М., 1996.
10. **Мечковская 2001** - Мечковская Н. Б. Общее языкознание (Структурная и социальная типология языков). М., 2001.
11. **Никишаева 1974** - Никишаева В. П. Структурно-семантическая

характеристика имён существительных – названий растений в современном русском языке. Куйбышев, 1974. Канд. дисс. (На правах рукописи).

12. **(Феофраст 1954: 576)**. Феофраст – Исследования о растениях (Перевод с греческого). М., 1954.
13. **Хомерики 1986** - Хомерики А. А. – Семантический анализ медицинской терминологии в русском и грузинском языках (К проблеме национального и межнационального в терминологии). Тб., 1986. Канд. дисс. (На правах рукописи).
14. <http://kuliaruli.wordpress.com/2011/01/18/ბაშობ-ბსტორიის/>.

*Temur Avaliani*

*Evaluative component in natufacts nomination system  
Summary*

The article analyzes the nature of vocabulary of evaluative component replacement, namely the one part of Georgian folk phitonym, and there is shown that, it is ethnic vision of natural objects and the creator of the vocabulary of the people of this ethnic mentality detection is one of the most interesting linguistic foundation. It clearly can be considered as nation's cultural code and integral part of people's worldwide and culture.

## ჩვენი ავტორები

1. **რამაზ სურმანიძე** – მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი (ბათუმი, საქართველო);
2. **მუსტაფა იაკუთი (გურამ ხიმშიაშვილი)** – სტამბოლის ქართული კულტურის ცენტრი, მუჰაჯირ ქართველთა შთამომავალი (სტამბოლი, თურქეთი);
3. **ოთარ თურმანიძე** – ნიკო ბერძენიშვილის სამეცნიერო – კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი (ბათუმი, საქართველო);
4. **ადრიანა პელეშკო** – მეცნიერებათა კანდიდატი, უკრაინის მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი (კიევი, უკრაინა);
5. **კამენ დონჩევი** – მეცნიერებათა კანდიდატი, ბულგარეთის მეცნიერებათა აკადემიის ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი (სოფია, ბულგარეთი);
6. **თეა ქათამაძე** – ქუთაისის ცენტრალური არქივის ეროვნული საარქივო ფონდის დოკუმენტების დაცვის უზრუნველყოფის, აღრიცხვისა და სამეცნიერო საცნობარო აპარატის განყოფილების უფროსი (ქუთაისი, საქართველო);
7. **მარია ზახარევიჩი** – ბელორუსიის კულტურის ცენტრი, პედაგოგი (მინსკი, ბელორუსია);
8. **ნატალია ზახარევიჩი** – ბელორუსიის კულტურის ცენტრი, დოქტორანტი (მინსკი, ბელორუსია);
9. **ნანი ფუტკარაძე** – შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი (ბათუმი, საქართველო);
10. **ნიკოლაი ცონევი** – ეროვნული და მსოფლიო მეურნეობის უნივერსიტეტის ინფრაქსტრუქტურის ეკონომიკის ფაკულტეტი, უფროსი ასისტენტი (კიევი, უკრაინა);
11. **ოთარ გოგოლიშვილი** – ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული პროფესორი, ხარიტონ ახვლედიანის მხარეთმცოდნეობითი მუზეუმის დირექტორის მოადგილე (ბათუმი, საქართველო);
12. **რევაზ უზუნაძე** – ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, ბათუმის სამედიცინო აკადემიის დირექტორი (ბათუმი, საქართველო);
13. **ბადრი გოგუაძე** – მთაწმინდის რაიონის სამხედრო კომისარი (თბილისი, საქართველო);

14. **ფრიდონ ქარდავა** – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუნეებო დანესებულება – საარქივო სამმართველო, მთავარი სპეციალისტი (ბათუმი, საქართველო);
15. **მერაბ მეგრელიშვილი** – აკადემიური დოქტორი, შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი (ბათუმი, საქართველო);
16. **მზია კეკელიშვილი** – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუნეებო დანესებულება – საარქივო სამმართველო, მთავარი სპეციალისტი (ბათუმი, საქართველო);
17. **მაია რურუა** – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუნეებო დანესებულება – საარქივო სამმართველო, განყოფილების უფროსი (ბათუმი, საქართველო);
18. **თინათინ ჯაბადარი** – საქართველოს ეროვნული არქივის უახლესი ისტორიის არქივის უფროსი სპეციალისტი (თბილისი, საქართველო);
19. **ნატო ქიქავა** – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუნეებო დანესებულება – საარქივო სამმართველო, მთავარი სპეციალისტი (ბათუმი, საქართველო);
20. **თამაზ ფუტყარაძე** – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუნეებო დანესებულება – საარქივო სამმართველო, განყოფილების უფროსი; შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი (ბათუმი, საქართველო);
21. **ამირან კახიძე** – ემერიტუსი პროფესორი, არქეოლოგიური მუზეუმის დირექტორი (ბათუმი, საქართველო);
22. **მალხაზ ნაგერვაძე** – არქეოლოგიური მუზეუმის თანამშრომელი (ბათუმი, საქართველო);
23. **შოთა მამულაძე** – გონიო-აფსაროსის მუზეუმ-ნაკრძალის დირექტორი, შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი (ბათუმი, საქართველო);
24. **ნარგიზ სურმანიძე** – აკადემიური დოქტორი, არქეოლოგიური მუზეუმის თანამშრომელი (ბათუმი, საქართველო);
25. **გურამ ჩხატარაშვილი** – შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი (ბათუმი, საქართველო);
26. **კახაბერ ქამადაძე** – შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი (ბათუმი, საქართველო);
27. **ნათია კალანდაძე** – ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ნ. ბერძენიშვილის სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორი (ჩოხატაური, საქართველო);



28. **თამილა ლომთათიძე** – შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ცენტრის ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა მიმართულების უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი (ბათუმი, საქართველო);
29. **ქეთევან ფუტყარაძე** – შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი (ბათუმი, საქართველო);
30. **კახა ფუტყარაძე** – შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრანტი (ბათუმი, საქართველო);
31. **მალხაზ ჩოხარაძე** – შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი (ბათუმი, საქართველო);
32. **დალი ფუტყარაძე** – შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი (ბათუმი, საქართველო);
33. **გურამ ჩაგანავა** – შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი (ბათუმი, საქართველო);
34. **ციალა ნარაკიძე** – ნიკო ბერძენიშვილის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი (ბათუმი, საქართველო);
35. **ნანული ნოლაიძელი** – ნიკო ბერძენიშვილის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი (ბათუმი, საქართველო);
36. **თემურ ავალიანი** – შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი (ბათუმი, საქართველო).

## Our Authors:

1. **Ramaz Surmanidze** – MD, professor (Batumi, Georgia);
2. **Mustafa Yakut (Guram Khimshiashvili)** – Georgian culture center of Istanbul, descendant of Muhajir Georgians (Istanbul, Turkey);
3. **Otar Turmanidze** – research fellow, Niko Berdzenishvili scientific-research institute (Batumi, Georgia);
4. **Adriana Peleshko** – candidate of Sciences, research fellow of history institute of Science Academy of Ukraine (Kiev, Ukraine);
5. **Kamen Donchev** – candidate of Sciences, research fellow of Ethnography and Folklore institute of Science Academy of Bulgaria (Sofia, Bulgaria);
6. **Tea Katamadze** – head of National Archives preservation, registration and scientific-informational department of Central Archives of Kutaisi (Kutaisi, Georgia);
7. **Maria Zakharevich** – teacher, Cultural Center of Belarus (Minsk, Belarus);
8. **Natalia Zakharevich** – PhD student, Cultural Center of Belarus (Minsk, Belarus);
9. **Nani Putkaradze** – PhD of Shota Rustaveli State University (Batumi, Georgia);
10. **Nikolay Tsonev** – senior assistant of Economics of Infrastructures faculty of University of National and World Economy (Kiev, Ukraine);
11. **Otar Gogolishvili** – doctor of historical science, professor of Shota Rustaveli State University, deputy chief of Khariton Akhvlediani local Museum (Batumi, Georgia);
12. **Revaz Uzunadze** – PhD in history, director of medical Academy of Batumi (Batumi, Georgia);
13. **Badri Goguadze** – Military commissioner of Mtatsminda district (Tbilisi, Georgia);
14. **Fridon Kardava** – Sub-department of Ajara Autonomous republic government – Archives Administration, main specialist (Batumi, Georgia);
15. **Merab Megrelishvili** – PhD, Shota Rustaveli State University (Batumi, Georgia);

16. **Mzia Kekeishvili** – Sub-department of Ajara Autonomous republic government – Archives Administration, main specialist (Batumi, Georgia);
17. **Maia Rurua** – Sub-department of Ajara Autonomous republic government – Archives Administration, head of department (Batumi, Georgia);
18. **Tinatini Jabadari** – main specialist of contemporary history archives of National Archives of Georgia (Tbilisi, Georgia);
19. **Nato Kikava** – Sub-department of Ajara Autonomous republic government – Archives Administration, main specialist (Batumi, Georgia);
20. **Tamaz Putkaradze** – Sub-department of Ajara Autonomous republic government – Archives Administration, head of department, professor of Shota Rustaveli State University (Batumi, Georgia);
21. **Amiran Kakhidze** – professor, director of Archaeological Museum of Batumi (Batumi, Georgia);
22. **Malkhaz Nagervadze** – employee of Archaeological Museum of Batumi (Batumi, Georgia);
23. **Shota Mamuladze** – director of Gonio-Apsarus Archaeological-Architectural Museum, professor of Shota Rustaveli State University (Batumi, Georgia);
24. **Nargiz Surmanidze** – PhD, employee of Archaeological Museum of Batumi (Batumi, Georgia);
25. **Guram Chkhatarashvili** – PhD student of Shota Rustaveli State University (Batumi, Georgia);
26. **Kakhaber Kamadadze** – PhD student of Shota Rustaveli State University (Batumi, Georgia);
27. **Natia Kalandadze** – director of Niko Berdzenishvili local Museum of Chokhatauri Municipality (Chokhatauri, Georgia);
28. **Tamila Lomtadze** – scientific worker of humanities and social science studies of Shota Rustaveli State University (Batumi, Georgia);
29. **Ketevan Putkaradze** – PhD student of Shota Rustaveli State University (Batumi, Georgia);
30. **Kakha Putkaradze** – graduate student of Shota Rustaveli State University (Batumi, Georgia);
31. **Malkhaz Chokharadze** – professor of Shota Rustaveli State University (Batumi, Georgia);

32. **Dali Putkaradze** – PhD student of Shota Rustaveli State University (Batumi, Georgia);
33. **Guram Chaganava** – professor of Shota Rustaveli State University (Batumi, Georgia);
34. **Tsiala Narakidze** – research fellow, Niko Berdzenishvili scientific-research institute (Batumi, Georgia);
35. **Nanuli Noghaideli** – research fellow, Niko Berdzenishvili scientific-research institute (Batumi, Georgia);
36. **Temur Avaliani** – professor of Shota Rustaveli State University (Batumi, Georgia).

ისტორია

1.	რამაზ სურმანიძე ბათუმის ქალაქისთვის ივანე ანდრონიკაშვილის ოჯახი (ქალიშვილი სალომე).....	3
1.	მუსტაფა იაკუთ (გურამ ხიმშიაშვილი) აჰმეთ ოზჯან მელაშვილი და თურქეთელი ქართველები ....	13
2.	ოთარ თურმანიძე ბრძოლა ძალაუფლების გადანაწილებისათვის ცენტრსა და რეგიონს შორის 1921-1925 წლებში.....	18
3.	Адриана Пелешко <i>Греческая культура в Северном Причерноморье: от мифологии к реальности</i> .....	32
4.	Камен Дончев, <i>СВЯЗИ МЕЖДУ БОЛГАРСКИМИ И ЮГО-ЗАПАДНЫМИ ГРУЗИНСКИМИ ЗЕМЛЯМИ НА ПРОТЯЖЕНИИ ВЕКОВ</i> .....	46
5.	თეა ქათამაძე ძველი ბათუმის რამდენიმე სახლის ისტორიისათვის.....	55
6.	Мария Захаревич, Наталья Захаревич <i>Ритуал принятия военной присяги</i> .....	63
7.	ნანი ფუტყარაძე მუჰაჯირი ქართველების ისტორიული მესხიერება.....	78
8.	Николай Георгиев Цонев <i>Новая роль государства в защите национальных интересов через формирование устойчивой безопасности</i> .....	84
9.	ოთარ გოგოლიშვილი ჯანმრთელობის დაცვის განვითარების ისტორიიდან აჭარაში (XIX საუკუნის 80-90-იანი წლები) .....	92
10.	რევაზ უზუნაძე ბათუმი შუა საუკუნეებში (XII - XV სს.).....	100
11.	ბადრი გოგუაძე, ეკა გოგუაძე ლატვიის ეროვნული გმირის თეოდორ სპადეს საქართველოში მოღვაწეობის ისტორიიდან.....	115

12. ფრიდონ ქარდავა <i>პორტო-ფრანკოს გაუქმების საკითხისათვის ბათუმში .....</i>	132
13. მერაბ მეგრელიშვილი <i>ქართველი ბოლშევიკები და საქართველოს სახელმწი- ფობრივი დამოუკიდებლობის საკითხი.....</i>	141
14. მზია კეკელიშვილი <i>ალექსანდრე III ბათუმში.....</i>	147
15. მაია რურუა <i>სამხრეთ-დასავლეთ საქართველოსა (აჭარის) და უკრაინის ურთიერთობები .....</i>	157
16. თინათინ ჯაბადარ, აჭარის ხელისუფლება და 1937 წლის რეპრესიები .....	168
17. ნატო ქიქავა <i>საქართველო-უკრაინის ურთიერთობები ოდესის არქივიდან შემოტანილი დოკუმენტების ასლების მიხედვით .....</i>	180
18. ბადრი გოგუაძე, რევაზ უზნაძე, თამაზ ფუტყარაძე <i>დიდი ბრიტანეთის სამხედრო ნაწილები ბათუმის ოლქში ..</i>	185

## არქეოლოგია

1. ამირან კახიძე, მალხაზ ნაგერვაძე <i>ბრინჯაოს მეტალურგიის ნაშთები ჭოროხის აუზიდან (ჭარნალის მურმანეთი) .....</i>	194
2. შოთა მამულაძე, ნარგიზ სურმანიძე <i>2014 წელს გონიო-აფსაროსის ციხის სამხრეთი კარიბჭისა და აბანოთუბნის მიმდებარე ტერიტორიაზე ნამოებული არქეოლოგიური გათხრების ძირითადი შედეგები .....</i>	201
3. გურამ ჩხატარაშვილი <i>ახალი ქვის ხანის სამეურნეო იარაღები სამხრეთ- დასავლეთ საქართველოდან .....</i>	218
4. კახაბერ ქამადაძე <i>გვიანი შუა საუკუნეების იზნიკური კერამიკა გონიო-აფსაროსიდან .....</i>	223

## ეთნოლოგია

1. ნათია კალანდაძე  
*ლომის მოყვანისა და დამუშავების ხალხური წესები  
ზემო გურიაში*..... 233
2. თამილა ლომთათიძე  
*საარსებო გარემოს დაცვის ხალხური ტრადიციები  
აჭარაში (ნიადაგდაცვითი საშუალებები)*..... 240
3. ქეთევან ფუტყარაძე  
*ოჯახისა და ქორწინების როლი  
მომავალი თაობის ზნეობრივი სრულყოფის საქმეში* ..... 248
4. თამაზ ფუტყარაძე, კახა ფუტყარაძე  
*ქალთა მეხსიერება რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების  
ომისა და ომისშემდგომი მუჰაჯირობის შესახებ* ..... 251
5. მალხაზ ჩოხარაძე  
*ლაზური სოფლები თურქეთის შიდა პროვინციებში  
(საქარია)*..... 276
6. დალი ფუტყარაძე  
*ქალის როლი საოჯახო ყოფაში სამხრეთ-დასავლეთ  
საქართველოს მასალების მიხედვით*..... 282

## ენათმეცნიერება

1. გურამ ჩაგანავა  
*ეთნონიმ “ჰალიძონების” ეტიმოლოგიის ცდა*..... 290
2. ციალა ნარაკიძე, უცხო ენობრივი დაფენება ლაზურში..... 299
3. ნანული ნოლაიდელი  
*პედიატრიასთან დაკავშირებული ზოგიერთი ტრადიცია  
და ლექსიკა აჭარაში*..... 310
4. თემურ ავალიანი  
*მეფასებითი კომპონენტი ნატურფაქტების ნომინაციის  
სისტემაში*..... 317



გამომცემლობა „უნივერსალი“

თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გზ. 19, ☎: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30

E-mail: [universal@internet.ge](mailto:universal@internet.ge)